დაყაჩაღებულის გარდაცვალების მიზეზი დგინდება A2

პენტაგონი ფსონების მიღებას იწყებს A5

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 30 ივლისი, 2003 წელი. №206 (418)

ფასი 30 თეთრი

## პოლიცია „კროკოს„ წინააღმდეგ

საინფორმაციო სააგენტო "ექსპრესის" ცნობით, გუშინ, ღამით დააკავეს საქართველოს ყველაზე მსხვილი ტოტალიზატორის "კროკოს" გენერალური დირექტორი დიმა აბესაძე.

პოლიციამ "კროკოს" წინააღმდეგ მოქმედება რამდენიმე თვის წინ დაიწყო, როცა ტოტალიზატორის თბილისის ყველა ოფისში ერთდროულად შეიჭრა და ჩხრეკის ჩატარება მოითხოვა. ჩხრეკის აუცილებლობის მიზეზად სამართალდამცველები სამ ფაქტორს ასახელებდნენ: ერთი, რომ, თითქოს "კროკოს" არ ჰქონდა მუშაობისთვის აუცილებელი ლიცენზია, მეორე, რომ იქ არალეგალური ბილეთები იყიდება და მესამე - თითქოს, "კროკოში" ჩვეულებრივი მოვლენაა უცხოური ვალუტის ბრუნვა. ეს ჩამონათვალი მართლაც საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევა გახლავთ.

"კროკოს" ხელმძღვანელობა ყველა ამ ბრალდებას თავიდანვე უარყოფდა და პოლიციის მხრიდან ტოტალიზატორის საქმიანობაში უხეშ ჩარევას მათი ანგარებითი მიზნებით ხსნიდა. პოლიციას კი "კროკოს" საქმიანობის შესწავლა არ შეუწყვეტია და, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიების დასრულების აღსანიშნავად დააკავეს კიდეც ტოტალიზატორის გენერალური დირექტორი. მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებიან; კერძოდ: უკანონო სამეწარმეო საქმიანობას, საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის გამოყენების წესის დარღვევასა და გადასახადისთვის თავის არიდებას. მეტიც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სამართალდამცველები მას ნახევარ მილიონ ლარამდე თანხის გადახდას აკისრებენ.

"კროკოს" ირგვლივ ჩატარებული გამოძიების თაობაზე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენციაა დაგეგმილი.

*24 საათი*

## "გაზპრომთან" მეგობრობა სახიფათოა

"გაზპრომთან" "დამეგობრების" სასარგებლოდ მირცხულავას თავისი არგუმენტები ჰქონდა. ის აცხადებდა, რომ ეს ხელშეკრულება საქართველოსთვის აუცილებელია. მირცხულავას არგუმენტებს ექსპერტები ეჭვის თვალით უყურებენ და ხელისუფლებას მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ.

A3

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | |
| ბათუმი | 25 | |
| ქუთაისი | 28 | |
| სოხუმი | 26 | |
| ცხინვალი | 25 | |
| თელავი | 24 | |
| ბოლნისი | 28 | |
| ფასანაური | 22 | |
| სამტრედია | 28 | |
| ლაგოდეხი | 32 | |
| თიანეთი | 21 | |
| მანგლისი | 23 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.4625 |
| გირვანქა სტერლ | 3.4452 |
| რუბლი | 0.0705 |

# "აღორძინება" და საპარლამენტო უმრავლესობა - ერთ ნავში

ახალი საარჩევნო კანონის მიღება მათ ინტერესებში არ შედის

გიორგი ასანიშვილი

*ჭეშმარიტად "უცნობელ არიან გზანი პარლამენტისანი": ჯერ იყო და არავინ ელოდა, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესის შესახებ სამთავრობო ფრაქციები და ოპოზიცია შეთანხმებამდე მივიდოდნენ. შემდეგ, როდესაც კანონპროექტი პირველი მოსმენით გავიდა, ბევრმა მიიჩნია, რომ განსაცდელი უკან დარჩა. მართლაც, ბეიკერის გეგმის ბოლომდე მიყვანა, ერთი შეხედვით, თითქოს, სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ყველა ნაღმი გაუვნებელყოფილი არ არის და საბოლოო მიღებამდე საარჩევნო კოდექსს კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი. ძნელი სათქმელია, რა შედეგს გამოიღებს "აღორძინებისა" და სამთავრობო ფრაქციების ზოგიერთი წევრის მცდელობა, რომ პირველი მოსმენით უკვე მიღებული კანონპროექტის ანულირება მოხდეს, მაგრამ გუშინდელი დღე მათ ნამდვილად შეუძლიათ, საკუთარ აქტივში ჩაწერონ: პარლამენტის რიგგარეშე სესიის სხდომა უნაყოფოდ*



*გუშინდელ სხდომაზე სახელისუფლებო ბლოკმა "სირაქლემის პოზა" აირჩია და თავისი სათქმელი "აღორძინებას" ათქმევინა*

*დამთავრდა. ეს კი ნიშნავს, რომ ცაიტნოტი კიდევ უფრო მოახლოვდა - თუ 2 აგვისტომდე პარლამენტმა მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანა ვერ მოასწრო, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს ძველი ცესკო ჩაატარებს. ხოლო ვის ინტერესებში შედის მოვლენების ასე განვითარება, დღესავით ნათელია.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# მორიგი ენერგოსკანდალი და ჰაერიდან მოხსნილი სამი მილიონი

მაია ურუშაძე

*ენერგომაქინატორები საბითუმო ბაზრისთვის 3 მილიონი ლარის წართმევას ცდილობენ. ენერგოსექტორისაკენ მიმართული მორიგი ფინანსური აგრესიის გზა – ძველი ვალების გადათამაშების მექანიზმი – უკვე დიდი ხნის აპრობირებული და, სამწუხაროდ, დღემდე ქმედითია.*

ენერგეტიკაში ყოველთვის დიდძალი ფული ტრიალებდა და ანგარიში არა მილიონებით, არამედ მილიარდებით წარმოებდა. საქართველოში, ისევე, როგორც რუსეთში, საკმარისი იყო მცირედი გონებაგამჭრიახობა, საიმედო "კრიშა" და... აქ ფული ჰაერიდან იხსნებოდა. დარგი მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში იყო და ისეთი "წვრილმანი" ენერგომაქინაციების გამო, როგორიც 1-2 მილიონი დოლარია, არავინ ყვიროდა. მით უმეტეს, რომ ყველა, ვისაც უნდა ეყვირა, ამ 1-2 მილიონი დოლარიდან თავის წილს იღებდა. ახლა საქართველოში ეს "მეწველი ძროხა" ისე იოლად აღარ იწველება, როგორც ადრე. მიზეზი მარტივია: "არავის კუთვნილი" დარგის თითქმის ყველა სექტორში უცხოური კერძო მენეჯმენტი შევიდა, რომელიც თავისი თანხების თავმოყრით უფროა დაინტერესებული, ვიდრე მისი განიავებისთვის მცირედი ქრთამის მიღებით. ამდენად, იოლი წარმოსადგენია, თუ რაოდენ გაოცებულნი დარჩნენ გამოცდილი ენერგომაქინატორები, როცა "სულ რაღაც" სამი მილიონი ლარის მოთხოვნით საბითუმო ბაზარს მიაკითხეს, საბითუმო ბაზარმა კი ძველი ხელშეკრულების წარმომავლობისა და ნამდვილობის გარკვევა დაიწყო.

გაირკვა, რომ 2001 წლის 6 მარტს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს, "საქენერგო-2000"-სა

გაგრძელება A2 გვერდზე

# ანტიკორუფციულმა საბჭომ მიზანში საგზაო პოლიციის შეფი ამოიღო

საქართველოს ბიუჯეტისთვის წართმეული 20 მილიონი საგზაო პოლიციაში ილექება

*ანტიკორუფციულ ბიუროში საქართველოს საგზაო პოლიციის მიმართ პრეტენზიები დღეს და გუშინ არ გაჩენილა. მეტიც, ამ უწყებაში არსებულ პრობლემებზე ბიუროს ხელმძღვანელს არაერთხელ განუცხადებია და ამ განცხადებების გამო მისთვის პირადი დაინტერესების ქონა იმდენჯერვე დაუბრალებიათ. აქამდე საგზაო პოლიციისთვის ანტიკორუფციულის მიერ წაყენებულ ბრალდებებს რეაგირება არ მოჰყოლია. შესაბამისად, ამჯერად შემადგენლობაგადახალისებული ანტიკორუფციული საბჭო მხოლოდ განცხადებების გაკეთებით არ შემოფარგლულა – მათ კონკრეტული რეკომენდაცია შეიმუშავეს, რომლითაც რიგი თანამდებობის პირების, მათ შორის - საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის, დავით კობახიძის პასუხისმგებლობის საკითხის შესწავლა მოითხოვეს.*

სოფიკო ჩხაიძე

ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე საგზაო პოლიციას ყველაფერი დაუთვალეს – საგზაო მოძრაობის წესების ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან, აგრეთვე, მართვის მოწმობების გაცემისა თუ მანქანების რეგისტრაციიდან შესული კანონიერი და უკანონო შემოსავლები. ჯამში კი გამოვიდა, რომ საგზაო პოლიცია, უხეში დაანგარიშებით, საქართველოს ბიუჯეტს 20 მილიონ ლარს აკლებს. აქედან ნახევარზე მეტი უცხოეთიდან შემოყვანილი მანქანების რეგისტრაციიდან მიღებულ თანხებს ეხება. ცალკე საკითხია ეკოდიაგნოსტიკა, რომლის ჩატარებაც ერთ მონოპოლისტ ფირმას აქვს ხელში ჩაგდებული და საგზაო პოლიცია ამ საქმეს სხვას არავის აკარებს, სავარაუდოდ, გარკვეული დაინტერესების გამო, - ასე ფიქრობენ ანტიკორუფციონერები.

გაგრძელება A2 გვერდზე

# შიშის ლიკვიდაცია მხოლოდ კონტროლის განხორციელებითაა შესაძლებელი

*რუსეთის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვიაჩესლავ იგრუნოვი მიიჩნევს, რომ საქართველოს ოპოზიციამ რესპუბლიკის ენერგოგამანაწილებელ სტრუქტურებზე მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს. "მხოლოდ ამის შემდეგ გაიფანტება ეჭვები რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებზე", -ამბობს იგი.*

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

**- საინტერესოა, რა რეაქცია მოჰყვა რუსეთის პარლამენტში ინფორმაციას რუსეთის ენერგოკომპანიების მიერ საქართველოს სტრატეგიული ენერგოობიექტის შესყიდვაზე?**

- იყიდეს თუ არა "გაზპრომმა" ან "რაო ეესმა" საქართველოს ენერგოსისტემები, ან ზუსტად რა ტიპის ხელშეკრულებები გაფორმდა, ამაზე, სამწუხაროდ, ჩვენს პარლამენტს ძალზე მწირი ინფორმაცია აქვს. მეეჭვება, რომ საქართველოს ენერგოსისტემების აქციათა პაკეტების შეძენით ან იქ გრძელვადიანი პროექტების გაფორმებით, რესპუბლიკის პოლიტიკურ პროცესებზე ვიღაცას ზეწოლის მოხდენა სურს ან შეუძლია. რა თქმა უნდა, როცა მეზობელი სახელმწიფოს ხელში გავლენის რამდენიმე ბერკეტი იყრის თავს, დამაფიქრებელია, მაგრამ თუ რუსეთ-საქართველოს ენერგოსისტემების პარტნიორობის ისტორიას გავიხსენებთ, იქ კეთილგანწყობისა და წმინდა კომერციული ინტერესების გარდა ჩვენ ვერაფერს ვხედავთ. ასეთი პოზიციაა ჩვენს კომიტეტში და ვფიქრობ დუმაც იგივე აზრისაა, არავინ აპირებს ისედაც რთულ სიტუაციაში საქართველოს გაღიზიანებას. ეკონომიკურ თანამშრომლობას პოლიტიკური ბარიერები არ უნდა შეექმნას.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ვიაჩესლავ იგრუნოვი*

# სეკვესტრი - განხეთქილების ვაშლი

ბიუჯეტის შემცირების პარამეტრებზე მთავრობა ვერ თანხმდება

*მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის შეპირებისა, სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის პროექტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტში ორშაბათს საღამოს შევაო, გუშინ ამ პროექტს დასრულებული სახე ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული. სახელმწიფო კანცელარიაში ამ თემაზე კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა - ამჯერად უკვე სახელმწიფო მინისტრთან, თუმცა საბოლოო ციფრები ამ შეხვედრაზეც ვერ შეჯერდა. საინტერესოა, რომ შეხვედრას არ ესწრებოდა თავად ფინანსთა მინისტრი გოგიაშვილი, რომელსაც ამ დროს "მრეწველების" ოფისში უხდებოდა კულტურის სფეროს წარმომადგენლების "თავდასხმის" მოგერიება.*

თამარ ხორბალაძე

შეგახსენებთ, რომ ფინანსთა სამინისტრომ სამთავრობო მაგიდაზე რამდენიმე დღის წინ პროექტის საკუთარი ვარიანტი დადო, მაგრამ ეს პროექტი ძალზე დაშორებული იყო სსფ-სთან შეთანხმებულ პარამეტრებს. მირიან გოგიაშვილის მიერ სეკვესტრის სსფ-სთან შეთანხმებულზე უფრო დაბალი პარამეტრებით დაგეგმვა არსებული ვითარებით გახლდათ ნაკარნახევი - ისედაც მინიმალური დაფინანსების მქონე სამინისტროებმა მოსალოდნელი შემცირების წინააღმდეგ "სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლა გამოაცხადეს. შედეგად, გოგიაშვილის ვარიანტი ბიუჯეტის 90-მილიონიან კორექტირებას გულისხმობს, მაგრამ ასეთი პროგნოზი მაინც მეტისმეტად ოპტიმისტურია სსფ-სთვის, რომელსაც ბოლო წლების პრაქტიკამ დაანახა, რომ საქართველოში პესიმისტური პროგნოზებიც კი კიდევ უფრო პესიმისტურად "ამხდარა".

მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტრო შეთანხმების მიღწევის იმედს არ კარგავს და თავის ვარიანტს არ ცვლის. სამაგიეროდ, კანცელარიაში მიაჩნიათ, რომ სსფ-სთან ახალი შეთანხმების მიღწევის შანსი მისიის საქართველოდან წასვლის დღესვე დაიკარგა და ამიტომ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული ვარიანტის პარლამენტში შესვლას, მისი არარეალურობიდან გამომდინარე, ეწინააღმდეგებიან. ამის შესახებ გუშინ განცხადება გააკეთა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ, რომელიც ბოლო პერიოდში ბიუჯეტთან დაკავშირებით კანცელარიის პოზიციის მთავარი გამხმოვანებელია.

ისაკაძის ინფორმაციით, ამჟამად ფინანსთა სამინისტრო, სავალუტო ფონდთან კონსულტაციების შედეგად, აზუსტებს

გაგრძელება A3 გვერდზე

# რატომ ძვირდება პური

ობიექტური რეალობა თუ სუბიექტური გადაწყვეტილებების შედეგი?

ზურაბ გარაყანიძე

პურზე ფასის ზრდაზე მსჯელობისას აუცილებელია საერთაშორისო ბაზარზე არსებული კონიუნქტურის გათვალისწინება, თანაც არა მარტო პურპროდუქტების, არამედ ნავთობპროდუქტების ბაზარზე არსებული ვითარების ანალიზი.

2003 წლის თებერვლის ბოლოს ლონდონის საერთაშორისო ნავთობის ბირჟაზე (IPE) უკანასკნელ სამ წელიწადში ნავთობის სარეკორდო ფასი დაფიქსირდა – თითქმის 20 აშშ დოლარი ნავთობის ერთ ბარელზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ 1998 წლის ბოლოს ფასი 9 დოლარს შეადგენდა, ეს შედეგი ფენომენალურად შეიძლება ჩაითვალოს. ამ პროცესს ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა:

1) განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში შესვლამ იმპორტიორების მხრივ ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნილება გაზარდა;

2) ექსპორტიორმა ქვეყნებმა ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ მოილაპარაკეს;

3) ალბათ, გადამწყვეტი ფაქტორია ერაყში ომის დაწყება. კერძოდ, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის - ოპეკის წევრთა უმრავლესობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებია. ეს ორგანიზაცია კი მსოფლიოში ექსპორტირებული ნავთობის თითქმის 40 პროცენტს აწარმოებს.

საინტერესოა, რომ ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარების გამწვავება ნავთობპროდუქტების ფასების ზრდის პიკურ მონაცემებს ემთხვევა. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 1990 წელს, როდესაც ოპერაცია "ქარიშხალი უდაბნოში" მიმდინარეობდა ფასი სარეკორდო დონეზე - 35 აშშ დოლარზე დაფიქსირდა და 2000 წლის ივლისშიც - 27,5 აშშ დოლარი (აშშ-ერაყის ურთიერთობებში ახალი გამწვავება წარმოიშვა გაერო-ს ექსპერტების გამოდევნის გამო). ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა 2003 წლის თებერვალშიც.

ასეთ დროს ოპეკ-ის გაერთიანებაში არშესული ქვეყნები, პირველ რიგში, რუსეთი, ნორვეგია და ა.შ. მკვეთრად ზრდიან ექსპორტის მოცულობას, რაც მათი "ნავთობ-დოლარებით" მიღებული შემოსავლების ზრდას იწვევს. სწორედ, ნავთობზე ფასების ზრდამ გამოიწვია რუსეთში საფინანსო კრიზისის წარმატებით დაძლევა, ვინაიდან ნავთობის ექსპორტით მიღებული შემოსავალი მთელი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების თითქმის ნახევარს შეადგენს. ამიტომ, ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი გამოსწორდა, რუბლის დევალვაცია კი შეჩერდა. რუსეთის ბიუჯეტში უკანასკნელ წლებში სტაბილურად იგეგმება სავალუტო შემოსავალი ნავთობის ექსპორტიდან. ამ წლებში, ფასების ზრდის გამო, რუსეთმა შემოიღო ნავთობის ექსპორტზე საბაჟო ტარიფი 7-8 ევრო ტონაზე, რითაც თავისი ბიუჯეტი კიდევ უფრო შეავსო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთის ელიტაში დაპირისპირება მწვავდება

შოთა უტიაშვილი

მართალია, გენერალური პროკურატურა ამტკიცებს, რომ საქმე მხოლოდ და მხოლოდ ბანალურ ქურდობასა და თაღლითობას ეხება, მაგრამ დამოუკიდებელ ექსპერტთა დიდი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ იუკოსთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი რუსული პოლიტიკური ელიტის შიგნით არსებულ მწვავე დაპირისპირებაზე მეტყველებს.

ექსპერტების მოსაზრება ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა. მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა კასიანოვმა ღიად დაიცვა იუკოსის პარტნიორი კომპანიის მენატეპის დაპატიმრებული პრეზიდენტი პლატონ ლებედევი, პროკურატურამ მკვახედ განაცხადა, რომ სჯობს, პრემიერმა საკუთარ საქმეებს მიხედოს და სამართალდამცავ სტრუქტურებს თავი დაანებოს. "რბილად რომ ვთქვათ, კასიანოვის განცხადება არაკორექტულია. იგი სასამართლოზე ზეწოლას ახდენს," – განაცხადა პროკურატურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

კასიანოვი, ლებედევი და იუკოსის პრეზიდენტი ხადარკოვსკი რუსეთის ელიტის იმ ფრთას ეკუთვნიან, რომელსაც, როგორც წესი, "ოჯახად" მოიხსენიებენ. ისინი ელცინის დროს, "პრიხვატიზაციის" შედეგად უზომოდ გამდიდრდნენ და ოლიგარქთა და მათთან დაახლოებულ პოლიტიკოსთა კლანი შექმნეს, რომელიც დღესაც რუსეთში უზარმაზარ ქონებას (ძირითადად, ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და გადამუშავებას) აკონტროლებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ამბები | A5 ამბები | A6 სპორტი | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

# ცოცხალი კედელი საპატრიარქოს გარშემო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიმართ "24 საათში" გამოქვეყნებულ ღია წერილს, რომელსაც 42 ხელმოწერა აქვს, მწვავე რეაქცია მოჰყვა. ჯონდი ბაღათურიამ (ფუნდალისტთა სახლში) და გურამ შარაძემ (პარლამენტში) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორი პრესკონფერენცია გამართეს და ღია წერილის ავტორები ეკლესიის წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულეს.

ბაღათურიას განცხადებით, ამ პროცესებს უცხოური მსხვილი საფინანსო ორგანიზაციები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი სულიერი წინამძღვრის დისკრედიტაციის მიზნით აფინანსებს. მიზანი კი ამ მრავალრიცხოვანი ელექტორატის მართვაა, რომელიც ეკლესიას ემორჩილება.

ამ ძალადობისადმი პროტესტის ნიშნად უახლოეს მომავალში ბაღათურია საპატრიარქოს გარშემო ცოცხალი კედლის აღმართვას აპირებს.

*24 საათი*

# "ქიმბოჭკო" ჯართად იყიდება

*უკვე რამდენიმე თვეა, გაკოტრების რეჟიმში მყოფი "ქიმბოჭკოს" ქონების რეალიზება ანუ გაყიდვა მიმდინარეობს, თუმცა ქარხნის ჯართად გაყიდვა გაცილებით ადრე დაიწყო და საკმაოდ დიდი დარღვევებით მიმდინარეობს. მაგალითისთვის ერთი ფაქტიც კმარა: ორიოდე წლის წინ სახელმწიფო სალიკვიდაციო კომისიამ, რომელსაც ქვემო ქართლის ვიცე-გუბერნატორი ზურაბ კობიაშვილი ხელმძღვანელობდა, ქარხნის კუთვნილი სამი თბომავალი (თითოეული მათგანი დაახლოებით 45 ტონას იწონის) სულ რაღაც სამი ათას ლარად გაყიდა.*

მაია მოსიაშვილი

ცოტა ხნის წინ რუსთავის მერმა მიხამ ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ "ქიმბოჭკოს" ბაზაზე მუნიციპალური საწარმოს შექმნა აქვს გადაწყვეტილი. კორდის ძაფის და ფართო მოხმარების საგნების წარმოების სააქციონერო მესაკუთრეებს და რეაბილიტაციის საკითხზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო. მერიის წარმომადგენლებმა ობიექტი დაათვალიერეს და საინვესტიციო გეგმის შემუშავება დაიწყეს, რათა ინვესტორი მოიძიონ და საწარმო ამუშავდეს.

პარალელურად "ქიმბოჭკოში" ატმოსფერო იძაბება ქვემო ქართლის გუბერნატორის ლევან მამალაძის მოსვლის შემდეგ.

**"რა უბედურება ხდება "ქიმბოჭკოში", ქარხანა აღარ დარჩა და ერთი ლარი არ შემოსულა ბიუჯეტში. ყველაზე დიდი კრედიტორი თქვენ ხართ, მიდით და წერილი დაამყარეთ ამ ობიექტზე,"** - ავალებს ის საგადასახადო სამსახურს, რომელიც სასამართლოს მეშვეობით, "ქიმბოჭკოს" უზრუნველყოფილ კრედიტორად აღიარებისათვის იბრძვის, თუმცა ამაოდ. საქმე ისაა, რომ საგადასახადო სამსახურმა სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადაში განაცხადი არ წარადგინა და ის კრედიტორთა ნუსხის ბოლოში აღმოჩნდა. ამჟამად ქარხნის ქონება დაახლოებით 8 მილიონ ლარად არის შეფასებული, საგადასახადოს მოთხოვნა კი თორმეტ ათას ლარამდე აღწევს.

**"პირდაპირ გეტყვით, რაში უხდით მაგათ სახელმწიფო ხელფასს, იმაში, რომ მერე სასამართლოში წარადგინონ სარჩელი, გაზეთების კითხვა არ გვევალება და ორთვენახევრიანი პერიოდის განმავლობაში ვერ გავიგეთ, რომ გაკოტრება იყო გახსნილიო?! ბოდიში და, ინტერნეტშიც განვათავსე ინფორმაცია და "საქართველოს რესპუბლიკაშიც". მე ობიექტური ვარ ყველა კრედიტორის, მათ შორის სახელმწიფოს მიმართ. საგადასახადომ თავისი საქმე არ გააკეთა და ახლა ჩემზე უნდათ ჯოხის გადატეხვა,"** - განუცხადა "24 საათს" "ქიმბოჭკოს" გაკოტრების მმართველმა ლაზარე ძირკველიშვილმა.

გუბერნატორმა მამალაძემ გაკოტრების მმართველს ბრალი დასდო იმაში, რომ ის კერძო კრედიტორებს ისტუმრებს, სახელმწიფო ბიუჯეტი კი უკანასკნელ რიგშია. ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს ძირკველიშვილი. **"კერძო კრედიტორებმა დაახლოებით 4 მილიონ ნახევარი ლარის განცხადი შემოიტანეს და აქედან მხოლოდ მილიონ ნახევარი ვალარეგ. მაგალითად, "ინტერაპს" 421 ათასზე უარი ეუთხარი და მხოლოდ 86 ათასი ვალარეგ. ასევე, სასამართლოს გადაწყვეტილებით "აზოტს" 907 ათასი უნდა მიეღო, ახლა პირიქით არის, მე ვარ "აზოტის" კრედიტორი 8 ათასით,"** - ამბობს ძირკველიშვილი. მისივე თქმით, ამჟამად კრედიტორების გასტუმრება არ ხდება, თანხა სამსახურის ანგარიშზე გროვდება და ის მხოლოდ მაშინ გადანაწილდება კრედიტორებზე, როდესაც გაყიდვის პროცესი დასრულდება.

**"აქ მოსვლის დროს მჯეროდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ძირითადი პროფილის, ანუ კორდის წარმოების გადარჩენა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ 1997 წლიდან, როდესაც "ქიმბოჭკო" დამოუკიდებელ სუბიექტად დაფუძნდა, არც ერთ წელს არ ჰქონია დადებითი ბალანსი, ანუ მოგებაზე არასოდეს უმუშავია,"** - აცხადებს "ქიმბოჭკოს" გაკოტრების მმართველი, რომელიც დარწმუნებულია, რომ "ქიმბოჭკოს" ასეთი "აღსასრული" სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან კანონის უგულებელყოფის ბრალია. **"1997 წლიდან, როცა მიიღეს კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ, სახელმწიფო, ანუ საგადასახადო სამსახური ვალდებული იყო, "ქიმბოჭკოში" გაკოტრების საქმე გაეხსნა. მაშინ ქარხნის აქტივები დაახლოებით 20 მილიონ ლარამდე აღწევდა და დავალიანებების გასტუმრების შემდეგ 15 მილიონის აქტივები კიდევ რჩებოდა. სამწუხაროდ, "ქიმბოჭკო" ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის და ამავე მიზეზით უამრავ საწარმოს დაუგროვდა კოლოსალური ვალები,"** - ასეთია გაკოტრების მმართველის პოზიცია.

# რატომ ძვირდება პური

პირველი გვერდიდან

უკვე ამჟამად, რუსეთმა მკვეთრად გაზარდა ნავთობის ექსპორტი, რამაც მარცვლეულის მოსავლის აღების პირობებში ქვეყნის შიგნით ნავთობპროდუქტების დეფიციტი გამოიწვია. ჩრდილოეთ კავკასიაში უკანასკნელ დღეებში ბენზინისა და დიზელის საწვავის გასამართ სადგურებთან ავტომანქანების დიდი რიგები შეინიშნება. რუსეთიდან ნავთობის ექსპორტის ზრდა განპირობებულია კიდევ ერთი ფაქტორით. კერძოდ, ექსპორტის გზით ნავთობკომპანიები "ცოცხალ" ფულს იღებენ. ნავთობსაც ქვეყნის შიგნით არსებულ საშუალო ფასებზე ძვირად ყიდიან და თანაც ქვეყნის შიგნით, უკეთეს შემთხვევაში, მათ უხდიან არა "ცოცხალ" ფულს, არამედ თამასუქებსა და ურთიერთჩათვლებს. ხოლო, გადასახადების გადახდა ამ კომპანიებს სწორედ "ცოცხალი" ფულით უწევთ. ამიტომ რუსული კომპანიები დაინტერესებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი ექსპორტი განახორციელონ. ეს კიდევ უფრო დაძაბავს რუსეთის შიდა ბაზარზე ენერგეტიკულ სიტუაციას. სწორედ აღნიშნული ტენდენციითაა განპირობებული რუსული ნავთობის ექსპორტიორი კომპანიების (იუკოს-ის გარდა, რომელიც ხელისუფლების მძლავრი ზეწოლის ქვეშ მოექცა) აქციების კურსის მყარი ზრდა მიმდინარე წლის ზაფხულში.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, სავარაუდოდ, შესაძლოა საქართველოს ეკონომიკაზე ნეგატიურად იმოქმედოს. კერძოდ, როგორც კი ჩრდილოეთ კავკასიის ბაზარზე 1 ლიტრი ბენზინის ფასი 20 რუბლს (კურსით 60-70 ცენტი) ასცილდება, უკანასკნელ წლებში პირველად, შეიძლება საქართველოდან რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში ნავთობპროდუქტების რეექსპორტი დაიწყოს. ეს პერიოდი, სავარაუდოდ, დაემთხვევა საქართველოს ზედმეტი ნალექიანობით დაზარალებულ აგრარულ სექტორში საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებას და ამდენად, ნავთობპროდუქტების დეფიციტი შესაძლოა, საქართველოშიც გაჩნდეს. ამავე სცენარით მოვლენების განვითარება საქართველოს ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასების ზრდას გამოიწვევს, რაც თავის მხრივ, ჯაჭვური რეაქციით ყველა დანარჩენ საქონელზე (განსაკუთრებით აგრარული სექტორის პროდუქციაზე, მათ შორის ხორბალზე) გაზრდის ფასებს.

ზემოაღნიშნული პესიმისტური სცენარით მოვლენების განვითარების მოლოდინი მიგვაჩნია, სწორედ, პურზე ფასის ზრდის ხელშემწყობად. ანუ სუბიექტური ე.წ. "ინფლაციური მოლოდინია" ის ძირითადი მუქარა, რომელიც ობიექტური ფაქტორების არახელსაყრელი განვითარების პირობებში, შესაძლოა, რეალურ ეკონომიკურ საფრთხედ გადაიქცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლის "ი" პუნქტის ("ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები") თანახმად, დროებით - 2003 წლის შემოდგომაზე - საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს ნორმატიული აქტის მიღება, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, შემოღებული იქნება ნავთობპროდუქტების რეექსპორტის კვოტირება. სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანოს უმთავრეს ამოცანად სწორედ ასეთი წინადადებების შემუშავება უნდა იქცეს.

## მოკლედ

**თბილისი.** უახლოეს მომავალში, დედაქალაქში არსებულ პრობლემებზე რეაგირებას მერიის სამსახურები კომპანია "მოტოროლას" რადიო-საბაზო რეტრანსლატორის საშუალებით მოახდენენ. აღნიშნული მოწყობილობა, რომლის ღირებულება 6 000 დოლარია, კომპანია "მოტოროლას" საქართველოს წარმომადგენლობამ თბილისის მერიას საჩუქრად გადასცა. რეტრანსლატორი მერიის შენობაში დაიდგმება და 100-მდე რაციის საშუალებით, საქალაქო სამსახურები ინფორმაციას ამა თუ იმ პრობლემის შესახებ ოპერატიულად მიიღებენ. მერიამ რეტრანსლატორისთვის 148 და 174 მეგაჰერცის სიხშირის მეტრული დიაპაზონი უკვე შეიძინა, რომელიც 80 კილომეტრის რადიუსით იმუშავებს, ხოლო რაციებს მერიის სამსახურები თავად შეიძენენ. ქალაქის ვიცე-პრემიერის გიორგი კარბელაშვილის განცხადებით, ახალი მოწყობილობა გაცილებით ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს და პრობლემებზეც რეაგირება უფრო ოპერატიულად განხორციელდება. **ინტერ-პრესი**

# განრისხებული შარაძე

თამარ მჭედლიშვილი

*"რა უფლებით ბედავენ სოროსის ფონდიდან გაქსუებულები, უზნეონი და ამორალები ამდენს?" – გურამ შარაძე ამ კითხვას იმ ღია წერილის ავტორების მისამართით სვამს, რომლის ადრესატი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორეა და რომელიც "24 საათმა" რამდენიმე დღის წინ დაბეჭდა.*



*პატრიარქისადმი მიწერილ წერილში შარაძემ საკუთარი თავი ამოიცნო და განრისხდა.*

42 ადამიანს შორის, რომელიც ღია წერილს ხელს აწერს, რამდენიმე ისეთი გვარია, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისთვის არის ცნობილი. მათ შორისაა ვახუშტი კოტეტიშვილი, მზექალა შანიძე, ნანა ალექსანდრია, გურამ თევზაძე, ნოდარ ლომოური, ელდარ შენგელაია.

**"ნუთუ ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ხმა არ უნდა გავიგონოთ? ნუთუ თბილისელებმა მხოლოდ ახალი წლის ღამეს უნდა იხილონ თავიანთი ეპისკოპოსი? სად დაიკარგა ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარი, რომლის ხმა უნდა გვაკურთხებდეს, განგვსჯიდეს, გვმოძღვრავდეს? დაიკარგა ეს ხმა, აღარ არის... მის მაგიერ კი რაღაც უსახური, ბიუროკრატიული აპარატი, კოლექტიური სუბიექტი, საქართველოს საპატრიარქო გვესაუბრება... მართლაცდა გაწყვეტილია კავშირი საზოგადოებასა და ეკლესიის მწყემსმთავარს შორის. აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ ამ კავშირის გაწყვეტაში უდიდეს როლს საპატრიარქოს აპარატი ასრულებს",** – წუხან წერილის ავტორები და იქვე ერთ-ერთ პარლამენტარსაც ახსენებენ, რომელიც, უწმინდესისა და უნეტარესის "მდუმარე სანქციით", ეკლესიის "დამცველად და მესიტყვედ" აცხადებს თავს, **"რომელსაც არა თუ არავითარი თეოლოგიური სასულიერო განათლება არ გააჩნია, არამედ ინტრიგის, პროვოკაციის, შანტაჟის განსხეულებად არის მიჩნეული...."**

გურამ შარაძე დარწმუნებულია, რომ წერილის ავტორები სწორედ მას გულისხმობენ და საჯაროდ აცხადებს, რომ ამ ადამიანებისაგან კრიტიკას არ იღებს. მიზეზი კი ის არის, რომ არც ერთ მათგანს გურამ შარაძის განქიქებისა და მის პატიოსნებაში ეჭვის შეტანის "მორალური უფლება არ აქვს". მეტიც, გურამ შარაძის მტკიცე რწმენით, ეკლესიასა და მრევლს შორის ხიდი ჩატეხილი არ არის, ხოლო ასეთი გამოსვლები საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი მასონური ორგანიზაციების (მაგ, იგივე "სოროსის ფონდის") მიერ დაგეგმილი აქციების ნაწილია, რომელიც "საქართველოს მასონურ სახელმწიფოდ გადაქცევას" ისახავს მიზნად.

რაც შეეხება წერილის ავტორებს: გურამ შარაძის თქმით, ამ ადამიანებს ცნება "ინტელიგენციასთან" საერთო არაფერი აქვთ და მათი მთავარი ამოცანა საქართველოს გაყიდვა და ქვეყანაში მასონთა ბატონობისთვის ნოყიერი ნიადაგის შექმნაა.

**"ვახუშტი კოტეტიშვილმა საკუთარი სახლი მავანთ პლაცდარმად გამოაყენებინა ძმათამკვლელ ომში, მისი აივნიდან იხვრიტებოდნენ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. იგი ამორალური და მეგობრების ცოლების გამრყვნელია... მიხეილ ქვლივიძე რუსეთის აგენტია... მზექალა შანიძე – კომუნისტი, ნანა ალექსანდრია – დედა-დედოფალი, რომელმაც შვა საქართველოს უდიდესი მტერი და დამანგრეველი – გიგა ბოკერია და მთლიანად, "თავისუფლების ინსტიტუტი"... ნოდარ ლომოური ამერიკაში საქართველოს საგანძურის განიავებას აპირებდა...",** – ასეთი აგრესიით იყო გამსჭვალული გურამ შარაძის გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელიც სწორედ ამ წერილის ავტორებს მიეძღვნა.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რა რეაქცია მოჰყვება შარაძის სიტყვებს ბრალდებების ადრესატებისაგან, თუმცა არც ის იქნება გასაკვირი, თუკი წერილის ავტორები პრესკონფერენციას გამოხმაურების ღირსადაც არ ჩათვლიან, მით უფრო, რომ ისინი პასუხს არა გურამ შარაძისაგან, არამედ კათოლიკოს-პატრიარქისგან ელიან.

# დაყაჩაღებულის გარდაცვალების მიზეზი დგინდება

თბილისში კიდევ ერთი ყაჩაღობა დასრულდა სიკვდილით. გუშინ დილით, დაახლოებით 5.30 საათზე აბაშიძის ქუჩა 42-ში, ჩაჩავების ოჯახში, რომლებიც რვასართულიანი ბინის მეოთხე სართულზე ცხოვრობენ, აივნიდან ოთხი ნიღბიანი ყაჩაღი შევიდა. სახლში 74 წლის გიგუცა ჩაჩავა და მისი მეუღლე იყვნენ. თავდამსხმელებმა ნელი ჩაჩავა ძალით მეორე ოთახში გაიყვანეს. რა ხდებოდა იმ ოთახში, სადაც ყაჩაღებმა გიგუცა ჩაჩავა დატოვეს, დიასახლისს არ დაუნახავს.

თავდასხმიდან რამდენიმე წუთში, ქალის ყვირილზე ჩაჩავების სახლში მეზობლები მივიდნენ, მაგრამ ყაჩაღები უკვე წასულები დახვდათ. გიგუცა ჩაჩავა გარდაცვლილი იყო, ოთახი კი - არეული. სავარაუდოდ, თავდამსხმელები ძვირფასეულობას ეძებდნენ. მოახერხეს თუ არა ყაჩაღებმა რაიმეს წაღება, ამის შესახებ ოჯახის ახლობლებმა და სამართალდამცველებმა ჯერჯერობით არაფერი იციან, რადგან სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ნელი ჩაჩავას დაკითხვა ვერ მოხერხდა. გარდაცვლილი გიგუცა ჩაჩავა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექსპერტიზა ჩაუტარდება. სწორედ ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი გარდაცვალების ზუსტი მიზეზი. ერთ-ერთი ვერსიით, გიგუცა ჩაჩავამ თავდასხმის დროს ინფარქტი მიიღო, თუმცა არსებობს დახრჩობის ვერსიაც, რადგან ოჯახის უფროსს გარეგნული დათვალიერებისას ფიზიკური ძალადობის ნიშნები აღენიშნებოდა.

"გარეგნული დათვალიერებით, გარდაცვლილს აღენიშნება მცირედი ნაჭდევები, თუმცა ექსპერტის დასკვნა მოგვიანებით გახდება ცნობილი, გულის შეტევით გარდაიცვალა ჩაჩავა, თუ ის ასფიქსიის მსხვერპლი გახდა," - განაცხადა ჩვენთან საუბარში ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა თამაზ გეთიამ.

ძალადობის ნიშნები აღენიშნება ნელი ჩაჩავასაც. იყვნენ თუ არა თავდამსხმელები შეიარაღებულნი, ან - რა იარაღით, დიასახლისი ჯერჯერობით ვერ იხსენებს, თუმცა აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს ხელში რაღაც ნივთი ეჭირა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა სამართალდამცველები თავდამსხმელების შესახებ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ფლობენ.

# ანტიკორუფციულმა საბჭომ მიზანში საგზაო პოლიციის შეფი ამოიღო

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ავტომანქანების რეგისტრაციას: საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წელს საქართველოში იმპორტის რეჟიმით შემოყვანილი იქნა 20 231 ავტომობილი, რომელთაგან განბაჟდა 10 772 და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალმა 7,9 მილიონი ლარი შეადგინა. ხოლო დანარჩენი 12 437 (მათ შორის 2 978 დროებითი რეჟიმით ან ტრანზიტულად შემოყვანილი) ავტომობილი, საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, დღემდე არ არის განბაჟებული. მაგრამ შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, ყველა ეს განუბაჟებელი ავტომობილი რეგისტრირებულია საგზაო პოლიციაში, მათზე გაცემულია ტექპასპორტები და სანომრე ნიშნები. ეს კი, ცხადია, კანონის უხეში დარღვევაა. თუმცა, როგორც ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტების დასკვნაშია ნათქვამი, შესაბამისი სტრუქტურები, მაგალითად, საგანგებო ლეგიონი, უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები, უკანონო რეგისტრაციისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენით თავს მაინცდამაინც არ იწუხებენ – 2002-2003 წლებში მათ 49 ასეთი შემთხვევა გამოავლინეს, რაც ანტიკორუფციულის დაანგარიშებით, დარღვევათა საერთო რაოდენობის 0,18 პროცენტს შეადგენს. არადა, **"ანტიკორუფციული ბიუროს სამი თანამშრომლის მიერ ათი დღის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგად... გამოვლენილ იქნა 2002 წლის განმავლობაში განუბაჟებელი ავტომობილების საგზაო პოლიციაში უკანონო რეგისტრაციის 235 ფაქტი,"** - ნათქვამია ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნაში და ფაქტია – მიუხედავად იმისა, რომ გუშინდელ სხდომაზე მიწვეული დავით კობახიძე თავდაცვას სხვადასხვა ციფრებით აპელირებით ცდილობდა, ამ 235 მანქანის არსებობას, რომელთაგან 90 პროცენტი მისსავე მთავარ სამმართველოშია რეგისტრირებული, ვერსად გაექცევა. ძნელია ასევე თავის მართლება იმ ყალბ საბაჟო დეკლარაციებთან მიმართებაში, რომლებსაც არც ნომერი გააჩნიათ და არც თარიღი, სამაგიეროდ, პოლიციაში რეგისტრაციის ფურცელს ერთიც ახლავს და მეორეც.

პასუხისმგებლობას თავს არ ვარიდებო, - ამბობდა გუშინ საგზაო პოლიციის შეფი და სისტემაში არსებული ხარვეზების აღიარებას ულირს თანამშრომლებსა და მათი გამოვლენის სიხშირეზე საუბარს ამჯობინებდა. ანტიკორუფციული თორმეტკაცა მას არ დათანხმებია. მეტიც, სამსაათიანი მსჯელობის შემდეგ მათ საკმაოდ მკაცრი რეკომენდაცია მიიღეს.

**"ეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, განიხილოს სამინისტროს იმ თანამდებობის პირთა საკითხი, რომელთა საქმიანობა უშუალოდ უკავშირდება დასკვნაში მოყვანილ მასალებს, მათ შორის, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის საკითხი. იგივე მოთხოვნა გვაქვს ფინანსთა მინისტრისადმი, ოღონდ საბაჟო დეპარტამენტისა და საგანგებო ლეგიონის თანამდებობის პირებთან მიმართებაში. აგრეთვე, გამოვლენილი დარღვევების შესახებ მასალები გადაეგზავნება პროკურატურას, ხოლო ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნა ეცნობება საქართველოს პრეზიდენტს. ამასთანავე, რადგანაც კონკრეტული პირების გათავისუფლება არ მოაგვარებს პრობლემას, ამიტომ რეკომენდაციაში არის კიდევ ერთი პუნქტი - ეთხოვოს შს და ფინანსთა სამინისტროებს, რომ ერთთვიან ვადაში წარმოადგინონ კონკრეტული გეგმა იმისა, თუ როგორ ხედავენ ამ პრობლემის მოგვარებას,"** - ასეთი გახლავთ ანტიკორუფციული საბჭოს ვერდიქტი.

ფინანსთა მინისტრისთვის ანტიკორუფციული რეკომენდაციების მიღება ერთგვარად ახალი ხილია, მირიან გოგიაშვილი მათ გაცემას უფროა ჩვეული. რაც შეეხება შინაგან საქმეთა მინისტრს, მას ანტიკორუფციულის მითითებები მის სტრუქტურაში თანამდებობის პირთა გათავისუფლების შესახებ ადრეც მიუღია, გაუთავისუფლებია კიდეც ეს პირები, ოღონდ ისე, რომ ამას ანტიკორუფციულისადმი დამორჩილების ელფერი არ მისცემოდა. თუმცა, მას ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე სხვა უწყებიდან გათავისუფლებული თანამდებობის პირებისთვისაც გამოუძებნია სავარძლები შინაგან საქმეთა სამინისტროში. აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცევა იგი საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსთან მიმართებაში.

თუმცა ერთიცაა, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიზანში ამოღებული, როგორც წესი, განწირულია.

# მორიგი ენერგოსკანდალი და ჰაერიდან მოხსნილი სამი მილიონი

პირველი გვერდიდან

და შპს "ოპიზას" შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიზანიც ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა იყო: ამ ხელშეკრულების მიხედვით, საბითუმო ბაზარმა თან "საქენერგო-2000"-ის მიმართ 2 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება აღიარა და თან ამ ვალის მოთხოვნის უფლება გაურკვეველი წარმომავლობის შპს "ოპიზას" გადასცა. ხელშეკრულებას ხელს "საქენერგო-2000"-ის დირექტორი ივანე ღლონტი, საბითუმო ბაზრის მაშინდელი დირექტორი დავით ჯიბლაშვილი და შპს "ოპიზას" პრეზიდენტი ნუგზარ თანდარაშვილი აწერენ. დოკუმენტში მითითებულია, რომ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის წამოჭრილი ყოველგვარი დავა შპს "საბანკო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავების განმხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" მიერ უნდა გადაწყდეს. ეს არბიტრაჟი კი, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის შემდეგ – 29 მარტს არის დაფუძნებული.

თუმცა, ეს არ არის ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ერთადერთი "უცნაურობა". საქმე ის არის, რომ ეს დოკუმენტი საბითუმო ბაზრის კანცელარიაში საერთოდ არ არის რეგისტრირებული. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში საბითუმო ბაზარს "საქენერგო-2000"-ის დავალიანება საერთოდ არ გააჩნდა. მეტიც, ამ დროისთვის საბითუმო ბაზრისადმი 11 მილიონ ლარამდე თავად "საქენერგო-2000"-ს ემართა. ამდენად, არ არსებობს არც ბუღალტრული დადასტურება იმისა, რომ ეს ვალი მართლაც არსებობდა.

და ბოლოს: დღეს დავით ჯიბლაშვილი ამ ხელშეკრულებაზე არსებულ საკუთარ ხელმოწერას არ ადასტურებს და მსგავსი შეთანხმების არსებობას საერთოდ უარყოფს: **"ეს არ არის ჩემი ხელმოწერა. დოკუმენტი გაყალბებულია, თან - საკმაოდ არაპროფესიონალურად. გაყალბებულია საბითუმო ბაზრის ბეჭედიც. ჩემი მოღვაწეობის პერიოდში კერძო სტრუქტურების ვალების აღიარების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მართალია, იმ დროს მრავალი კერძო სტრუქტურა ვალებს სასამართლოს გზით გვედავებოდა, მაგრამ ჩვენ ჩვენით ეს ვალები არასოდეს გვიღიარებია. ერთი პერიოდი "საქენერგო-2000" სვამდა საკითხს, რომ მისი ვალები საბითუმო ბაზარს გადაეწერა, მაგრამ ეს საკითხი არც კი განხილულა."**

ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი აცხადებს, რომ **"ჯიბლაშვილის დროს საბითუმო ბაზარი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირდაპირი მითითებებით ხელმძღვანელობდა და გადაწყვეტილებებსაც სამინისტროს ზეწოლით იღებდა. მირცხულავა თავად ესწრებოდა ხოლმე ბაზრის სხდომებს."**

ნებისმიერი ახალი მევალის გამოჩენა, როგორც წესი, საბითუმო ბაზრის ანგარიშის დაყადაღებას და, შესაბამისად, ენერგეტიკის კუთვნილი თანხების მოძრაობის შეჩერებას იწვევს. ბუნებრივია, ამის გამო საბითუმო ბაზარს დაყადაღების ნებისმიერი ალბათობა აღელვებს. მით უმეტეს, თუ ეს საშიშროება იმ ფინანსური წრეებიდან მოდის, ვისთან ურთიერთობის მწარე გამოცდილებაც საბითუმო ბაზრის მენეჯერებს უკვე აქვთ. საბითუმო ბაზრის ახალი მოვალის – შპს "ოპიზასა" და შპს "საბანკო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავების განმხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" უკან მდგარ პიროვნებებს კი ისინი უკვე საკმაოდ კარგად იცნობენ. როგორც ირკვევა, შპს "ოპიზას" ადვოკატი დავით შველიძე, იმავდროულად, შპს "საბანკო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის სამოქალაქო დავების განმხილველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" იურისტიცაა. გარდა ამისა, იგი წარმოადგენდა "საფოსტო ბანკს", როცა საბითუმო ბაზარს "თბილსრესის" მიერ შპს "ოგასთვის" გადაცემულ ვალს – 2 მილიონ ლარს "საფოსტო ბანკი" ედავებოდა. **"ეს ორი ორგანიზაცია – ერთი გუნდია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამავე სქემით, ამავე ხალხის მონაწილეობით, თავის დროზე, 2002 წელს საფოსტო ბანკმა 1 მილიონ 800 ათასი ლარი წაგვართვა. მაშინაც არაფერი ვიცოდით დავალიანების არსებობის შესახებ. არბიტრაჟში გამოგვიძახეს, საქმის ვითარება გაგვაცნეს და საქმე იქვე წაგვაგებინეს,"** – აცხადებენ საბითუმო ბაზარში.

ბაზარმა არბიტრაჟს ჯიბლაშვილის ხელმოწერის ექსპერტიზა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. **"არარსებულ ვალს გვედავებიან,"** – აცხადებენ საბითუმო ბაზარში და შიშობენ, რომ თუ მორიგი სკანდალური საქმეც ტრადიციულად ჩაიფარცხება, ენერგეტიკას გამოუსწორებელი ზარალი მიადგება. ამის გამო, საბითუმო ბაზარმა წერილობით მიმართა უშიშროების სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას და ხელშეკრულების გამყალბებელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

საბითუმო ბაზარში მიიჩნევენ, რომ "საფოსტო ბანკსა" და "მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ჯგუფს" ენერგეტიკაზე "თვალი ცუდად აქვს დადგმული" და ეს უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა ვალების გადაცემის მექანიზმებს ენერგეტიკული აქტივების ხელში ჩაგდებისათვის იყენებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანია რუსულ კომპანია „ტრანსნეფტს" ნოვოროსიისკი-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას სთავაზობს. როგორც რუსეთის საინფორმაციო სერვერი km.ru ვარაუდობს, ნავთობსადენის მშენებლობა 600 მილიონი დოლარი დაჯდება და ის წელიწადში 50 მილიონ ტონა ნავთობს გაატარებს. ამ მილსადენით უნდა გადაიტვირთოს კასპიის მილსადენის კონსორციუმის კუთვნილი მილებით ციმბირიდან გადატუმბული და ნოვოროსიისკში მახაჩკალიდან რკინიგზით გადაზიდული ნავთობი. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში გერმანიის სასაზღვრო პოლიციის მუდმივი წარმომადგენლის პოსტზე დანიშნული მოკავშირე ოფიცერი ნორბერტ იაკატი გერმანიის საელჩომ თბილისში ოფიციალურად წარადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს აკვირვებს, თუ რატომ უჭერს მხარს ამერიკა საქართველოს ხელისუფლებას, "რომელსაც არ აქვს არავითარი პოტენციური შესაძლებლობები ქვეყნის მართვისა და რომელსაც აბსოლუტურად აქვს დაკარგული იმიჯი საკუთარ მოსახლეობაში". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო კომპლექსური ღონისძიებების გატარებას შეუდგა იმასთან დაკავშირებით, რომ არ დაუშვას საქართველოს მხრიდან აფხაზურ პორტებში გემების შესვლის შეზღუდვა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ფრაქცია "ტრადიციონალისტის" ლიდერი აკაკი ასათიანი "ძალიან საკამათო საკითხს" უწოდებს ცხინვალისა და ჯავის საარჩევნო ოლქის აღდგენის ინიციატივას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი პროვოკაციულს უწოდებს პარლამენტარ ბადრი ხატიძის წინადადებას 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ცხინვალსა და ჯავის რაიონში საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გაეროს გენერალური მდივნის 26 ივლისის მოხსენებაში არაფერია ნათქვამია გაეროს წესდების მეშვიდე თავის (იძულება მშვიდობისთვის) ამოქმედების შესახებ. კოფი ანანის ამ მოხსენების საფუძველზე გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა 31 ივლისს უნდა მიიღოს რეზოლუცია აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვეტერანი პატიმრების შეწყალების საკითხზე მუშაობა ისევ გრძელდება განაცხადა საქართველოს სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა. მისი თქმით, პატიმართა შეწყალების პროექტზე მუშაობის პერიოდში ყოფილი მებრძოლების, ამჟამად მსჯავრდებულების ახალი სიები მზადდება. როგორც სახალხო დამცველმა განმარტა, საქართველოს პრეზიდენტმა მიმდინარე წლის მაისში 250 ვეტერანი პატიმრის შეწყალების აქტს მოაწერა ხელი. შეწყალების პროექტის მიხედვით, ვეტერან მსჯავრდებულებს დარჩენილი სასჯელის ზომის 1/3 მოაკლდათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავთანდილ ყვავაძე თავდაპირველად სამართალდამცველებმა საბრძოლო მასალის უკანონოდ შენახვისთვის დააკავეს, შემდეგ კი საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამსახურმა მას ყაჩაღობაში დასდო ბრალი. გამოძიების მონაცემებით, ყვავაძემ, სამ თანამზრახველთან ერთად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დააყაჩაღა ოთარ მარღანია და ლევან იაკობაშვილი, რომელთაც 278 ათასი რუსული რუბლი და მობილური ტელეფონები წაართვეს. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს შპს "რუსთავგაზის" ხელმძღვანელობის მიმართ. მათ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობის გადასახადებს თავი აარიდეს. კერძოდ, "რუსთავგაზის" ხელმძღვანელობამ სახელმწიფო ბიუჯეტს 286 392 ლარი დაუმალა. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გრიგოლ ჯიქია პოლიციელებმა ავტომანქანიდან მობილური ტელეფონის ქურდობის ბრალდებით დააკავეს. ჯიქია პოლიციელებმა ცხელ კვალზე დააკავეს და მობილური ტელეფონი მფლობელს დაუბრუნეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაესი სასამართლო ხვალ განიხილავს პარლამენტარ ჯემალ გამახარიას საჩივარს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის მიმართ. გამახარიამ სასამართლოს ნადარეიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გამო მიმართა. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატს აფხაზებთან ალიანსში ადანაშაულებდა. ნადარეიშვილის თქმით, „გამახარიამ სოხუმის დაცემის დღე საზეიმოდ აღნიშნა, რაზედაც არსებობს ვიდეოჩანაწერი". **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# შიშის ლიკვიდაცია მხოლოდ კონტროლის განხორციელებითაა შესაძლებელი

პირველი გვერდიდან

**- ასეთ შემთხვევებში რამდენად რეალურად მიგაჩნიათ მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილზე უარის თქმა და ემუქრება თუ არა საქართველოს ამის საფრთხე?**

- თავის დროზე, ევროპულმა ორგანიზაციებმა მიიღეს მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომლის თანახმადაც იზღუდება ენერგომატარებლებზე ერთი კონკრეტული ქვეყნის უფლებები. მე კარგად მახსოვს, რომ დღემდე ანატოლი ჩუბაისის სისტემას საქართველოზე ეკონომიკური ზეწოლის მოხდენა არ განუხორციელებია და მათი ურთიერთობები მხოლოდ კომერციულ სიბრტყეზე ვითარდებოდა და - მომგებიანადაც.

**- ჩუბაისი, თუ გახსოვთ, სისტემატურად უთიშავდა ელექტროენერგიას რუსეთის რეგიონებს, რითიც ურჩ გადამხდელებს დავლიანების დაფარვას სთხოვდა. იგივეს საქართველოში სხვა ელფერი ხომ არ ექნება?**

- ვალებს გადახდა რომ უნდა, არავისთვის სიახლე არ არის და უფასოდ შუქს საქართველოს კი არა, საკუთარ სუბიექტებსაც არ ჩუქნიან რუსეთში, ამიტომ საქართველოსთან ასე იქნება, მაგრამ, ვიმეორებ, ამაში მე პოლიტიკას ვერ ვხედავ. ეს სუფთა კომერციაა. ვერ გავიზიარებ თბილისის მოსაზრებას, რომ ამით მოსკოვი პოლიტიკური გავლენის ბერკეტებს იგდებს ხელში. "გაზპრომი" "რაო ეესისაგან" განსხვავებით, უფრო მეტადაა პოლიტიზებული და შეიძლება მართლა მოვიაზროთ, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტი, მაგრამ საქართველოში ვერავინ დაიწუწუნებს, რომ ჩვენ გაზს არაკეთილსინდისიერად ვაწვდიდით. თანაც დღეს რუსეთი მეტადაა დაინტერესებული, რომ გაზის ახალმა სისტემამ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში აწყობილად იმუშაოს.

**- კი, მაგრამ ხომ არსებობს ენერგოსისტემების მონოპოლიზირებით ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზეც ზეწოლის მაგალითებიც?**

- არსებობს. მაგალითად, როცა რუსეთმა ლიტვის ენერგოსისტემების ბლოკადა მოაწყო, მაგრამ ეს დრო უკვე ისტორიას ჩაბარდა და რუსეთის ენერგოკომპანიები სსრკ-ს აღდგენას დღეს ნამდვილად არ აპირებენ. საამისოდ რუსეთს დღეს მეზობელ რესპუბლიკებზე გავლენის სხვა, უფრო ფაქიზი ინსტრუმენტები გააჩნია. ვერ გავიზიარებ ჩემი თბილისელი მეგობრების შიშს, რომ საქართველოს სუვერენიტეტს საშიშროება ემუქრება, თუმცა არსებობს ამის თეორიული საფრთხეც.

მაგრამ რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების შიშით მომგებიან ეკონომიკურ პროექტებზე უარის თქმა არ იქნებოდა გამართლებული. შიშს დიდი თვალები უნდა ჰქონდეს, ამიტომ საქართველოს ოპოზიციას სიმშვიდისაკენ ნამდვილად ვერ მოვუწოდებ. შიშის ლიკვიდაცია მხოლოდ კონტროლის განხორციელებითაა შესაძლებელი და ასე ხდება კიდეც დასავლეთის სახელმწიფოებში. თუ კონტროლი იარსებებს, ენერგოსისტემების მუშაობაში, რუსეთის გარდა, სხვა სახელმწიფოების მოწვევაც პირველ რიგში საქრთველოსათვის იქნებოდა მომგებიანი.

# "აღორძინება" და საპარლამენტო უმრავლესობა - ერთ ნავში

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის წარმომადგენელთა თქმით, უმრავლესობის მიერ ბეიკერის გეგმისთვის გუნდრუკის კმევა არის მხოლოდ პოზა, სინამდვილეში კი ხელისუფლების მხარდამჭერ ფრაქციათა კაბინეტებში "დაადგინეს", რომ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება არასწორი გადაწყვეტილება იყო და ეს "შეცდომა" უნდა გამოსწორდეს. ეჭვს, რომ ეს მართლაც ასეა, ისიც აძლიერებს, რომ უმრავლესობის ერთ-ერთ წევრს გუშინ მიკროფონთან წამოსცდა: **"რა მნიშვნელობა აქვს, კანონპროექტი პირველი მოსმენის დროს ჩავარდება თუ მეორე მოსმენისას?"**

იმას, რომ საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის გზაზე გასულ კვირაში გადადგმულ პირველ ნაბიჯს საქართველოს პრეზიდენტი იწონებს და მიესალმება, სახელისუფლებო ბლოკის ზოგიერთი წარმომადგენელი მეტად უცნაურ ინტერპრეტაციას აძლევს.

**"პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს. მას ღამის პირველ საათზე დაურეკეს და უთხრეს, რომ ბეიკერის პრინციპებს ეყრებოდა კენჭი და შევარდნაძეს მის მხარდაჭერაზე თანხმობა ათქმევინეს,"** - აცხადებს ფრაქცია "სოციალისტის" თავმჯდომარე, რომელიც გუშინ სახელისუფლებო ბლოკის სახელით აკეთებდა განმარტებებს.

თუმცა, უმრავლესობის წევრები, ძირითადად, მაინც ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ და კანონპროექტის ტორპედირებას "აღორძინების" ხელით აპირებენ. პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტზე თავდასხმას გუშინ, მართლაც, მხოლოდ ბათუმური ალიანსი ახორციელებდა.

სამართლიანობის მედროშედ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია "აღორძინების" წევრი გოჩა პაიჭაძე გამოდის, რომლის მტკიცებითაც, კანონპროექტი, პირველი მოსმენით, რეგლამენტის დარღვევით იქნა მიღებული.

**"არ მომხდარა საპარლამენტო განხილვის ვადების განსაზღვრა და კანონპროექტი კომიტეტებში არ განხილულა,"** - აღნიშნავს პაიჭაძე და ითხოვს, რომ დარღვევების ხასიათი საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა შეისწავლოს და კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს.

ეტყობა, თავისი "წამოწყების" წარმატებით დასრულების იმედი თავად პაიჭაძესაც არ ჰქონდა. **"ვგრძნობ, რომ ჩემი არგუმენტების მოსმენა სხდომათა დარბაზისთვის საინტერესო არ არის,"** - აღიარა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ. მითუმეტეს, პაიჭაძეს მისი მოთხოვნების არამართებულობა რამდენჯერმე დაუსაბუთეს.

**"ამ კანონპროექტის ძირითადი ნაწილი, სხვადასხვა დროს, უკვე იყო პარლამენტში განხილული, ხოლო არსებული განსხვავებები პრინციპულ საკითხებს არ ეხება და ამდენად, მეორე მოსმენის საგანია,"** - განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ, მაგრამ რისი მოსმენაც ხელს არ აძლევდა, "აღორძინებამ" "ვერ გაიგო", ისევე, როგორც განმარტება იმის თაობაზე, რომ გაპროტესტების ვადები დარღვეულია და თუ კანონპროექტის მოწინააღმდეგეებმა რაიმე დარღვევა შენიშნეს, ამის შესახებ კენჭისყრის პროცედურის დასრულებისთანავე უნდა განეცხადებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ "აღორძინების" არგუმენტებს მალევე შეუდგა წყალი, ბათუმური ალიანსის წარმომადგენლებმა, საპროცედურო "ცუღლუტობებით", სხდომის გაწელვა მაინც მოახერხეს, რის გამოც გუშინდელი დღე წყლის ნაყვა გამოდგა.

პასუხს კითხვაზე, თუ რატომ იბრძვის "აღორძინება" ასე ხმალშემართული ცესკო-ს დაკომპლექტების წესის მიღების წინააღმდეგ, ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი იძლევა.

**"ახალი კანონის მიღება იმიტომ არ გინდათ, რომ ძველ საარჩევნო კომისიებში მეტი წარმომადგენელი გყავთ. ამასთან, გეშინიათ, რომ თუ ბეიკერის გეგმა გავიდა, არჩევნებს დაესწრება ძალიან ბევრი დამკვირვებელი, მოხდება ხმების პარალელური დათვლა და იქნება მაქსიმალური გამჭვირვალობა,"** - მიმართავს წერეთელი ჯემალ გოგიტიძეს. ამასთან, ვიცე-სპიკერს ვერ გაუგია ლოგიკა, რომლის მიხედვითაც, პირველი მოსმენის დროს პირადად მან მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ ავტონომიებს საარჩევნო კომისიებში თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდათ, მაგრამ ამ ვარიანტს "აღორძინებამ" ხმა არ მისცა.

ბათუმური ბლოკის ლიდერების - ჯემალ გოგიტიძისა და სანდრო ბრეგაძის არგუმენტაცია გუშინ, ძირითადად, იმით შემოიფარგლებოდა, რომ ძველი და ახალი "მოქალაქეთა კავშირი" ერთიანდება და ჭეშმარიტ ოპოზიციას მხოლოდ "აღორძინება" წარმოადგენს.

ამ "თეორიის" მოსმენა, რომელმაც სხდომათა დარბაზში არაერთხელ გაიჟღერა, ფიქრია ჩიხრაძეს, ეტყობა, ძალიან მობეზრდა.

**"კარგი, ვთქვათ, ძველი თანაგუნდელები მართლა შევეკარით ერთმანეთს და ვერთიანდებით, მაშინ გამაგებინეთ, უმრავლესობა თქვენ რატომ გიჭერთ მხარს?"** - გოგიტიძისადმი მიმართული კითხვა კითხვად დარჩა: ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარეს თავისი ბათუმელი კოლეგისგან პასუხი არ მიუღია.

რიგგარეშე სესია დღეს განახლდება და როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ირწმუნება, იგი საარჩევნო კანონპროექტის მეორე მოსმენით დაიწყება.

# აშშ-ს ელჩის შეხვედრა პრეზიდენტთან

აშშ-ს ელჩი საქართველოში ბოლო პერიოდში პრეზიდენტთან საკმაოდ ხშირად სტუმრობს.

ამჯერად საუბრის თემა უნდა ყოფილიყო ენერგეტიკასთან დაკავშირებული პროცესები. გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, საქართველოს პრეზიდენტის კვალდაკვალ, პირველად განაცხადა, რომ ეი-ი-ეს-ის აქციების შესყიდვაზე საუბრები **"შესაძლოა ქართველ ბიზნესმენებთანაც მიმდინარეობდეს".**

გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ს ელჩი დაინტერესდა პურის ფასების გაზრდასა და დავით კირვალიძესთან დაკავშირებული საკითხებით.

პრეზიდენტის კაბინეტიდან გმოსულ აშშ-ს ელჩს გუშინ არ უარუყვია, რომ პრეზიდენტს აღნიშნულ თემებზე ესაუბრა, მაგრამ დეტალებზე, ტრადიციისამებრ, არ შეჩერებულა.

*24 საათი*

# "გაზპრომთან" მეგობრობა სახიფათოა

მაია ურუშაძე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ექსპერტებმა ვერ დაარწმუნეს მირცხულავა, რომ "გაზპრომთან" მეგობრობა სახიფათოა.*

გუშინ, არასამთავრობო ორგანიზაციის - "პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის" (PSI) და მასთან არსებული კასპიისპირეთის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების კვლევების ცენტრის მიერ ორგანიზებულ მორიგ შეხვედრაზე, ენერგეტიკის დარგის ექსპერტები ამაოდ ეცადნენ, დაერწმუნებინათ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, რომ "გაზპრომთან" სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების ხელმოწერა საქართველოსთვის ძალიან სახიფათოა.

"გაზპრომთან" "დამეგობრების" სასარგებლოდ მირცხულავას თავისი არგუმენტები ჰქონდა. ის აცხადებდა, რომ ეს ხელშეკრულება საქართველოსთვის აუცილებელია, რადგან დღევანდელ მომწოდებელ "იტერას" რუსეთში პრობლემები აქვს და, "გაზპრომთან" პარტნიორობის გარეშე, საქართველო, შესაძლოა, გაზის გარეშე დარჩეს. თუმცა, მირცხულავას არგუმენტებს ექსპერტები ეჭვის თვალით უყურებენ და ხელისუფლებას მეტი სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ.

**"კომერციული თვალსაზრისით, "გაზპრომისთვის" ჩვენი ენერგობაზარი მიმზიდველი არ არის,"** – აცხადებდა "საქართველო ნატოში" ოფისის დირექტორი ირაკლი არეშიძე. **"რუსეთის იდეა-ფიქსი – შაჰდენიზის პროექტის ჩაგდებაა,"** – ასეთია კასპიისპირეთის რეგიონის ენერგეტიკული პროექტების კვლევების ცენტრის ექსპერტის ლიანა ჯერვალიძის პოზიცია.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მირცხულავას მიერ "გაზპრომთან" გასაფორმებელი ხელშეკრულება ორაზროვნად არის შედგენილი. **"ხელშეკრულებაში ნახსენებია მილსადენების რეაბილიტაცია, დისტრიბუცია და მარკეტინგი. ეს ქვეყნისათვის სახიფათოა და, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის შაჰდენიზის პროექტის განხორციელებას,"** – განაცხადა "პი-ეი კონსალტინგის" ექსპერტმა, პროფესორმა თემურ გოჩიტაშვილმა გუშინდელ შეხვედრაზე.

ექსპერტები ხედავენ საშიშროებას, რომ "გაზპრომი" საქართველოს ბაზარზე შემოსვლისთანავე ვალების დაგროვების ნაცად ხერხს აამოქმედებს და, საბოლოოდ, საქართველოს გაზის სექტორზე სრულ კონტროლს მოიპოვებს. მით უმეტეს, რომ დღეს ქვეყანაში გაზის სადისტრიბუციო სისტემა მთლიანად მოშლილია, ყველაზე მსხვილ სადისტრიბუციო ქსელში - "თბილგაზში" კი "გაზპრომთან" დამეგობრების მთავარი მომხრის – გაზის კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის ხელდასხმული კომპანია "ახალი მენეჯმენტი" შედის.

# სეკვესტრი - განხეთქილების ვაშლი

პირველი გვერდიდან

ცალკეულ ციფრებს და ხვალისთვის პრეზიდენტს **"არა მიახლოებულ, არამედ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებულ სეკვესტრის პროექტს წარუდგენს".** ისაკაძის მტკიცებით, საუბარია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განსაზღვრულ ციფრებზე, ანუ 135 მილიონი ლარის საერთო გარღვევასა და 95,9 მილიონი ლარის სეკვესტრზე ხარჯვით ნაწილში.

კარგად ინფორმირებული წყაროს თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით, დღევანდელი მთავრობის სხდომის შემდეგ, ერთი საგანგებო თათბირი კიდევ გაიმართება და პროექტის საბოლოო ციფრებიც იქ დაზუსტდება.

ცალკე საკითხია ის პერსპექტივა, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს საქართველოს საკანონმდებლო სტრუქტურაში ელის. საპარლამენტო ოპოზიცია, უკვე კარგა ხანია, ამ პროექტის "დასახვედრად" და მის საფუძველზე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად ემზადება. რა თქმა უნდა, ოპოზიცია ბოლო წლების განმავლობაში უკვე დარწმუნდა, რომ პასუხისმგებლობის საკითხის დასასმელად მხოლოდ მათი ძალები საკმარისი არ არის, რაც 2003 წლის ბიუჯეტის დამტკიცების ფაქტმაც დაადასტურა. თუმცა, თუ არსებულ ძალთა ბალანსს და შექმნილ სიტუაციას გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ დღეს ოპოზიციას შედარებით უფრო მეტი პრობლემა შეუძლია შეუქმნას სახელისუფლებო პროექტს, ვიდრე ბიუჯეტის დამტკიცების დროს. მიზეზი მარტივია - ბიუჯეტის დასამტკიცებლად ხელისუფლებამ თავის დროზე საკმაოდ ბევრი ისეთი მუხლი და ციფრი გაითვალისწინა კანონში, რომლებიც უშუალოდ ცალკეულ მაჟორიტარ დეპუტატებზე ან ცალკეულ ოპოზიციურ ფრაქციებზე იყო გათვლილი. ახლა კი, თუ შესამცირებელ მუხლებს გადავხედავთ, დიდი წილი სწორედ ამ "დამთმობებზე" (მაგალითად - საინვესტიციო ფონდზე, რეგიონულ ტრანსფერებზე და ა.შ.) მოდის. ეს კი ნიშნავს, რომ მხარდამჭერთა ნაწილი მთავრობას უკვე დაკარგული ჰყავს. პარალელურად, შიდასახელისუფლებო დაპირისპირების წყალობით, პასუხისმგებლობის თემაზე ოპოზიციასთან ერთად საუბარს იწყებს სახელისუფლებო ძალაც, მაგალითად, ირაკლი ბათიაშვილი, "სოციალისტები"... ასე რომ, ბიუჯეტის სეკვესტრის საკითხის განხილვა პარლამენტში, სავარაუდოდ, საკმაოდ ხმაურიანად ჩაივლის. თუმცა, სავარაუდოა, რომ ხელისუფლებას ხელს ისევ წააშველებს საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც დღეს მთავრობაში, როგორც ჩანს, კირვალიძის გარდა "ზედმეტი მინისტრი" არ ეგულება.

## მოკლედ

### ბაღათურია-ნადარეიშვილის დავა განახლდა

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო პალატა ჯონდი ბაღათურიასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის დავის განხილვას დღეს გააგრძელებს.

უზენაესი სასამართლო იხილავს თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერებას, რომლითაც თამაზ ნადარეიშვილის სასარგებლოდ ბაღათურიას მასმედიის საშუალებით ბოდიშის მოხდა და 5 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა თამაზ ნადარეიშვილის მოთხოვნა, რომელიც ბაღათურიას სასამართლოში ბოდიშის მოხდასა და 600 ათას ლარს სთხოვდა. ნადარეიშვილმა სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც ჯონდი ბაღათურიამ 2002 წლის 2 ოქტომბერს პრესკონფერენციაზე და „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში ნადარეიშვილს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერთან ვლადისლავ არძინბასთან ალიანსში დასდო ბრალი. ბაღათურიამ ასევე განაცხადა, რომ თამაზ ნადარეიშვილი დევნილების ფულს ფლანგავს და საერთო ბიზნესი აქვს აფხაზებთან.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 5 ლიტრი სპირტი და 8 ლიტრი ღვინო აღმოჩნდა იმ ამანათში, რომელიც მოქალაქე ხვიჩა ნადირაძემ რუსთავის №2 დაწესებულებაში მსჯავრდებულ გელა გელაშვილისთვის გუშინ მიიტანა. კოლონიაში სპირტისა და ღვინის შეგზავნის მცდელობაზე მოკვლევას ატარებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 15 წლის ტარიელ ნადირაძეს ბრალად ედება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება. როგორც თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურში განაცხადეს, ნადირაძემ სამველ ხალილიანს ზურგის არეში დანით ჭრილობა მიაყენა. **მედია-ნიუსი**

bp btc AIOC

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან,საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით,საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს,და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს,რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP",თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალობის და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას,გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა,რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია,რაც უზრუნველყოფს,ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჟამად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან) რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მიესალმებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების,არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი,საბურთალოს ქ.38 თბილისი,ტელ: 59 34 00

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74,ოთახი 901,თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7,თბილისი

რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20,რუსთავი

ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18,ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com )



# "თქვენი აფხაზეთი"

# ჩვენ მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია

## ასეულობით ათას ადამიანს ჩავრთავთ და მთელი საქართველოს პარალიზებას მოვახდენთ

*"მე წარმოვადგენ აფხაზეთის ყველაზე ძლიერ შტოს, შერვაშიძეების შტოს. ჩემი ბებია, დედაჩემის დედა - მერი შერვაშიძე აფხაზეთის მთავარი იყო, მას მთლიანად ეკუთვნოდა აფხაზეთი. ბაბუაჩემის მამა სოხუმის თავი იყო, სათავადო ოჩამჩირეში ჰქონდა. გაგრა ბაბუაჩემმა დააარსა, პრინც ოლდენბურგსკისთან ერთად ნიკოლოზ მეორეც დაესწრო ამ ქალაქის, როგორც ელიტარული კურორტის გახსნას," – თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთისა და აფხაზების ფსიქოლოგიის ცოდნაში მას საქართველოში ვერავინ შეეჯიბრება.*

სოფო ბუკია

- როდესაც ავადმყოფი ექიმთან მიდის, თუ მას სწორი დიაგნოზი არ დაუსვეს და სწორად არ უმკურნალეს, ის ვერ მორჩება. ასეთ ვითარებაში ვართ ჩვენც. დიაგნოზი დღემდე არასწორად გვაქვს დასმული, არასწორად ვმკურნალობთ და, ბუნებრივია, ერთი წუთითაც არ მეეჭვებოდა, რომ შედეგი იქნებოდა ნული. მიმაჩნია, რომ ეს პროცესები საზიანოა მთლიანად საქართველოსათვის. საქმე ეხება ჩვენი სახელმწიფოს არსებობა-არარსებობას.

**- რაში მდგომარეობს არასწორი დიაგნოზი?**

- ქართული საზოგადოება აფხაზეთის პრობლემას აფასებს, როგორც ქართულ-აფხაზურ ეთნიკურ კონფლიქტს. მიზეზად სახელდება ის, რომ ქართველებმა და აფხაზებმა რაღაც ვერ გაიყვეს. აფხაზეთში იყო ფეხბურთის ორი გუნდი, ორი თეატრი, ორი უნივერსიტეტი და ა.შ. და ამ ნიადაგზე მოხდა გარკვეული შეჯახება. დღეს კი საჭიროა შერიგება და ყველაფერი კარგად იქნება, დავიწყებთ ისევ ძველებურად ცხოვრებას. ეს არასწორია, რადგან უნდა შევიგნოთ და გავიაზროთ, რომ კონფლიქტი სამხედრო-პოლიტიკურია და არა ეთნიკური, დაპირისპირებული მხარეები არიან საქართველო და რუსეთი და არა აფხაზეთი. აფხაზებს არავინ ეკითხებოდა არც ომის დაწყებას და არც ომის დამთავრებას არავინ კითხავს. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეთნიკური დაპირისპირების ნიშნები ქართველებსა და აფხაზებს შორის ყოველთვის იყო და სწორედ ეს გახდა რუსეთის ბერკეტი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. დაიშალა თუ არა საბჭოთა კავშირი, მან ეს ბერკეტი გამოიყენა.

**- თქვენი აზრით, ერთ მშვენიერ დღეს ქართველებმა და აფხაზებმა კონსტრუქციული დიალოგი რომ გამართონ და ერთმანეთთან მოლაპარაკებებზე წავიდნენ, ეს ვერაფერს შეცვლის?**

- სწორედ ამის თქმა მინდა. პირიქით, თუ ქართველებმა და აფხაზებმა რაიმე საერთოს გამონახვა შეძლეს, ეს კიდევ უფრო გაალიზიანებს რუსეთს და აიძულებს, ახალი სიმძაფრით განაახლოს ეს კონფლიქტი. ამის მაგალითები ბევრია ისტორიაში. ხრუშჩოვი ყოველთვის ეუბნებოდა ქართველებს: თუ ჭკვიანად არ მოიქცევით, აფხაზებს მოგისევთო. გავიხსენოთ სუსლოვი, ყოფილი პოლიტბიუროს წევრი, 1961 წელს პოლიტბიუროს სხდომაზე მან ასეთი რამე თქვა: ჩვენ უნდა დავუპირისპირდეთ საქართველოს იმ რესურსებით და ბერკეტებით, რომლებიც არსებობს თვითონ ამ ქვეყანაში. თანამედროვე რუსი მაღალჩინოსნებიც იგივეს აფიქსირებენ.

**- რუსეთის ეს პოზიცია საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ქართველებმა რა დაუპირისპირეს ამ პოლიტიკას თვის დროზე, როგორ ვებრძვით ამ პოლიტიკას დღეს?**

- არც მაშინ და არც დღეს რუსეთის ამგვარ პოლიტიკასთან ბრძოლა და დაპირისპირება არავის თავში არ მოსვლია. გადაავლეთ თვალი ისტორიას, გავიხსენოთ, რომ სოჭი ოდესღაც ქართული ტერიტორია იყო. ჩაატარეთ თბილისის ქუჩებში გამოკითხვა და ნახავთ, რომ ეს ამბავი ბევრს არ ახსოვს. კრასნოდარის მხარე, დღევანდელი რუსული გუბერნია, ოდესღაც საქართველო იყო, რომელიც ჩვენ ანექსიის შედეგად წაგვართვეს. ამ ტერიტორიაზე აფხაზების მონათესავე ტომები - შაფსუხები და უბიხები ცხოვრობდნენ. წლების წინ ამ ტომებს დაევალა ის, რაც დღეს ევალება აფხაზებს, მათ ეს შეასრულეს, დაიწყო ქართველების გამოდევნა და შემდეგ რუსეთმა ეს ტერიტორიები ისე აითვისა, რომ დღეს არავის ახსოვს ამ მიწა-წყლის ქართული წარმომავლობა, ხოლო შაფსუხები და უბიხები საერთოდ აღარ არსებობენ. ისინი ამოწყვიტეს. მგონი, საკმაოდ ნაცნობი სიტუაციაა. დიახ, ეს ხდება დღეს აფხაზეთში. აფხაზები შაფსუხების და უბიხების გზას ადგანან, დღეს ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან.

ორი დღის წინ მომიტანეს წერილი, რომელიც ცხადყოფს აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებისა და რესპუბლიკა კომის შორის მიმოწერას. კომის თავკაცები არძინბას ხელისუფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე ხუთი ათასამდე ადამიანის ჩასახლებას თხოვენ. ასეთი მთხოვნელები აფხაზეთს ბევრი ჰყავს.

**- თქვენ საკმაოდ მძიმე სურათი დახატეთ, ალბათ - რეალური. პირველი შთაბეჭდილება ისაა, რომ ფაქტობრივად, აფხაზების მდგომარეობაც საკმაოდ მძიმეა, მათი ინტერესიცაა, რომ ჩვენ მოვილაპარაკოთ და რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას დავუპირისპირდეთ. არ არის ეს მათთან ურთიერთობის საფუძველი?**



*თამაზ ნადარეიშვილი*

- კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ, სინთეზი ამ კონფლიქტის იმდენად ღრმად არის წასული, რომ აფხაზები აქ ვერაფერს წყვეტენ. მაგალითებს მოგიყვანთ. ალბათ, გაგიგიათ ზურაბ აჩბა, აფხაზეთში საკმაოდ გავლენიანი ფიგურა და აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი გახლდათ, ჩემი ნათესავი იყო. როდესაც მან დაინახა, რაც ხდებოდა აფხაზეთში - ვგულისხმობ იმ ეთნიკური წმენდას, რაც აფხაზებმა რუსების დახმარებითა და დავალებით ჩაიდინეს - ვერ გაუძლო ამ მდგომარეობას და დატოვა აფხაზეთი. მაშინ ბევრი აფხაზი მოიქცა ასე, მათ შორის იყო ზურაბ აჩბაც. მოსკოვში ხუთწლიანი ცხოვრების შემდეგ აჩბა სოხუმში დაბრუნდა და დააარსა პოლიტიკური ორგანიზაცია. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მან თქვა, რომ აფხაზებმა ქართველებთან ერთად უნდა აიწყონ ცხოვრება, მათთან ერთად უნდა იცხოვრონ ერთ სახელმწიფოში და წამოიღონ რაც შეიძლება მეტი უფლებამოსილება აფხაზეთისთვის. ამ განცხადებიდან მესამე დღეს აჩბა მოკლეს. შემდეგ მოკლეს მისი ორგანიზაციის რამდენიმე წევრი. შიშის სინდრომმა მოიცვა მთელი აფხაზეთი. დღეს არც ერთი აფხაზი არ წამოვა საქართველოსთან კონსტრუქციულ დიალოგზე. არ ვიცი, გულში რა უდევთ, მაგრამ რეალურად ამის გაკეთების საშუალებას მათ რუსეთი არ მისცემს. აფხაზეთის ძალით დაბრუნების იდეა პირველივე დღიდან კი არ მაწუხებდა. 1995-1996 წლებში ჩვენ შევეცადეთ, რაღაც კავშირები დაგვემყარებინა აფხაზებთან. ქართველებმა და აფხაზებმა მოვახერხეთ მესამე მხარის ჩარევის გარეშე დიალოგის წამოწყება. ამის შესახებ გაიგო პასტუხოვმა და პირდაპირ განუცხადა იმ აფხაზებს, რომელთაც ასეთი იდეა თავში მოუვიდათ, რომ თუკი თქვენ ქართველებთან უჩვენოდ დაიწყებთ მოლაპარაკებას, ჩვენ შეგისევთ ქართველებს. ანუ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა დროს არ ექვემდებარება, იგი არ შეცვლილა არც ნიკოლოზ მეორის, არც კომუნისტების, არც ელცინის და არც პუტინის დროს. ამ პოლიტიკის მთავარი ბერკეტი აფხაზეთია, მიზანი კი - საქართველოს დამოუკიდებლობის არდაშვება.

**- ანუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ რუსეთის ფაქტორი რომ არა, ეთნიკურ დაძაბულობას ადვილად მოვაგვარებთ?**

- ორ დღეში. ამას ორ დღეში მოვაგვარებთ, ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

დავაკვირდეთ იმ პროცესებს, რომლებიც დღეს კავკასიაში ვითარდება. დაიშალა საბჭოთა კავშირი და დაიწყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება. გადანაწილების პროცესი დამთავრდა ევროპაში და ჩვენ ვხედავთ, როგორი შეცვლილი შეხვდა ევროპა XXI საუკუნეს. პარალელურად მიმდინარეობს კავკასიის გადანაწილების პროცესი. რუსეთი ცდილობს თავისი გავლენის სფეროს შენარჩუნებას, აშშ ცდილობს ამ გავლენის სფეროს მოპოვებას. რუსეთის შიში ძალიან მარტივად გასაგებია - საქართველო მისი მეზობელია, რომელიც ისწრაფვის ნატო-სკენ. საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზები, რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესებში არ შედის. რუსეთი გვეუბნება: იყავით ჩვენთან. დღეს ქართველი კაცის ცნობიერებაში რუსეთისკენ მიტრიალება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს, აღქმულია, როგორც უკან გადაგმული ნაბიჯი. ამერიკა რაღაც ახალია, დემოკრატიული სახელმწიფოა და ჩვენ მისკენ მივისწრაფით. ჩვენი რუსეთისკენ შებრუნება არავითარ შემთხვევაში არ გამოვა. რამდენიმე ხნის წინ მოსკოვში გახლდით, მქონდა შეხვედრა რუს პოლიტიკოსებთან და მე მათ ვუთხარი, დაანებეთ თავი პოლიტიკურ რევერანსებს და დიპლომატიას. მითხარით, რა გინდათ თქვენ - რუსებს ჩემგან - ქართველისგან, რომ მე საბოლოოდ დამანებოთ თავი. მათ მითხრეს: ჩაიწერეთ, სულ რაღაც ხუთი პოზიციაა, რაც ჩვენ ქართველებისგან გვინდა: 1. საქართველოში სამუდამოდ უნდა დარჩეს რუსეთის სამხედრო ბაზები; 2. საქართველოში უნდა დაბრუნდნენ რუსი მესაზღვრეები, რომლებიც ქართველ მესაზღვრეებთან ერთად გააკონტროლებენ საზღვარს, განსაკუთრებით, თურქეთის და ჩრდილო კავკასიის; 3. ქართული ეკონომიკა პრიორიტეტულად უნდა იყოს მიბმული რუსეთზე, საუბარია ენერგეტიკაზე და ა.შ.; 4. საქართველომ უარი უნდა განაცხადოს ნატო-ში გაწევრიანებაზე, ამერიკულ სამხედრო პროგრამებზე; და 5. საქართველომ მკაფიოდ უნდა გამოაცხადოს პრორუსული ორიენტაცია. სულ ეს არის, ჩვენ თუ ამ ხუთ პრინციპს ვღებულობთ, აფხაზეთი ჩვენია, სამაჩაბლო ჩვენია, არავითარი კონფლიქტები არ გვექნება, რადგან რუსეთი აიღებს მთელს საქართველოს. ხედავთ? ეთნიკური კონფლიქტიდან გადავედით არა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტზე, არამედ უფრო გლობალურზე, რასაც ჰქვია მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება ამერიკასა და რუსეთს შორის. როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს გადანაწილებაში აფხაზებს ვინმე რამეს შეეკითხება?

**- იმ სიტუაციაში, რომელიც თქვენ აღწერეთ, აფხაზებს კი არა, მგონი, ქართველებსაც არაფერი ეკითხებათ...**

- ასეა. ჩვენი და აფხაზების მცდელობა, რუსებისგან და ამერიკელებისგან მალულად რაღაც მოვილაპარაკოთ, წყლის ნაყვაა, მეტი არაფერი. დააკვირდით იმ პოლიტიკას, რასაც საქართველო აფხაზეთთან მიმართებაში ატარებს. სამი თვის წინ გაერო-ს ფორმატით ჟენევაში შედგა მოლაპარაკება, სადაც მონაწილეობას იღებდნენ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნები – ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, აშშ. ამ შეხვედრაზე მიიღეს გარკვეული გადაწყვეტილებები, ისაუბრეს დევნილთა დაბრუნებაზე, აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე... მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი, რა თქმა უნდა - ჩემი გამოკლებით, ხარობდა, რომ რაღაც ახალი გამოჩნდა, დათბა ურთიერთობები და ა.შ.

უეცრად ამ ჟენევის მოლაპარაკებებს მოჰყვა შევარდნაძე-პუტინის სოჭის შეხვედრა, სადაც იგივე საკითხები განიხილეს. პრინციპში, მოხდა ისეთი გაუგებარი რამ, რომ უცხოელები გაკვირვებას ვერ მალავდნენ. მაშინ, როცა გაერო-მ და ამერიკამ თავისთავზე აიღო ინიციატივა, შევარდნაძე ხვდება პუტინს, რომელსაც მხოლოდ ერთი რამ აქვს ჩაფიქრებული - აჩვენოს მსოფლიოს, რომ საქართველოს პატრონი ჯერ კიდევ რუსეთია. დღეს არც ჟენევის შეთანხმება სრულდება და არც სოჭის.

**- როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ მდგომარეობას?**

- ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთი გზით სავალი პოლიტიკა უნდა ავირჩიოთ. ერთი გზაა, რასაც გვეუბნებოდით: მივიდეთ რუსეთის პრეზიდენტის კარზე, მოვუხადოთ ბოდიში და ვიყოთ მათთან. მეორე გზა ამერიკაა. ორივე მსოფლიოში უდიდესი ქვეყანაა, რას ვეთამაშებით მათ, ვერ გავიგე? იმის გამო, რომ ისინი კავკასიას ინაწილებენ, ჩვენ ამდენი პრობლემა შეგვექმნა. აგერ, ათი დღის წინ ჩამოფრინდა თვითმფრინავი "ავაქსი", იფრინა ჩვენს თავზე, იფრინა და რა მივიღეთ ამით, გარდა იმისა, რომ რუსები კიდევ უფრო გავალიზიანეთ? რაღაც მიზანი ხომ უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს. ამიტომ მე ამერიკელებს ასე ვეტყოდი – თქვენ მოხვედით ჩვენთან, გინდათ ჩვენი ტერიტორია, რათა გაატაროთ თქვენი ნაციონალური ინტერესები კავკასიაში, მაშინ მოდით, თქვენი გაცვეთილი ფრაზა, რომ მხარს უჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, გვერდზე გადადეთ. დაგვეხმარეთ ზუსტად ისე, როგორც რუსები ეხმარებიან აფხაზებს – იარაღით, ჯარით, მოახდინეთ ზეწოლა რუსეთზე და ა.შ.

მადლობა ღმერთს, რომ გაერო-ს მეშვიდე თავის ამოქმედება უკვე აღარ არის ნადარეიშვილის აკვიატებული პოზიცია, ეს უკვე სახელმწიფო პოზიციაა. ჩემი ოპონენტები მეუბნებიან, რომ რუსეთი ვეტოს დაადებს ამ წინადადებას და გათავდება ყველაფერი. რუსეთს აქვს ვეტოს უფლება და ასეც მოიქცევა. მაგრამ მე ასე ვეტყოდი რუსეთს: დღეს ამ კონფლიქტს მსოფლიო იცნობს, როგორც ეთნიკურ კონფლიქტს ქართველებსა და აფხაზებს შორის, თქვენ ხართ შუამავალი. დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენ თუ ვეტოს დაადებთ, ჩვენ მაშინ ამ საკითხს გავიტანთ, როგორც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს. ამ შემთხვევაში რუსეთს, როგორც კონფლიქტის მხარეს, არათუ ვეტოს, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებაც არ ექნება.

**- რამდენიმე დღის წინ ჟენევაში ქართულ-აფხაზური შეხვედრა შედგა, ქართულ დელეგაციას მალხაზ კაკაბაძე ხელმძღვანელობდა. რატომ არ მოხვდა ქართულ დელეგაციაში თამაზ ნადარეიშვილი?**

- ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია აბსოლუტურად მიუღებელია ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ოდნავ მაინც იცის, რა არის აფხაზეთი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ არ გაგვაკარეს არც ერთ მოლაპარაკებას. საქართველო არ ცხოვრობს იმ წესით, რა წესითაც უნდა იცხოვროს ქვეყანამ, რომელსაც დაკარგული აქვს ტერიტორიები. თუკი არსებობს თამაზ ნადარეიშვილი, არსებობენ ლეგიტიმური სტრუქტურები, დევნილები, მოდით, მივცეთ მათ უფლებამოსილება, გაატარონ ის პოლიტიკა, რომელსაც თვლიან საჭიროდ. ახლა გეტყვით, როგორ მიმდინარეობს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები და ვინ მონაწილეობს მათში. დაუშვათ, იგეგმება რაღაც მოლაპარაკება, აფხაზები სამი-ოთხი დღით ადრე სხდებიან და დაწვრილებით ამუშავებენ იმ სცენარს, რაც შემდეგ მოლაპარაკებების პროცესში უნდა გაითამაშონ. ასე მოვიქცეოდი მეც. ახლა გეტყვით, როგორ ვემზადებით ჩვენ, ქართველები – დილით დაურეკავენ ერთ კაცს და შეატყობინებენ: შენ ხვალ დილით უნდა იყო აეროპორტში, მიდიხარ სოხუმში. ასე, ხუთი კაცი შეიკრიბება აეროპორტში და შემდეგ ერთმანეთს ეკითხებიან, რა საკითხზე მივდივართ? ქართული დელეგაცია ხშირად ჭრელი სპექტრითაა წარმოდგენილი, რომლებიც მერე აფხაზებთან შეხვედრაზე ერთმანეთს უწყებენ ქიშპობას. ერთხელ ვკითხე დელეგაციის ერთ წევრს – აი, შენ, რომ მიდიხარ ჩემი ბედის გადასაწყვეტად, მითხარი, თბილისიდან მიმავალმა ჯერ გაგრა უნდა გაიარო თუ გუდაუთა? ვერ მიპასუხა. ასეთი ხალხი მიდის. აფხაზეთი ბევრისთვის პოლიტიკურ ზედაპირზე ტივტივის, ფულის კეთების, უცხოეთში გაუთავებელი სიარულის საშუალება გახდა. მარტო 2001 წელს შვიდი მილიონი დოლარი დაიხარჯა სახალხო დიპლომატიაზე. სრული ანარქიაა, მარცხენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარჯვენა.

**- ალბათ, გაქვთ ინფორმაცია, რაზე ისაუბრეს ჟენევაში?**

- არაფერი განსაკუთრებული. ქართველები შეხვდნენ აფხაზებს, ისაუბრეს მაგისტრალების გახსნაზე, ლტოლვილთა დაბრუნებაზე, თავდაუსხმელობაზე, ვერაფერი ვერ მოილაპარაკეს, ორი დღე იყვნენ, ყავა დალიეს და ჩამოვიდნენ. ასე დადიან გაუთავებლად, მოგზაურობენ ერთი ქვეყნიდან მეორეში.

**- ის, რაც ნადარეიშვილის აკვიატებულ აზრად მიაჩნდათ, ვგულისხმობ გაერო-ს მეშვიდე თავის ამოქმედებას, სახელმწიფო პოზიციად გადაიქცა. რას შეცვლის ეს დოკუმენტი, რომელსაც ეროვნული უშიშროების საბჭომაც და საქართველოს პარლამენტმაც მწვანე შუქი აუნთო?**

- ჰააგაში ჩვენს მიერ მიტანილი მასალები რომ ნახეს, სადაც ქართველთა გენოციდის დამადასტურებელი ფაქტებია შეკრებილი, გაგიჟდნენ, ასეთი რამ იუგოსლავიაშიც არ მომხდარაო. საქმის აღძვრა ვერ შეძლეს, რადგან საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი არ იყო. ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ ჩვენ ამას მივაღწიეთ. ჰააგაში წამოწყებული პროცესი მოლაპარაკებებსაც არ უშლის ხელს, პირიქით, აფხაზები ცოტა შეშინდებიან და ისე არ იდიდგულებენ, როცა საქმე ჰააგამდე მივა. რაც შეეხება მეშვიდე თავს, ეს არ ნიშნავს ომის დაწყებას დღესვე. მეშვიდე თავი ითვალისწინებს გაფრთხილებებს, ჰააგაში წამოწყებული საქმე სწორედ გაფრთხილებას ნიშნავს, ძალის დემონსტრირებას, სანქციებს, ბლოკადებს და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ფიზიკური ძალის გამოყენება. ძალის გამოყენება, პირველ რიგში, გულისხმობს სამშვიდობო ოპერაციის მანდატის შეცვლას. რუსი სამშვიდობოების ჩასანაცვლებლად მზადაა უკრაინა, იტალია, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, რუმინეთი. ეს არის ერთი ვარიანტი. მეორეა მეგობარი ქვეყნები - ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია. ვთხოვოთ მათ, გამოყონ ხუთას-ხუთასი კაცი. მესამე ვარიანტიც არსებობს, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორმა ჰავიერ სოლანამ ერთი კვირის წინ გააკეთა განცხადება, რომ დნესტრისპირეთიდან გავლენ რუსეთის სამშვიდობო ძალები და მათ ჩაენაცვლება ევროკავშირის სამხედრო შეიარაღება, შემდეგი ეტაპი კი აფხაზეთი იქნება. კაცმა ასეთი რამე თქვა, საქართველოში კი სიჩუმეა, არავინ არ დაინტერესებულა.

**- და მაინც, სერიოზული ეჭვი არსებობს იმისა, რომ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება ქაღალდზე დარჩება...**

- ათი წელია, ჩვენ ველოდებით მათ, ვინც მოლაპარაკებათა პროცესშია ჩართული. დაინიშნა ასლან აბაშიძე, ღმერთმა გაუმარჯოს. დაინიშნა კაკაბაძე, კი ბატონო, მაგრამ რას აკეთებენ, რა გააკეთეს, რა შეიცვალა? ამიერიდან არავის არ ველოდებით. ჩვენ წამოვიწყებთ სერიოზულ მოძრაობას, ასეულობით ათას ადამიანს ჩავრთავთ ამ ღონისძიებაში, მთელი საქართველოს პარალიზებას მოვახდენთ, არ მივცემთ არავის უფლებას, იმუშაონ სხვა საკითხებზე, ზუგდიდიდან დაწყებული წითელ ხიდამდე არაფერი არ იმოძრავებს მანამ, სანამ არ გადაწყდება აფხაზეთის საკითხი, სანამ არ იქნება მიღებული ძალიან მწვავე გადაწყვეტილებები... ჩვენ მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია.

**- თქვენ, ალბათ, ბევრი რამ იცით აფხაზეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკურ პროცესებზე. შეიძლება თუ არა იქ მიმდინარე შიდა დაპირისპირება ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ?**

- ცხადია, აფხაზეთში პოზიციაც და ოპოზიციაც ორივე ანტიქართულია, დაპირისპირების მიზეზი შიდა უთანხმოებაა, რაც არის გამოწვეული უმთავრესად არძინბას ავადმყოფობით. ათი წელიწადი სრულდება, რაც აფხაზები ქართველების გარეშე ცხოვრობენ, ხალხი უკვე აყენებს პრეტენზიებს: სად არის დაპირებული დამოუკიდებელი სახელმწიფო, სად არის რუსეთი. აფხაზეთში ყოველთვის მდიდარი ხალხი იყო, დღეს მშივრები არიან, კრიმინალური ვითარება მძიმეა. შიშის სინდრომია, ეშინიათ ხვალინდელი დღის. ფიქრობენ, იქნებ არძინბას შემდეგ მოვიდეს ადამიანი, რომელიც გამოასწორებს სიტუაციას. ნებისმიერი, ვინც არძინბას შემდეგ მოვა, ჩვენთვის უფრო საშიშია. არძინბა ავადაა და ყველაფერი თვითდინებაზე აქვს მიშვებული. საერთოდ, არძინბას ავადმყოფობა ძალიან საეჭვო და არაბუნებრივია. ის ხელოვნურად არის მიყვანილი ამ მდგომარეობამდე. არძინბამ თავისი ფუნქცია შეასრულა, აფხაზეთი მოსწყვიტა საქართველოს. რუსეთი ხელსაყრელ დროს ელოდება, არძინბას ღირსეულ შემცვლელს მოძებნის და შემდეგ, წამლის ზედმეტი დოზით არძინბას საბოლოოდ მოიშორებს.

აფხაზეთში მიმდინარე პროცესები მნიშვნელოვანია, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლების ინტერესის სფეროში მაინც ვერ ხვდება. ამაზეც არავინ მუშაობს სერიოზულად, თორემ შესაძლოა ჩვენ საკმაოდ კარგად გამოგვეყენებინა იქ შექმნილი ვითარება. ნავთობბაზა აფეთქდა, გაგრაში რკინიგზის აფეთქება მოხდა - ამ ორმა ფაქტმა სერიოზული შიში გამოიწვია აფხაზურ მოსახლეობაში, ვფიქრობ, რომ პარტიზანულ მოძრაობას სჭირდება ძალიან სერიოზული მხარდაჭერა. შიშის სინდრომი იქ ძალიან დიდია, აფხაზეთისთვის ერთი ადამიანის დაკარგვაც ტრაგედიაა. პარტიზანულ მოძრაობას შეუძლია, კიდევ უფრო გაალვივოს ეს შიში და დააჩქაროს მოვლენები ჩვენს სასარგებლოდ. მაგრამ ჩვენი სახელმწიფო არც დევნილებს ექცევა ისე, როგორც საჭიროა, არც საგარეო პოლიტიკურ ვითარებას იყენებს და არც აფხაზეთში შიგნით შექმნილ ვითარებას. მიდის მდინარე და ამ დინებას მიჰყვება ყველა და ყველაფერი.

ანონსი



**ფოტოკონკურსი**

რუბრიკაში "ფოტოკონკურსი" გამოქვეყნდება აფხაზეთის თემაზე შექმნილი საინტერესო ფოტომასალა, რომელსაც თქვენგან, მკითხველისგან ველით. წლის ბოლოს მოეწყობა მკითხველისავე შეფასებით გამოვლენილი საუკეთესო ფოტოების გამოფენა და გამარჯვებულების დაჯილდოება.

**სამახსოვრო ისტორიები**

რუბრიკა "სამახსოვრო ისტორიები" უმასპინძლებს ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომლებსაც აფხაზეთთან და აფხაზებთან კარგი მოგონებები აკავშირებს.

**კითხვა - პასუხი**

რუბრიკაში "კითხვა-პასუხი" გამოქვეყნდება იურიდიული და სოციალური კონსულტაცია დევნილთა და აფხაზეთის ომის მონაწილეთა მიერ დაყენებულ ნებისმიერ საკითხზე.

**რეიტინგი**

რუბრიკა "რეიტინგი" ელის თქვენ შეხედულებებს: ვინ არის თქვენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი აფხაზეთის საკითხში, ვისთან ისურვებდით შეხვედრას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და თქვენი სამი შეკითხვა მოწვეული რესპოდენტისადმი.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული,
გაზეთი "24 საათი", ტელეფონი: 20-24-24,
იკითხეთ პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ფაქსი: 20-24-25
yourabkhazia.rustavi2.com

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

### ხაჯიმბას განცხადება

სოხუმის მთავრობის პრემიერი რაულ ხაჯიმბა აცხადებს, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ოფიციალურ დონეზე ურთიერთობები არ არსებობს. **მედია-ნიუსი**

### უპასპორტო მგზავრი

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაციით, აფხაზ სეპარატისტთა საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ჟენევაში 21-22 ივლისს გამართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე უპასპორტოდ ჩავიდა. **მედია-ნიუსი**

### მიზანშია ტურიზმი

რამდენიმე დღის წინათ აფხაზმა ბოევიკებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს რუსი ტურისტებით სავსე ავტობუსი, რომელიც რუსეთიდან აფხაზეთში, ახალ ათონში მიემგზავრებოდა.

ამ ინციდენტის შედეგად დაიჭრა ხუთი რუსი დამსვენებელი. ოპერატიული ინფორმაციით, ამ დანაშაულის უკან დგანან აფხაზი კრიმინალები, რომლებიც აფხაზეთში ტურისტულ ბიზნესს აკონტროლებენ. **მედია-ნიუსი**

### ანანის გადაწყვეტილება

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია მისცა, კიდევ ექვსი თვით - 2004 წლის 31 იანვრამდე - გაუგრძელოს მანდატი გაეროს მისიას საქართველოში.

დღეისთვის საქართველოში გაეროს მისიის შემადგენლობაშია 177 სამხედრო დამკვირვებელი, მათ შორის უკრაინის ხუთი და რუსეთის სამი მოქალაქე. **მედია-ნიუსი**

უცხოეთი

*გთავაზობთ "ГАЗЕТА.РУ"-ს მიერ გავრცელებულ წერილს, რომელიც სოხუმსა და სოჭას შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენას ეხება*

### საქართველო კატერს გაუნაწყენდა

შაბათს სოხუმის საზღვაო პორტიდან სოჭის მიმართულებით გაემართა სამგზავრო კატერი, რომლის პირველი მგზავრები იყვნენ სოხუმის მთავრობისა და სხვადასხვა უწყების წევრები. საცდელი რეისი, როგორც მას აფხაზები უწოდებენ, 10 წლის მანძილზე პირველად შედგა.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის რაულ ხაჯიმბას განცხადებით, აღნიშნული საზღვაო კავშირი კომერციული სტრუქტურების საშუალებით ხორციელდება.

"სოჭასა და აფხაზეთს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენის აუცილებლობა ტურისტების სიმრავლემ განაპირობა," – განაცხადა ხაჯიმბამ.

მისივე თქმით, საზღვაო ტრანსპორტის შემოწმებას ყველა წესისა და ნორმის დაცვით ახდენენ ორივე მხარის, აფხაზეთისა და რუსეთის სასაზღვრო სამსახურები. "აფხაზეთის საზღვაო სანაოსნოს" გენერალური დირექტორის ზაურ არძინბას განცხადებით, მისი უწყება საზღვაო მიმოსვლას მომავალშიც გააგრძელებს.

სოხუმი-სოჭის მარშრუტზე კატერის გაშვებამ თბილისში მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ "კატეგორიულად და პრინციპულად" მოითხოვა გარკვეულიყო, თუ რა იმალება სოხუმსა და რუსეთის საკურორტო ქალაქს შორის საზღვაო მიმოსვლის აღდგენის უკან.

ყოლბაიამ "ინტერფაქსს" განუცხადა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საგანგებო საქმეთა მინისტრმა ამ ფაქტთან დაკავშირებით პროტესტი უნდა გამოთქვან. ვიცე-სპიკერის აზრით, საქართველომ უნდა გაარკვიოს "რა არის მისთვის ხელსაყრელი და რა არა", მანამდე კი უნდა დააკონსერვოს ის მოლაპარაკებებიც, რომლებიც სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასა და ენგურჰესის რეაბილიტაციას ეხება.

შეგახსენებთ, რომ ენგურჰესი ელექტროენერგიას აწვდის საქართველოსაც და აფხაზეთსაც. საზღვარი გადის ზუსტად წყალსაცავსა და ელექტროსადგურს შორის. ადგილობრივი მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ საქართველო პირველივე ხელსაყრელ მომენტში გადაკეტავს წყალს, ისინი კი, თუ დაჭირდებათ, მეზობლებს ჩამოართმევს გამოურთავენ. ცოტა ხნის წინათ შევარდნაძემ და პუტინმა მოილაპარაკეს, რომ ელექტროსადგურს ერთობლივი ძალებით აღადგენენ. ამასთან, თავის სამხრეთ რაიონებში ელექტროენერგიის იმპორტის სანაცვლოდ ფინანსირება რუსეთის მხარემ იკისრა.

მაგრამ აფხაზური მიწის ექსპლოატაციით გამოწვეული წყენის გამო შეიძლება ყველა მოლაპარაკება ჩაიშალოს. ვახტანგ ყოლბაიას ვარაუდით, სატრანსპორტო სფეროს გავითარების შემდეგი ნაბიჯი სოხუმში აეროპორტის გახსნა იქნება. ვიცე-სპიკერმა პირობა დადო, რომ აუცილებლად გაარკვევს, რომელი ქვეყნის დროშით დაცურავს კატერი, რათა პროტესტი იმ ქვეყნის მისამართითაც გამოთქვას.

კატერი დაცურავს ერთ-ერთი ლათინოამერიკული ქვეყნის დროშით.

## დაზარალებულთა კუთვნილი თანხის ბედი მალე გადაწყდება

ნანა ქადაგიშვილი

*სანამ მერია და საკრებულო იმაზე დავობდნენ, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული 4 მილიონი როგორ აეთვისებინათ, ფინანსთა სამინისტრომ, ლამისაა, ეს 4 მლნ-იც გაანახევროს. თუმცა, როგორც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი აცხადებს, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არაფერია. დაზარალებულთა კუთვნილი თანხის ბედი რამდენიმე დღეში, სავალუტო ფონდთან შეთანხმებისას გადაწყდება.*

ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ ფინანსთა სამინისტრო გვარწმუნებდა, რომ დაზარალებულთა კუთვნილ ოთხ მილიონს სეკვესტრი არ შეეხებოდა და საბინაო მეურნეობის განვითარებისა და რეაბილიტაციის ცენტრი ამ თანხას ივნისის ბოლოდან წლის ბოლომდე ეტაპობრივად მიიღებდა. მერიამ და საკრებულომ ამ თანხის ათვისების ვარიანტებიც შეიმუშავეს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხალხისთვის საკუთარი ვარიანტი მოეწონებინათ. მერია 4 მილიონით დაზარალებულთათვის ახალი თავშესაფრების შეძენასა და დაზიანებული კორპუსების გამაგრებას გეგმავს. ზოდელავა იმასაც აცხადებს, რომ დაზარალებულებს თავშესაფრებს დაუკანონებს, ამისთვის მერიაში იურიდიული მხარე უკვე მზადდება. საკრებულომ კი გადაწყვიტა, ცალკე ფონდი შექმნას, 4 მილიონი ამ ფონდში გადაირიცხოს და დაზარალებულთა ფულად კომპენსირებას მოხმარდეს. საკრებულო, უახლოეს დღეებში, დაზარალებულთა კუთვნილი თანხის განაწილების მექანიზმის საბოლოოდ ჩამოყალიბებასაც გეგმავს. თუმცა, თუ ხელისუფლება 4 მილიონს გაანახევრებს, 2 მილიონი არც თავშესაფრების შეძენას ეყოფა და არც ფულად კომპენსირებას.

ფინანსთა სამინისტრო იმით გვამშვიდებს, რომ განახევრებული 4 მლნ-ის შევსება სხვა გზებით მოხერხდება. **"მერიას ფინანსთა სამინისტროსგან კრედიტები აქვს აღებული. ამ ვალს ნუღარ დააბრუნებს და დაზარალებულთა დასახმარებლად გამოიყენოს",** - აცხადებს გიგოლაშვილი. თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ სავალუტო ფონდთან მოლაპარაკება დაზარალებულთა სასარგებლოდ დასრულდეს.

## საუბარი ჯერ კიდევ ტაბუდადებულ თემაზე

ირაკლი კოპალეიშვილი

გუშინ აჭარის წარმომადგენლობამ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემას მიუძღვნა პრესკონფერენცია, სადაც მიწვეულნი იყვნენ პარლამენტარი ელენე თევდორაძე, შსს-ს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი ზურაბ ფორაქიშვილი, ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ქვარიანი. "დღეს საქართველოში მცხოვრებ ქალებს სოციალურმა პრობლემებმა დედობასა და დიასახლისობაზე გაცილებით მეტი ფუნქცია დააკისრა, თუმცა, ქალთა და მამაკაცთა შორის არსებული თანასწორობა რეალობისგან შორსაა. ქალები ჯერ კიდევ იზოლირებულნი არიან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან", - განაცხადეს მიწვეულმა სტუმრებმა. პრესკონფერენციაზე, ძირითადად, ოჯახში ძალადობაზე ისაუბრეს. "ეს ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ტაბუდადებული თემაა, საზოგადოების მენტალიტეტი ნელ-ნელა უნდა შევცვალოთ", - აღნიშნა ნინო ქვარიანმა.

## იძებნება ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილი ბავშვი

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ცოფით დაავადებული ძაღლის მიერ დაკბენილ 15-18 წლის ასაკის გოგონას ეძებს და ურჩევს, რომ თუ მას დღემდე ექიმისთვის არ მიუმართავს, დაავადებათა კონტროლის ცენტრში გამოცხადდეს. დაკბენის ფაქტის შესახებ ცენტრს ძაღლის პატრონმა შეატყობინა. ძაღლმა გოგონა ყაზბეგის ჩიხის №4-ში დაკბინა, რის შემდეგაც პატრონმა ძაღლი შეამოწმა და მას ცოფი აღმოაჩნდა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოუწოდებს მოსახლეობას, ნებისმიერი დაკბენის შემთხვევაში მიაკითხოს ახლომდებარე ანტირაბიულ კაბინეტს და ვაქცინაცია ჩაიტაროს.

*ინტერ-პრესი*

### — ორი სიტყვით —

**თბილისი.** თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ილია ასლანიანს პირადი ჩხრეკისას 9,7 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა" აღმოაჩნდა, რის გამოც იგი დააკავეს. **მედია-ნიუსი**

# საუდის არაბეთი ამერიკელების მოხსენებამ შეაშფოთა

რევაზ ბახტაძე

*გუშინ საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, პრინცი საუდ ალ-ფაისალი ვაშინგტონში ჩავიდა, რათა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ ამერიკაში მომზადებული მოხსენება განიხილოს, რომლის ერთი ნაწილი საუდის არაბეთის ტერორისტებთან ურთიერთობებს შეეხება.*



საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პრინცი საუდ ალ-ფაისალი.

საუდის არაბეთის ხელისუფლება გასულ კვირას კონგრესში გაკეთებულმა მოხსენებამ შეაშფოთა, რომლის თანახმად, საუდის არაბეთის ზოგიერთ მაღალჩინოსანსა და 11 სექტემბრის ტერაქტების ორგანიზატორებს შორის კავშირი არსებობს. ერ-რიადმა პრეზიდენტ ბუშთან დაუყოვნებლივ შეხვედრა მოითხოვა.

რამდენიმე დღეში ორგანიზებული შეხვედრა მოწმობს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საუდების სამეფო ოჯახი და ამერიკის ადმინისტრაცია 900-გვერდიან მოხსენებაში საუდის არაბეთისათვის დათმობილ 28 ფურცელს, სადაც საუდებსა და ტერორისტების ურთიერთობებზეა საუბარი. აღსანიშნავია, რომ მოხსენების ეს ნაწილი არ გამოქვეყნებულა.

საუდის არაბეთის ხელისუფლების განცხადებით, პრინცი საუდი ვაშინგტონში "ორივე ქვეყნის პრობლემების განსახილველად" ჩავიდა.

გასულ კვირას შეერთებულ შტატებში საუდის არაბეთის ელჩმა პრინც ბანდარ ბინ სულთანმა, განაცხადა, რომ მოხსენების აღნიშნული ნაწილი იმიტომ არის დახურული, რომ მისი დამტკიცება ამერიკელებისათვის ძნელი იქნება".

"საუდის არაბეთს დასამალი არაფერი აქვს, - აღნიშნა მან, - ჩვენ საკითხების საჯაროდ განხილვა შეგვიძლია, მაგრამ ცარიელ ფურცლებზე პასუხს ვერ გავცემთ".

ამერიკელი სენატორების ერთმა ნაწილმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თუ აღნიშნული მასალა პრესაში გამოქვეყნდება, რათა საუდის არაბეთთან დაკავშირებული ყველა საკითხი ამერიკული საზოგადოებისათვის ნათელი გახდეს.

"ვაშინგტონ პოსტს" აშშ-ს ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის სიტყვები მოჰყავს, რომლის თქმით, მოხსენების ამ ნაწილის გასაიდუმლოებას რამდენიმე მიზეზი აქვს: უცხოური მთავრობის (საუდის არაბეთის) მოსალოდნელი რეაქცია, ინფორმაციის წყაროებისა და ინფორმაციის მოპოვების მეთოდების გამჟღავნების ალბათობა. ვაშინგტონს აღელვებს ისიც, რომ სხვები იმ გამოძიების დეტალების შესახებ შეიტყობენ, რომელსაც ამერიკა სპარსეთის ყურეში აწარმოებს. ამავე პირის თქმით, საუდის არაბეთს რომ ამ მასალების გამოქვეყნება მოეთხოვა, მაშინ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მესვეურები ამ საკითხს განიხილავდნენ და, სულ მცირე, რამდენიმე ადგილს მაინც გამოაქვეყნებდნენ.

11 სექტემბერს თვითმფრინავების 19 გამტაცებლიდან 15 - საუდის არაბეთის მოქალაქე იყო. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამერიკაში მცხოვრებ, საუდის არაბეთის მოქალაქეებს, ზოგიერთ გამტაცებელსა და საუდის არაბეთის მაღალჩინოსნებს შორის კავშირი აშკარაა.

უფრო ადრე დიპლომატიური სკანდალი აგორდა, როდესაც ამერიკის პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმად, უსამა ბინ ლადენის მხარდაჭერაში ეჭვმიტანილ საუდის არაბეთის მოქალაქეს შეერთებულ შტატებში საუდის არაბეთის ელჩის მეუღლე პრინცესა ჰაიფა ალ-ფაისალი უწევდა ფინანსურ დახმარებას.

# პენტაგონი ფსონების მიღებას იწყებს

აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ მეტად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. საუბარია ინტერნეტში ერთგვარი ბუკმეიკერული სისტემის შექმნის შესახებ. კერძოდ, ნებისმიერ მსურველს შეეძლება ფსონის დადება ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენის შესახებ. მაგალითად, სად და როდის მოხდება სამხედრო გადატრიალება, ტერორისტული აქტი ან პოლიტიკური მკვლელობა. ბუკმეიკერული სისტემა, ჩვეულებრივი ბირჟის მსგავსად, კონტრაქტების საფუძველზე იმუშავებს. კონკრეტული კონტრაქტის ფასი მთელი რიგი ფაქტორების მიხედვით იქნება განსაზღვრული, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებული იქნება ამა თუ იმ რეგიონში ეკონომიკის მდგომარეობასა და იქ აშშ-ს სამხედრო ყოფნაზე. აღნიშნული სისტემის შემქმნელთა აზრით, იგი პენტაგონს ამ თუ იმ მოვლენის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში დაეხმარება.

ამ იდეას უკვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. დემოკრატმა სენატორებმა რონ უაიდენმა და ბაირონ დორგანმა აღნიშნულ იდეას შეუარცხმყოფელი უწოდეს. თუმცა, ამ ბუკმეიკერული სისტემის გაშვება პენტაგონს უკვე აგვისტოში აქვს ჩაფიქრებული.

# შარონმა „უსაფრთხოების კედლისათვის" მკვეთრი კრიტიკა დაიმსახურა

აშშ-ში გრძელდება ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ტურნე. გუშინ ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის თანაშემწეს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისს შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართული მოლაპარაკების დროს მათ "საგზაო რუკად" წოდებული სამშვიდობო გეგმა განიხილეს. გუშინვე, გვიან საღამოს არიელ შარონი აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიიღო. მოლაპარაკების თემა, რასაკვირველია, უცვლელი იყო.

მოლაპარაკებათა დაწყების წინ, თეთრმა სახლმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც ვაშინგტონი ისრაელის მიერ კეთილი ნების გამოხატვას მიესალმა. როგორც ცნობილია, ვიზიტამდე არიელ შარონის ბრძანებით ისრაელის ციხეებიდან ხუთასზე მეტრი პალესტინელი გაათავისუფლეს. მათ შორის არიან რადიკალური ისლამური დაჯგუფებების აქტივისტებიც, რომელთა გამოშვებაზეც ადრე ისრაელის მთავრობა კატეგორიულ უარს აცხადებდა.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პრეზიდენტი ბუში ისრაელის პრემიერს საკმაოდ კონკრეტულ და მკაცრ მოთხოვნებს წაუყენებს.



"უსაფრთხოების კედლის" მშენებლობა გრძელდება

ამის მიზეზს, კი ისრაელის მიერ "უსაფრთხოების კედლის" მშენებლობის დაწყება წარმოადგენს, რომელმაც ისრაელის და პალესტინის ტერიტორიები ერთმანეთისგან უნდა გაყოს.

გასულ კვირას, ვაშინგტონმა პალესტინის პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს უმასპინძლა. შეხვედრის შემდეგ, აბასმა და პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, სადაც თეთრი სახლის მეთაურმა ისრაელის მიერ "უსაფრთხოების კედლის" მშენებლობას ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა უწოდა, რამაც შესაძლოა "საგზაო რუკის" განხორციელება შეაფერხოს.

ეს მართლაც რეალური საფრთხეა. თუკი, ებრაელები იმედოვნებენ, რომ ეს კედელი ისრაელის ტერიტორიაზე პალესტინელი ტერორისტების და მებრძოლების გადასვლას შეაფერხებს, პალესტინელთა მტკიცებით, ისრაელი მათი მიწების დაპყრობას ახორციელებს. რასაკვირველია, ისრაელის ხელისუფლება ამ ბრალდებას უარყოფს, მაგრამ ერთი რამე ცხადია, რომ კედლის მშენებლობა ყოველგვარი კონტროლის გარეშე, მხოლოდ ისრაელის ინიციატივით მიმდინარეობს.

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, რაც არ უნდა მკვეთრად ნეგატიური იყოს, თეთრი სახლის დამოკიდებულება ე.წ. "უსაფრთხოების კედლის" მშენებლობის საკითხში, არიელ შარონს ვაშინგტონის მხარდაჭერა დატყვევებული პალესტინელების გათავისუფლებისათვის გარანტირებული აქვს.

ისრაელის პრემიერმა უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ ბრძანება პალესტინელთა გამოშვების შესახებ უკვე ხელმოწერილია და პატიმრები თავიანთ სახლებს მომდევნო კვირას დაუბრუნდებიან. მისივე თქმით, არც ერთ მათგანს ისრაელის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა არ აქვს მიღებული.

სააგენტო "ბიბისიმ" უკვე გამოაქვეყნა გათავისუფლებული პალესტინელების რაოდენობა. მომავალ კვირას ისრაელის ციხეებს დატოვებენ:

"ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" 210 წევრი.

დაჯგუფება "ფათხის " 210 წევრი.

სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული 120 პალესტინელი.


ევრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა აცხადებს საგრანტო კონკურსს სატრენინგო დაწესებულებებისთვის

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

კონკურსის ფარგლებში გაიცემა გრანტები მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის კრედიტის მართვაში საგანმანათლებლო პილოტური პროგრამის განსახორციელებლად. ამ პროგრამის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ამავდროულად გააფართოვებს ბანკების საკრედიტო შესაძლებლობებს.

ტრენინგები დაფინანსდება ქუთაისსა და გორში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ბიზნესის სფეროში ტრენინგის ჩატარების გამოცდილება.

კონსულტაცია კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის ჩატარდება 2003 წლის 5 და 22 აგვისტოს 15.00 სთ.-ზე, ევრაზიის ფონდის ოფისში

მისამართი:

კავსაძის ქ. 3, 0179 თბილისი, ტელ/ფაქსი: 25 39 42/43; 22 32 64.

კონკურსზე განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 1 სექტემბერი, 18.00 სთ.

საკონკურსო მასალების მიღება შესაძლებელია ევრაზიის ფონდის ოფისში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ან ევრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე www.eurasia.org.ge


# რუსეთის ელიტაში დაპირისპირება მწვავდება

პირველი გვერდიდან

პროკურატურის მაღალჩინოსნები კი ე.წ. სანკტ-პეტერბურგის დაჯგუფებას ეკუთვნიან. ისინი ხელისუფლებასა და ბიზნესში პუტინთან ერთად მოვიდნენ და, ხშირ შემთხვევაში, პრეზიდენტთან უშიშროების სამსახურებში მუშაობის გამოცდილება აკავშირებთ. მათ დიდი პოლიტიკური ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, მაგრამ როდესაც ისინი კრემლში გამოჩნდნენ, რუსეთის ყველაზე ფასეული ეროვნული სიმდიდრეები უკვე ოლიგარქების ხელში იყო.

იმის შესახებ, თუ რა იქცა დაპირისპირების საბაბად - ოლიგარქების სურვილი, პოლიტიკური ძალაუფლება ჩაეგდოთ ხელში თუ "კაგებეშნიკების" სურვილი, ყველაზე მომგებიან ბიზნესებს დაპატრონებოდნენ - განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. თუმცა, მათ შორის მწვავე დაპირისპირების არსებობას დღეს თითქმის არავინ უარყოფს.

კრემლის თავდასხმის პირველ ობიექტად რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობკომპანია – იუკოსი იქცა, კომპანია, რომელიც რუსულ ბიზნესში გამჭვირვალობისა და თანამედროვე მენეჯმენტის სიმბოლოდ არის ცნობილი. თუმცა, ხადარკოვსკისა და კომპანიის კაპიტალს, ბევრი სხვა რუსული კონგლომერატის მსგავსად, ძალზე საეჭვო წარმოშობა აქვს. ამიტომ, ხელისუფლებას არ გასჭირვებია მენატეპისათვის ოთხი სხვადასხვა, კარგად დასაბუთებული ბრალდება წაეყენებინა. მოსკოვში ღიად ამბობენ, რომ იუკოსის "მოთვინიერების" შემდეგ სხვა დიდი კომპანიების ჯერი დადგება.

სპეკულაცია იმის თაობაზე, საბოლოოდ ვის ხელში აღმოჩნდება რუსეთის გიგანტი კომპანიები, რასაკვირველია, დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ როგორც ადგილობრივი, ისე დასავლელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რა გავლენას მოახდენს ეს დაპირისპირება ქვეყნის ეკონომიკაზე. ხომ არ შეეწირებიან რუსული კომპანიები მათი გადანაწილების მცდელობას.

დასავლელი ანალიტიკოსები ამბობენ, რომ იუკოსის სკანდალის დაწყების შემდეგ, რუსეთიდან უკვე 20 მილიარდი დოლარი გავიდა. ყველაზე დასამახსოვრებელი შემთხვევა რუსი ოლიგარქის, ბორის აბრამოვიჩის მიერ მეოთხედ მილიარდ დოლარად ინგლისური საფეხბურთო კლუბის, "ჩელსის" შესყიდვა იყო. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ რუს ოლიგარქებზე თავდასხმის შედეგად შეიძლება ჩაიშალოს "ბრიტიშ პეტროლიუმის" გრანდიოზული რუსული პროექტები. ქვეყნის საფონდო ბირჟაზე, დიდი კომპანიების აქციების ფასები საგრძნობლად დაეცა. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ამან ქვეყნის ეკონომიკა, საბოლოო ჯამში, შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანოს.

კრემლი, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობს. ახალგაზრდა "კაგებეშნიკებისათვის" ფსონები მეტისმეტად მაღალია. ბოლოს და ბოლოს, სიმდიდრის გადანაწილებისათვის ხშირად გადაუყოლებიათ ქვეყნის მომავალი, როგორც რუსეთში, ისე სხვაგანაც.

## ერაყის საელჩოდან ფული გაიტაცეს

მოსკოვის პოლიციამ რუსეთში ერაყის საელჩოში მომხდარი ქურდობის გამოძიება დაიწყო. საელჩოს თანამშრომლების ინფორმაციით, საელჩოს სეიფიდან, სულ მცირე, სამი მილიონი ამერიკული დოლარი მოიპარეს.

რუსული მედიის ცნობით, სამშაბათს შუადღისას მოსკოვში მდებარე ერაყის საელჩოს თანამშრომლები მილიციის განყოფილებაში მივიდნენ და სამართალდამცველებს აცნობეს, რომ გასულ ღამეს რამდენიმე შეიარაღებული კაცი საელჩოში შეიჭრა და ფული გაიტაცა.

საელჩოს წინ მდგარი დაცვის წევრების თქმით, წინა ღამით მათ საეჭვო არაფერი დაუნახავთ. მოსკოვის პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, გამომძიებლები საელჩოში იყვნენ და სამხილს ეძებდნენ.

"ჩვენ დანამდვილებით არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ ყაჩაღობა მოხდა. ჩვენ არ ვიცით იმ თანხის რაოდენობა, რომელიც გაიტაცეს", - აღნიშნა მან.

ერაყის საელჩოს თანამშრომელმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელისაგან თავი შეიკავა, საინფორმაციო სააგენტო "როიტერთან" საუბრისას აღნიშნა, რომ რუსულ მედიაში არსებული ცნობები, პრინციპში, სიმართლეს შეესაბამება.

"ცეცხლი კვამლის გარეშე არ არსებობს", - თქვა მან. შეკითხვაზე, წაღებული თანხის რაოდენობა მართლა სამი მილიონი იყო თუ არა, მან უპასუხა: "დაახლოებით ამდენი. შესაძლოა, ცოტა მეტიც".

აღსანიშნავია, რომ რუსეთში ერაყის ელჩი ცოტა ხნის წინ გამოიწვიეს, ისევე, როგორც სადამ ჰუსეინის დროს დანიშნული ყველა ელჩი. "ეს ინციდენტი კი საელჩოს თანამშრომლების სამშობლოში დაბრუნების პროცესს შეაფერხებს", - აღნიშნა "როიტერის" ანონიმმა წყარომ.

## სადამის პირადი მცველი დაპატიმრებულია

გუშინ, აშშ-ს არმიის ქვედანაყოფებმა ერაყში წარმატებული სპეცოპერაცია განახორციელეს. მათ სადამ ჰუსეინის პირადი მცველი დააპატიმრეს. სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, დაპატიმრებულის სახელია ადნან აბდულა აბიდ ალ-მუსლითი. აშშ-ს არმიის წარმომადგენელს ეს ცნობა, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ დაუდასტურებია.

სპეცოპერაცია სადამის მშობლიურ ქალაქ თიქრითში განხორციელდა. სადამის პირად მცველთან ერთად მყოფი კიდევ სამი ერაყელი დააპატიმრეს. **"სპეცოპერაციის დროს რამდენიმე ადამიანი დავაკავეთ. მათ შორის ერთი - სადამთან საკმაოდ დაახლოებულია,"** - განუცხადა სააგენტო "ბიბისის" აშშ-ს არმიის წარმომადგენელმა ჯეფ ფიცგიბონსმა. მისი თქმით, ოპერაცია გართულებების გარეშე ჩატარდა, თუ არ ჩავთვლით სახლის შტურმის დროს ორ გასროლას, რომელიც ამერიკელმა სპეცრაზმელებმა გაფრთხილების მიზნით გააკეთეს.

გუშინვე, ამ ოპერაციის პარალელურად, თიქრითში კიდევ ერთი რეიდი განხორციელდა, რომლის დროსაც ასევე ოთხი ერაყელი დააპატიმრეს. ისინიც სადამის გარემოცვის წევრები არიან. ბრიტანულმა ტელეკომპანია "სკაიმ" უკვე დაასახელა ამ დაპატიმრებულთა ვინაობა. ესენი არიან: თიქრითის უშიშროების სამსახურის შეფი დაჰერ ზიანა და "სადამის ფაედინებად" წოდებული სახალხო ლაშქრის სარდალი რაფა იდჰამ იბრაჰიმ ალ-ჰასანი. აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელის რიჩარდ მაიერსის თქმით, ცენტრალური ერაყი **"კვლავ რჩება საომარ ზონად."** მისი განცხადებით, ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმების 80% სწორედ ერაყის ცენტრალურ რეგიონებში, ე.წ. "სუნიტურ სამკუთხედში" ხორციელდება. მან იმედი გამოთქვა, რომ კოალიციის ნაწილები **"ერაყული წინააღმდეგობის დაძლევას შეძლებენ."** სადამის შეპყრობის მიზნით ამერიკელებმა ერაყის მთელ ტერიტორიაზე აქტიური რეიდების ჩატარება დაიწყეს. გუშინდელი ოპერაცია კი დამხობილი დიქტატორის მოსახელთებლად უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

## საფრანგეთში ხანძარმა სამი კაცი შეიწირა

საფრანგეთის რივიერის მახლობლად გაჩენილმა ხანძარმა სამი ადამიანი შეიწირა. ორი მათგანი პატარა სოფლის მახლობლად ტყეში იპოვეს. წინასწარი მონაცემებით, დაღუპულები ბრიტანელი თინეიჯერები იყვნენ. მესამე პიროვნება ახლომდებარე სოფელში მძიმე დამწვრობით გარდაიცვალა.

ხანძრის ჩაქრობას 1700 ფრანგი და იტალიელი მეხანძრე და გვარდიელი ცდილობდა.

გახშირებული ხანძრები უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში უჩვეულოდ ცხელმა ზაფხულმა გამოიწვია. საფრანგეთის პრეფექტურების ინფორმაციით, მხოლოდ ორშაბათს თორმეტ ადგილას გაჩნდა ხანძარი. ხანძრის მოქმედებას ქარიც აძლიერებს. ზაფხულის ხანძრების შედეგად, ათასობით ადამიანს საცხოვრებელი სახლების დატოვება მოუხდა.

თუმცა, მაღალი ტემპერატურის გარდა, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესახებ სხვა მოსაზრებაც არსებობს. საფრანგეთის ხელისუფლებაში ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ეს ტერორის ახალი სახეა და ხანძრების მასობრივი გაჩენა ადამიანის ნახელავია.



ნინო I

# ზღაპრულად მდიდარი კაცის უხეირო დებიუტი

დევიდ ბექჰემის სიმდიდრის შესახებ ლეგენდები დადის. ინგლისის ნაკრების კაპიტნისა და მისი მეუღლის ექსცენტრულობის ამბავი არავისთვისაა ახალი, მაგრამ ზოგჯერ ჟურნალისტები ისეთ წვრილმანს გამოჩხრეკენ ხოლმე ამ სუპერპოპულარული წყვილის შესახებ, რომ მსოფლიო გაოგნებული რჩება. თქვენ გგონიათ, ყველაფერი იცით დევიდისა და ვიქტორიას უცნაურობებზე და თემა "დევიდ ბექჰემი - მსოფლიოში ყველაზე არაორდინარული კაცი" საბოლოოდ ამოწურულია? მინდა გითხრათ, რომ თუ ასე ფიქრობთ, ძალიან ცდებით. დევიდი და ვიქტორია ფანტაზიის სიღარიბეს ნამდვილად არ უჩივიან და მუდამ ახერხებენ თაყვანისმცემლებისთვის სიურპრიზების მოწყობას. მოდით, ინგლისურ "სანთან" და ესპანურ "მარკასთან" ერთად გადავხედოთ "სპაის ბოის" და მისი ვიქტორიას პიკანტურ ცხოვრებას:

მაგალითად, იცოდით, რომ დევიდს საკუთარი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა ჰყავდა თავისი ორი ექიმით? ყველაფერთან ერთად, მანქანაში დაკონსერვებული სისხლიც ინახება. არა, დონორები აქ არაფერ შუაშია. მისტერ ბექჰემი, ყოველი შემთხვევისთვის, საკუთარ სისხლს ინახავს. როგორც ინგლისური გაზეთი "პიპოლი" ირწმუნება, ეს ყველაფერი ბექჰემმა თავისი ახალი კლუბისგან მიიღო. "რეალის" სხვა ფეხბურთელები ასეთი ყურადღებით ნამდვილად არ არიან განებივრებულნი. ბექჰემი, მართლაც, ყველასგან გამორჩეულია.

ანდა, იაპონელთა ფანატიზმი ავიღოთ. ბექჰემი რომ ამ ქვეყანაში, და საერთოდ, აზიაში ძალიან უყვართ, ეს ცნობილი ფაქტია, მაგრამ, ალბათ, აზრადაც არ მოგივიდოდათ, რომ ეს უცნაური იაპონელები "ბექსის" შოკოლადის ქანდაკებას ჩამოასხამდნენ და ინგლისის ნაკრების კაპიტნის სხეულის ნაწილებით პირსაც ჩაიტკბარუნებდნენ.

ალბათ, არც ის იცით, რომ "საპის ბოი" ყოველი მატჩის წინ ახალ ბუცებს იცვამს, მაისურებს კი კარადაში ფერების მიხედვით კიდებს. მანქანაში ბექჰემს მუდამ აქვს საგულდაგულოდ გაპრიალებული რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი შესაბამისი ფერის წინდებით. სახლში, თურმე, "სპაის ბოის" ყოველთვის თეთრი ტანსაცმელი აცვია, რათა



REUTERS

ბექჰემი ავტოგოლის შემდეგ.

ბოლომდე შეეფერებოდეს თეთრად მორთულ ოთახებს. უზარმაზარ სამზარეულოში სამი დიდი კარადა დგას. ერთში მხოლოდ სასმელებია, მეორეში - საჭმელი, მესამეში კი - სალათები. კარადები რომ მუდამ წესრიგში იყოს, ამაზე "ბექსი" პირადად ზრუნავს. "რეალის" ახალი ვარსკვლავი, თურმე, მეტად სენტიმენტალური ადამიანი ყოფილა. ის თავად აღიარებს, რომ არაერთხელ უტირია ფილმის ყურების დროს. დევიდს და ვიქტორიას უამრავი ტანსაცმელი აქვთ. რასაც ერთხელ ჩაიცვამენ, იმას მეორედ აღარ კადრულობენ და კარადაში მიუჩენენ ხოლმე ადგილს. ორივეს ძალიან უყვარს იტალიელი დიზაინერები. სტეფანო დოლჩემ და დომენიკო გაბანამ "სპაის ბოის" ერთხელ მთელი კოლექცია შეუკერეს ტყავის მასალისგან. საინტერესოა, რა ბედი ეწია ამ სახელგანთქმული დუეტის ნამუშევრებს - ბექჰემმა სანაგვეზე მოისროლა თუ ვინმეს აჩუქა ხმარების შემდეგ.

ბექჰემი თავის მოვლის დიდოსტატიც ყოფილა. როგორც ვიქტორიამ აცნობა "მირორს", ამ მხრივ მისი მეუღლე არაფრით ჩამოუვარდება ჰოლივუდისა და პოდიუმის ლამაზმანებს. იყენებს ძვირად ღირებულ სახის კრემს, რომლის ერთი წვეთი 250 ევრო ღირს, რეგულარულად დადის სილამაზის სალონში პედიკიურის, მანიკიურის, წარბებისა და მასაჟის გასაკეთებლად და ამას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს. ბექჰემს მოსწონს, როცა მას ჰომოსექსუალისტთა კერპად ასახელებენ და ხალისით ატარებს საყურეებს.

მის უფროს ვაჟიშვილს, ბრუკლინს, ფორტეპიანოზე დაკვრას თვით ელტონ ჯონი ასწავლის, ვიქტორია კი უკვე მისი სახელით არიგებს ავტოგრაფებს. ბექჰემის უსაფრთხოებას 20 პირადი მცველი იცავს. კვირაში 128 000 ევროს იღებს და მადრიდში ესპანეთის მეფის, ხუან კარლოსის გვერდით ცხოვრობს. მადრიდული ვილა "ლა მურტა" ფეხბურთელს 3,5 მილიონი ევრო დაუჯდა.

აი, ასეთია "სპაის ბოის" მდიდრული ცხოვრების პიკანტური დეტალები. ამასობაში კი ფეხბურთი ყველას მიავიწყდა. ჯერ ესპანეთში სეზონი არ დაწყებულა, მაგრამ ბექჰემმა უკვე მოახერხა თავის გამოჩენა. ახლა "რეალი" ჩინეთის ქალაქ კუმინგში იმყოფება და ადგილობრივ გუნდს ფეხბურთის თამაშს ასწავლის. ზიდანის, ფიგუსა და რაულის გვერდით "ბექსი" ჯერჯერობით უცხო სხეულივით გამოიყურება. მან იმდენი მოახერხა, რომ საკუთარ კარში გაიტანა გოლი, მერე კი დიდხანს იწვა ბალახზე სახეზე ხელებაფარებული. ბექჰემს უჭირს "რეალთან" შეგუება. ესპანური არ იცის და თანაგუნდელებს ვერ ელაპარაკება, მხოლოდ თანამემამულე სტივ მაკმანამანთან აქვს კონტაქტი. რობერტო კარლოსი ერთხელ შეეცადა, გამოლაპარაკებოდა "რეალის" ახალ ვარსკვლავს, მაგრამ ბექჰემმა მისი ინგლისური ვერ გაიგო. მოკლედ, "რეალში" დამკვიდრება ასე იოლი არ არის და ამ ჭეშმარიტებას ფიგუს, ზიდანისა და რონალდოს შემდეგ ბექჰემიც გამოცდის საკუთარ ტყავზე. სავარაუდოდ, ინგლისელის ოფიციალური დებიუტი მადრიდულ კლუბში შედგება 27 აგვისტოს, როცა "რეალი" და "მაიორკა" ესპანეთის სუპერთასზე ითამაშებენ. იმედია, "ბექსი" ამ მატჩში ავტოგოლებს აღარ გაიტანს.

## TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 30 ივლისი

**HTB + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" - "ვერდერი"
15:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ვალენსია" - "ფიორენტინა"
16:45 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ლიდსი"
18:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ბოლონია" - "მილანი"
21:00 "დარტყმა გოლისთვის"
21:15 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
21:55 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შესარჩევი წრე. "შერიფი" (მოლდოვა) - "შახტიორი" (უკრაინა). პირდაპირი ტრანსლაცია
22:55 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შესარჩევი წრე. "შერიფი" (მოლდოვა) - "შახტიორი" (უკრაინა). პირდაპირი ტრანსლაცია
23:55 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შესარჩევი წრე. "კაუნასი" (ლიტვა) - "სელტიკი" (შოტლანდია)
01:40 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შესარჩევი წრე. "პარტიზანი" (სერბია და ჩერნოგორია) - "იურგორდენი" (შვედეთი)

**HTB + СПОРТ**
11:00, 13:45, 16:50, 19:10, 21:30 პრესცენტრი
11:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:00 აერობიკა
11:45 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე
13:15 "ბილიარდის მეუფენი"
14:30 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:30 ავტორბოლა. პოლოს თასი
17:05 ჰოკეი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. სტენლის თასი. ფინალი-2003
19:25 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ავტორბოლა. "რუსები GT-ში"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 ველოტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ვაჟები, ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ფრენბურთი. გრან-პრი იტალიაში. ქალები. ფინალური წრე. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
01:45 ავტორბოლა. "რუსები GT-ში"

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 მულტისპორტი
12:30 ფეხბურთი
13:30 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური პორტუგალიაში
15:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ქალთა შორის
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
19:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
21:00 ფეხბურთი. უეფას თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 მულტისპორტი
01:30 თავგადასავალი. რეიდ Gauloises, ყირგიზეთი
02:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი. დიდი ბრიტანეთი
03:00 აფროსნობა
03:30 გოლფი. PGA ტურნირი, აშშ
04:30 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# ბექჰემი - მარჯვნივ, ფიგუ - მარცხნივ

### "რეალის" აზიური ვოიაჟი

აკა ტონია

უკვე რამდენიმე დღეა, რაც მადრიდის "რეალი" თავის აზიურ ტურნეში გაემგზავრა. ახლა სამეფო კლუბი ჩინეთში, კუნმინგის პროვინციაში იმყოფება და მომავალი სეზონისთვის ემზადება. აზიური ტურნე "რეალისთვის" არა მხოლოდ წინასასეზონო შეკრებაა, არამედ დიდ ფინანსურ ინტერესსაც გულისხმობს. მადრიდელთა ახალი შენაძენი დევიდ ბექჰემი სწორედ ამ კონტინენტზეა ყველაზე პოპულარული. აზიაში სტუმრობა "რეალმა" იქაური ბაზრის "დასაპყრობად" განიზრახა, ამის საწინდარი კი სწორედ ბექჰემი უნდა გახდეს.

ჩინეთი, მართლაც, დიდი სითბოთი დახვდა "რეალს". აეროპორტში მადრიდელებს შეეგება უამრავი გულშემატკივარი, რომელთაც ვარსკვლავებს ყვავილები მიართვეს. "რეალის" სტუმრობამ ჩინეთში უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა, მადრიდელებმა იქაურ გულშემატკივარს ცოტათი გულიც დასწყვიტეს.

ჩინელთა პირველი იმედგაცრუება ის იყო, რომ სამეფო კლუბისთვის გამართულ ბანკეტზე "რეალის" ვარსკვლავები მხოლოდ 15 წუთს გაჩერდნენ, შემდეგ კი უკვალოდ გაუჩინარდნენ. ამ ბანკეტისთვის მასპინძლები დიდხანს ემზადებოდნენ და სტუმართა მხრიდან ამაგის დაუფასებლობამ, ცოტა არ იყოს, გაანაწყენა კიდეც. "რეალის" ხელმძღვანელობამ თავი იმით იმართლა, რომ მგზავრობით გადაღლილ ფეხბურთელებს ბანკეტზე დარჩენა გუნდის ექიმმა აუკრძალა. თუმცა, "ბანკეტის ამბავი" მხოლოდ დასაწყისი იყო...

"რეალის" ვარჯიშებზე ჩინეთში ბილეთები იყიდება. მადრიდელთა პირველ ვარჯიშს ადგილობრივი გულშემატკივარი მოუთმენლად ელოდა და უამრავი ბილეთიც გაიყიდა, მაგრამ სპორტულ ბაზაზე შეკრებილი ქომაგები ხახამშრალები დარჩნენ: "რეალი" საერთოდ არ მოვიდა სავარჯიშოდ. გუნდის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იმ დღეს (ეს კვირას ხდებოდა) ისინი საერთოდ არ გეგმავდნენ ვარჯიშს და ეს მხოლოდ გაუგებრობის ბრალი იყო. მეორე დღეს, ორშაბათს, "რეალი" მოვიდა ვარჯიშზე, თუმცა, მის სანახავად მისული ჩინელები ისევ იმედგაცრუებულები დარჩნენ: ფეხბურთელებს მოედნის საფარი არ მოეწონათ და სხვა საწვრთნელ ბაზაზე გაეშურნენ.



REUTERS

"რეალი" ორშაბათის ვარჯიშისას.



REUTERS

რონალდო ბოულინგის თამაშისას

ცხადია, ამ უსიამოვნო ფაქტების გამო ჩინელები არ შეიძულებენ "რეალს", თუმცა, ისიც ფაქტია, რომ სარეკლამო ხასიათის ტურნემ უკვე საგრძნობლად შელახა სამეფო კლუბის რეპუტაცია. ჩინეთში გავრცელდა აზრი, რომ "რეალი" "გულშემატკივართათვის მიუწვდომელი" კლუბია. ასეთი შეკითხვით გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმაც მიმართეს გუნდის ბრაზილიელ მცველს რობერტო კარლოსს. "ჩვენ ისეთივე ადამიანები ვართ, როგორც ყველა დანარჩენი. "რეალის" ფეხბურთელები არაფრით განსხვავდებიან დანარჩენებისგან", - თავს იმართლებდა კარლოსი.

ასეა თუ ისე, "რეალს", ალბათ, იმის იმედი აქვს, რომ საკუთარი ვარსკვლავების მიუწვდომლობა ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს გუნდის მაისურების ხელმისაწვდომობაზე. მაისურების რეალიზაცია ხომ "რეალის" აზიის ტურნეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. "რეალის" მაისურები ელვის სისწრაფით იყიდება ჩინეთში, თუმცა, თავად მადრიდელებს აქედან ნაკლები ხეირი აქვთ. საქმე ის არის, რომ გუნდის ოფიციალური სათამაშო მაისური, სულ ცოტა, 60 აშშ დოლარი ღირს. ჩინეთში კი სავსეა ფალსიფიცირებული პროდუქციით, მათ შორის, საფეხბურთო მაისურებით. ორიგინალისგან განსხვავებით, "რეალის" ფალსიფიცირებული მაისურა 10 აშშ დოლარი ღირს. ჩინელებიც ფულის დაზოგვას ამჯობინებენ და 60-დოლარიანი, "ნამდვილი" მაისურის ნაცვლად 10-დოლარიან, საგრძნობლად დაბალი ხარისხის, თუმცა, მაინც "რეალის" მაისურებს ყიდულობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მადრიდელთა სარეკლამო ტურნე არა კლუბის, არამედ ჩინელი ფალსიფიკატორების ჯიბეს ასქელებს. ამ ფაქტმა სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა საკმაოდ შეაცბუნა, გამოსავალი კი ჯერ არ ჩანს...

თავად ფეხბურთელები ჩინეთში კარგ დროს ატარებენ. გუშინწინ მწვრთნელმა რიკარდო კეირუშმა თავის ფეხბურთელებს გართობის უფლება მისცა. "სად შეიძლება, რომ კუნმინგში კარგი დრო გაატარო?" - ბოულინგ-კლუბში, რომელიც "ჰუნგტას" სპორტულ ცენტრში მდებარეობს... და "რეალის" ვარსკვლავებმაც ბოულინგის თამაში გადაწყვიტეს. 17:30 საათზე "ჰუნგტას" ბოულინგ-კლუბს მადრიდის "რეალის" ვარსკვლავებით დატვირთული ავტობუსი მიადგა. ფეხბურთელები აღფრთოვანებული დარჩნენ - ასეთი ზომის ბოულინგ-კლუბი არა მარტო ჩინეთში, არამედ მთელ მსოფლიოში იშვიათობაა. დარბაზში 65 სათამაშო ბილიკია, მათ უკან კი - ტრიბუნები, რომლებიც 200 მაყურებელს იტევენ. ამ ტრიბუნებზე იმ დღეს "რეალის" ხელმძღვანელობა, მწვრთნელები და ექიმები განლაგდნენ და თავიანთი ფეხბურთელების თამაშს ადევნებდნენ თვალყურს. მოთამაშეები რამდენიმე გუნდად დაიყვნენ. პირველ გუნდს რაული, გუტი, მორიენტესი და ფიგუ წარმოადგენდნენ. მეორე გუნდში თავი მოიყარეს მაკმანამანმა, ბექჰემმა, სოლარიმ და სეზარმა. სწორედ ამ გუნდებმა გაინაწილეს პირველი და მეორე ადგილები. საპატიო მესამე ადგილზე კი კასილიასისა და პავონის გუნდი გავიდა. საუკეთესო მოთამაშეებად რაული, გუტი, მაკმანამანი და სელადესი აღიარეს.

ახლა თავი დავანებოთ კომერციაზე და გართობაზე საუბარს და დავუბრუნდეთ ფეხბურთს. გუშინწინ "რეალმა" გამართა პირველი სერიოზული ვარჯიში, რომელზეც უკვე ნათლად გამოიკვეთა რიკარდო კეირუშის სათამაშო სქემა. მას შემდეგ, რაც "რეალმა" დევიდ ბექჰემი შეიძინა, ყველას აინტერესებს, თუ რომელ პოზიციაზე ითამაშებს ინგლისელი. კეირუშმა თავდაპირველად განაცხადა, რომ ბექჰემს მოედნის ცენტრში უპირებდა დაყენებას. საკმაოდ არაორდინარული იდეაა, რომელსაც განხორციელება არ ეწერა, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი ვარჯიშიდან სულ სხვა შთაბეჭდილება დაგვრჩა. ორშაბათის ვარჯიშზე კეირუშმა პირველად ათამაშა ფიგუ და ბექჰემი ერთად (მანამდე ის მათ სხვადასხვა გუნდში ამწესებდა). მაშ ასე, კეირუშმა ბექჰემი მისთვის ჩვეულ მარჯვენა ფლანგზე დააყენა, ფიგუ კი - მარცხნივ. ეს, ალბათ, ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება იყო და, ამასთან, მოსალოდნელიც - მარცხენა ფლანგი ფიგუსთვის ახალი არ არის. ბექჰემის პოზიციასთან დაკავშირებით, "რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ ერთხელ განაცხადა, რომ ვარსკვლავებს არ სჭირდებათ ადგილის გამოძებნა, "ისინი თავად პოულობენ თავიანთ ადგილს".

# აბრამოვიჩი ვალებს ფერთხავს

### და ახალ მოთამაშეებს ყიდულობს

პაატა თოთაძე

რუსმა მილიარდერმა რომან აბრამოვიჩმა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ლონდონის "ჩელსი" იყიდა, განაცხადა, რომ დაგეგმილი აქვს კლუბის ვალების დიდი ნაწილის გასტუმრება.

აბრამოვიჩის განცხადებით, ის მზადაა, დაფაროს კლუბის ინვესტორთა მიმართ არსებული დავალიანების ნაწილი, რაც დაახლოებით 75 მილიონი გირვანქის ტოლია. კლუბსა და ინვესტორებს შორის არსებული გარიგების თანახმად, "ჩელსის" 2007 წლამდე უნდა გაესტუმრებინა ვალები, მაგრამ თუ ინვესტორები 36 წლის რუსი ოლიგარქის წინადადებას დათანხმდებიან, შედარებით მცირე თანხას ახლავე მიიღებენ. ზოგიერთის აზრით, აბრამოვიჩის წინადადება მიუღებელი იქნება ინვესტორთათვის, თუმცა, მეორე ნაწილი თვლის, რომ ჯობს, ახლავე მიიღოს შედარებით მცირე თანხა. თუ ეს ასე მოხდა, კაპიტალის რაოდენობა, რომელიც აბრამოვიჩმა დღემდე დაახარჯა "ლურჯებს", 177 მილიონ გირვანქას შეადგენს, რაც ამერიკულ დოლარებში დაახლოებით 283 მილიონს უტოლდება.

ბუნებრივია, რუსი ოლიგარქის კაპიტალდაბანდება ამით არ დასრულდება, რადგან, მისი თქმით და ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახლო მომავალში "ჩელსი" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებს. ამ უქმეებზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლონდონელებმა იტალიური "რომადან" ბრაზილიელი ნახევარმცველის, ემერსონის გადაბირება განიზრახეს და მზად არიან, საამისოდ 21 მილიონი გირვანქა გაიღონ. გუშინ ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა იტალიელთა სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ. აღსანიშნავია, რომ "ჩელსის" მოლაპარაკება ფეხბურთელთან "რომას" ზურგს უკან წარუმართავს, თუმცა, კლუბისთვის ყველაფერი მალევე გახდა ცნობილი, რადგან ამის შესახებ თავად ემერსონს უცნობებია ხელმძღვანელობისთვის. "ლონდონელები ცუდად მოიქცნენ, როცა სცადეს, ჩვენს ზურგს უკან მოლაპარაკება გაემართათ ემერსონთან.



რომან აბრამოვიჩი ქალიშვილთან ერთად.




მართალია, ისინი ჩვენც დაგვიკავშირდნენ, მაგრამ თავად ასეთი ფაქტის არსებობა უკვე ცუდია. ბრაზილიელის სანაცვლოდ "ჩელსიმ" 27 მილიონი ევრო შემოგვთავაზა, მაგრამ ჩვენ მას ვერ შეველევით. "რომა" მზადაა, ემერსონს კონტრაქტი გაუგრძელოს და ფეხბურთელი ფინანსურადაც დააკმაყოფილოს", - აღნიშნა ბალდინიმ.

ეს რომაელთა რიგით მეორე უარია "ჩელსისთვის" ემერსონის მიყიდვასთან დაკავშირებით. პირველი უარის შემდეგ "ლურჯების" წარმომადგენლები პირდაპირ ფეხბურთელს დაუკავშირდნენ "რომასგან" დაფარულად და ექვს წელიწადში ხელფასის სახით 30 მილიონი ევრო შესთავაზეს. ამასთან, ლონდონელები მზად იყვნენ, ფეხბურთელისთვის ის თანხაც გადაეხადათ, რომელიც მას "რომასგან" კონტრაქტის გამოსასყიდად დასჭირდებოდა.

სავარაუდოდ, ამ კვირას დასრულდება ხუან სებასტიან ვერონის "ჩელსიში" გადასვლის ეპოპეაც. აბრამოვიჩს მისი გადაბირება 14 მილიონი გირვანქა უჯდება. ამდენი კარგი ფეხბურთელი კლუბს ნამდვილად გააძლიერებს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ "ჩელსიში" ბოლო დროს ბევრი ფეხბურთელი მოგროვდა, მათ რიცხვს კიდევ რამდენიმე დაემატება და კოლოსალური სახელფასო ფონდიც გამოვა. ეს აბრამოვიჩმაც კარგად იცის და, ორი დღეა, კლაუდიო რანიერისთან თათბირობს, თუ ვინ გაუშვან კლუბიდან, რათა სახელფასო ფონდი შემცირდეს.

პირველი ფეხბურთელი, რომელსაც აბრამოვიჩმა ავად დაადგა თვალი, ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკია. მართალია, ფეხბურთელს ჯერ კიდევ აკავშირებს კონტრაქტი კლუბთან, მაგრამ აბრამოვიჩი მზადაა, ის "ბეტისს" უფულოდ დაუთმოს - მთავარია, ამ უკანასკნელმა მისი წაყვანა მოისურვოს. სამაგიეროდ, მის ნაცვლად "ლურჯები" "მალიორკადან" სამუელ ეტოოს ყიდვას აპირებენ. უკვე დიდი ხანია კლაუდიო რანიერის კამერუნელი ფორვარდის თავის გუნდში ხილვა სურს, მაგრამ აბრამოვიჩის მოსვლამდე მის ოცნებას ახდენა არ ეწერა, ახლა კი ყველაფერი რეალურია. ყველაფერთან ერთად, დღეს "მალიორკას" ფინანსურად ნამდვილად არ ულხინს და ის 15 მილიონი გირვანქა, რომელიც, შესაძლოა, ეტოოს სანაცვლოდ მიიღოს, ნამდვილად წაადგება. ამასთან, ეტოო "ჩელსიში" ახლახან გადასული თანამემამულის, ჯერემის ახლო მეგობარია და ინგლისურადაც ჩინებულად საუბრობს, რაც მას, ბრიტანული მედიის აზრით, თვითდამკვიდრებაში დაეხმარება და თანაგუნდელებთან ურთიერთობაში პრობლემებს არ შეუქმნის.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ბელორუსის ნაკრების მწვრთნელად, შესაძლოა, ჩეხი სპეციალისტი დაინიშნოს. ამის შესახებ ცნობილი გახდა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომის შემდეგ. წესით, მწვრთნელი ამ სხდომაზე უნდა დანიშნულიყო, მაგრამ, იმის გამო, რომ მწვრთნელის პოსტზე ახალი კანდიდატურა გამოჩნდა, საკითხის გარკვევა მომავლისთვის გადაიდო. როგორც ბელორუსული საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, ახალი კანდიდატურა ჩეხი ჰოვანეცია და ნაკრების გაწვრთნის ყველაზე მეტი შანსი სწორედ მას აქვს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია არ დაეთანხმა უკრაინელთა თხოვნას, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელჩედან სხვა ქალაქში გადაეტანათ. უკრაინელთა თხოვნა ბასკი ტერორისტების მოქმედებით იყო გამოწვეული, თუმცა, ესპანელთა თქმით, ტერორისტები მხოლოდ ესპანელებს ერჩიან, ასე რომ, უკრაინელებს არავითარი პრობლემა არ შეექმნებათო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კიევის "დინამოს" თავისი ყოფილი მოთამაშის, თავდამსხმელის ოლეგ ვენგლინსკის დაბრუნება სურს. ფეხბურთელი ამჟამად დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" ღირსებას იცავს და წარმატებულადაც. მას შემდეგ, რაც კიეველებმა სატრანსფერო ბაზარზე რამდენიმე მარცხი განიცადეს, თავისი ყოფილი მოთამაშის დაბრუნება განიზრახეს, მაგრამ, საეჭვოა, "დნიპრო" მას შეელიოს, რადგან კლუბის წარმატება მნიშვნელოვანწილად სწორედ ვენგლინსკის დამსახურებაა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ტოტენჰემის" გერმანელ მცველს კრისტიან ციგეს მტკივან ფეხზე კიდევ ერთი ოპერაციის გაკეთება მოუწევს, რაც ფეხბურთელის 6 თვით უქმად ყოფნას გამოიწვევს. "საშინელი სიახლეა, თუმცა, სხვა გზა არ მაქვს. თუ კიდევ მინდა ფეხბურთის თამაში, ახლავე უნდა ვიმკურნალო", - განაცხადა ფეხბურთელმა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "მაკლარენი" მომავალი წლის ბოლოს კოლუმბიელი პილოტის ხუან პაბლო მონტოიას გადაბირებას აპირებს. მონტოიას "უილიამსთან" მომავალი წლის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი, თანაც, არ აკმაყოფილებს ახლანდელი ხელფასი, რომელიც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რალფ შუმახერისა. სწორედ ამიტომ კოლუმბიელი გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. ამასთან დაკავშირებით "უილიამსს" ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუნდის უფროსობა კოლუმბიელის მოთხოვნას დათანხმდება და ხელფასს გაუზრდის.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "დეტროიტ პისტონზის" საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტის, ჯო დუმასის განცხადებით, ამ კლუბმა მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა ელდენ კემპბელთან.

"მოხარული ვართ, რომ შევიძინეთ ისეთი ნიჭიერი კალათბურთელი, როგორიც კემპბელია. მან პლეი-ოფში ბრწყინვალედ ითამაშა და მისი გადმობირებით ჩვენი გუნდის პროგრესი გაგრძელდება", - განაცხადა დუმასმა.

კემპბელს NBA-ში ჩატარებული აქვს 939 მატჩი და თითო შეხვედრაში საშუალოდ 11 ქულას, 6,2 ფარიდან ასხლეტილი ბურთის დაუფლებას, 1,2 შედეგიან გადაცემას და 1,63 ბლოკ-შოტს აგროვებდა.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** პირადი აგენტის, ვილი ვებერის განცხადებით, რალფ შუმახერი ახლოა "Wiliams"-ის გუნდთან მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებასთან.

"დღესვე მზად ვარ, რალფის კონტრაქტი მრავალწლიანი ვადით გავაგრძელო", - აღნიშნა პრესასთან საუბარში ვებერმა, რომელმაც ახალი ხელშეკრულების გაფორმებისთვის არაჩვეულებრივად კარგი პერიოდი შეარჩია: ბოლო 5 რბოლაში რალფმა ორი "პოული" და ორი გრან-პრი მოიგო, თანაც, თავის თანაგუნდელს, მონტოიას სატურნირო ცხრილში გადაუსწრო. რაც შეეხება მიმდინარე კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც რალფი წელიწადში 15 მილიონ ევროს იჯიბავს, მისი ვადა 2004 წლის 31 დეკემბერს იწურება.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** მსოფლიოს პირველ ჩოგანს სერენა უილიამსს მარცხენა მუხლზე რენტგენის გადაღება მოუწევს. ამის შესახებ განაცხადა სერენას მამამ და მწვრთნელმა რიჩარდ უილიამსმა. ორშაბათს სერენა მუხლის ტკივილის გამო ვერ დაესწრო სან-დიეგოში გამართულ პრესკონფერენციას, რომელიც "აკურა-კლასიკის" საჩოგბურთო ტურნირს ეძღვნებოდა.

გასულ კვირას სერენა სტენფორდის საჩოგბურთო ტურნირსაც იგივე მიზეზით გამოაკლდა.

■ ■ ■

**კრივი.** ფერნანდო ვარგასმა რინგზე თავისი დაბრუნება ტრიუმფით აღნიშნა. კანადელ ფიტც ვანდერპულოსთან სარეიტინგო ბრძოლა მან მე-6 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაასრულა. ამის მიუხედავად, როდესაც მას სთხოვეს, რინგზე საკუთარი მოქმედებები 10-ბალიანი სისტემით შეეფასებინა, მან თავის თავს 6-იანი დაუწერა.

უკანასკნელად ვარგასმა გასული წლის 14 სექტემბერს იჩხუბა. მაშინ იგი "ოქროს ბიჭუნად" მონათლულ ოსკარ დე ლა ჰოიასთან მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. ბრძოლის შემდეგ მას სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოუჩინეს და 6-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. თუმცა, სასჯელი უკვე მოიხადა და რინგსაც დაუბრუნდა.

პოპ-მუსიკა

## დიტრიხი პარიზში



პარიზში ერთდროულად ორი გამოფენა მიეძღვნა ცნობილ მსახიობს მარლენ დიტრიხს. ერთ-ერთ გამოფენაზე წარმოდგენილია დიტრიხის საღამოს კაბები და რასაკვირველია, შარვლიანი კოსტუმები, რამაც შეცვალა მეოცე საუკუნის ქალის სახე. მართალია, დიტრიხი გერმანიაშია დაბადებული, მაგრამ ფრანგები მას მაინც საკუთარ ლეგენდად მიიჩნევენ.

## ბლუზი განახლებულ ფორმატში

მალე ბლუზის ოსტატების: მადი უოტერსის, ბი ბი კინგისა და ვილი დიქსონის კლასიკური კონცერტები ციფრული ვიდეო-დისკის (DVD) სახით გამოვა. სამ ცალკეულ დისკზე ჩაწერილი იქნება: ბი ბი კინგის 1991 წელს გადაღებული კონცერტი საკონცერტო დარბაზ "აპოლოში"; მადი უოტერსის გამოსვლა ჩიკაგოს 1981 წლის ფესტივალზე და უილი დიქსონის I Am The Blues.

## სინგლი სიურპრიზით



ჯგუფ "რეიდიოჰედის" წევრებმა გადაწყვიტეს გარკვეული სიურპრიზი მიეძღვნათ ფანებისთვის. ამიტომაც, მოიფიქრეს გამოეშვათ განსხვავებული სინგლი. კომპაქტ-დისკზე, რომელიც 18 აგვისტოს გამოვა, სიმღერა Go To Sleep-ის გარდა, ჩაწერილი იქნება ჯგუფის სრულიად ახალი კომპოზიცია I Am Citizen Insane და სიმღერა Fog-ის ახალი, საკონცერტო ვერსია.

## ჯეი ქეი გამოჩნდა

მუსიკალური საზოგადოება პოპულარული ჯგუფის "ჯემიროქუაისგან" ახალს ალარაფერს ელის. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც შარშან ჯგუფის ლიდერმა მუსიკალური სცენიდან წასვლის შესახებ ხმამაღლა ისაუბრა. თუმცა, როგორც BBC Radio 1-ის ჟურნალისტებმა გაარკვიეს, მუსიკოსი სიტყვის შესრულებას არ ჩქარობს. "ჯემიროქუაის" ლიდერი თურმე ახალ ალბომზე მუშაობს. "ჯერ იწერება მასალა. შემდეგ ვაპირებ ერთი თვით კუნძულზე წავიდე და გავაგრძელო მუშაობა". ამჟამად კი ჯეი ქეი ევროპაში გასტროლიორობს. მუსიკოსი არც იმას აზუსტებს, თუ კონკრეტულად როდიდან შეუდგება სტუდიაში ალბომის ჩაწერას, მითუმეტეს ზედმეტია საუბარი ჩანაწერის გამოსვლის თარიღზე. მაგრამ, ინფორმაცია, რომელიც ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გაავრცელეს, "ჯემიროქუაის" თაყვანისმცემლებს მაინც გაახარებს.

## რეი ჩარლზმა კონცერტები გადადო



ავადმყოფობის გამო ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა რეი ჩარლზმა 14 დაგეგმილი კონცერტი გადადო. 72 წლის მომღერალი ისევ შეაწუხა ფერდის ტკივილმა. რამდენადაც ცნობილია, ამ მიზეზით რამდენიმე ხნის წინათ ჩარლზი ლოს ანჟელესის საავადმყოფოში მკურნალობდა. როგორც მისი პრეს-მდივანი იტყობინება, ამ კვირაში ჩაშლილი სამი კონცერტი ზაფხულის ბოლოს გაიმართება. მოულოდნელი პაუზის შემდეგ პირველი კონცერტი დღეისათვის არის დაგეგმილი.

# სხვისი მწუხარება ჩემი ტკივილია

### როგორ დაინახა პანკისის ხეობა კარლოს მარსალმა



კარლოს მარსალის პანკისის ხეობა.

ანა კორძაია-სამადაშვილი

ძალადობის, ანტიჰუმანიზმის თუ ეკოლოგიური დანაშაულის ყოველგვარ გამოვლენათა წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ქალთა ფედერაცია, "კავკასიელ ქალთა კონგრესი" დღეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ორგანიზაციაა. ის პოლიტიკური მოძრაობა "კავკასიელის" იდეური და ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, და მისი ძირითადი მიზანი აქართველოსა და მთელს კავკასიაში კავკასიელ ქალთა გაერთიანება და მშვიდობისათვის ბრძოლა გახლავთ.

სწორედ "კავკასიელ ქალთა კონგრესის" ეგიდით გაიმართა გუშინ საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ "კავკასიურ სახლში" კარლოს მარსალის ფოტოგამოფენა, რომელიც პანკისის ხეობას ეძღვნება.

კარლოს მარსალი საქართველოში საფრანგეთის საელჩოს რეზიდენციის მმართველად მუშაობს და ამავე დროს საქართველოში საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩის პირადი მზარეულიცაა. მისმა გამოფენამ სრულიად განსხვავებული წრეების წარმომადგენლები მიიზიდა: როგორც საელჩოს თანამშრომლები, ასევე ქართველი პოლიტიკოსები და კულტურის მოღვაწეები, და, რასაკვირველია, "უბრალოდ" კავკასიელებიც.

"სხვების მწუხარება ჩემი ტკივილია" კარლოს მარსალისთვის ლიტონი სიტყვები არაა. ამაში თუნდაც გამოფენაზე მობრძანებული მომღერლის, ნინო ქათამაძის ნაამბობმა დაგვარწმუნა. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე თვის წინათ საელჩოს თანამშრომელმა, რომელსაც, სერიოზულად რომ ვილაპარაკოთ, მსგავსები არ უნდა ადარდებდეს, თხოვნით მიმართა ამ მუსიკოსს – ჩაეწერათ კომპაქტ-დისკი, რომლის დაფინანსებასაც ის თავად იკისრებდა და რომლის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაყიდვის შემდეგ შემოსული თანხაც, მთლიანად დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა დახმარებას მოხმარდებოდა. მოგეხსენებათ, გარემოებების გამო ამგვარი პროექტების განხორციელება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი ხდება ხოლმე, მაგრამ კარლოს მარსალი უკან არ იხევს, და ქალბატონ ნინოს თქმით, პროექტზე მუშაობა და მასზე ფიქრი არ შეუწყვეტია.

ასეთივე შეუპოვრობა გამოიჩინა მან პანკისის ხეობასთან დაკავშირებითაც. ცხადია, როგორც უცხოელს, მარსალს გულმოდგინედ უხსნიდნენ, რომ გამგზავრება საფრთხესთანაა დაკავშირებული, მაგრამ მას უკან არ დაუხევია, და სწორედ ამის წყალობით იხილა გუშინ საზოგადოებამ "ხედვა სხვა სამყაროში", კეთილმოსურნე უცხოელი მამაკაცის თვალით დანახული პანკისის ხეობა.

კარლოს მარსალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მოყვარული ფოტოგრაფის ნამუშევრებია, მაგრამ ამით მის ფოტოსურათებს ნამდვილად არაფერი დაკლებია. თუკი სიტყვათშეთანხმება "კეთილი ნამუშევარი" საერთოდ გამართლებულია, მას სწორედ ასეთი შეიძლება ვუწოდოთ.

კარლოს მარსალი ძირითადად ადამიანებს იღებს, და ყოველ პორტრეტში მისი უაღრესად თბილი დამოკიდებულება ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ გამოფენის პლაკატზეც კი თითქოს გალიაში დამწყვდეული გოგონაა გამოსახული, მთელი გამოფენა ტრაგიკულ ან გადამტკბარ-სენტინმენტალურ შთაბეჭდილებას არ ქმნის: ამ მშვენიერ მხარეში ადამიანები ცხოვრეობენ, ერთმანეთი უყვართ, ლოცულობენ, ბავშვებს ზრდიან, ყველაფერი ისევე ხდება, როგორც ნებისმიერ სხვა მხარეში, სხვა სამშობლოში. ამის დასტური გახსნის დროს ჩატარებული პატარა კონცერტიც იყო: კავკასიელები კვლავ ვმღერით, ვუმღერით სიყვარულს და ჩვენს სამშობლოს – ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს! და თუკი ერთი წინადადებით ვეცდებით კარლოს მარსალის ფოტონამუშევრების შეფასებას, მისი ჩამოყალიბება ალბათ ასე შეიძლება: ეს არ არის ომის მსხვერპლთა ბედის გამო მოთქმა-გოდება, ეს უბრალოდ ცოტა სევდიანი და სიყვარულით სავსე უცხოელის თვალით დანახული სხვების მწუხარებაა სამშობლოს გამო.

გამოფენის გახსნის შესახებ მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ როგორც "კავკასიური სახლის" წესია, ყველაფერი ჩინებულად იყო ორგანიზებული. გამოფენაც მშვენიერი იყო, მობრძანებულთა სიტყვებიც, სიმღერაც, და გამასპინძლებითაც საუკეთესოდ გაგვიმასპინძლდნენ. თითქოს ყველა კმაყოფილი ჩანდა, მგონი, თავად ბატონი მარსალიც, რომელიც ვერაფრით დავიმარტოხელე – სულ კორესპონდენტები ეხვეოდნენ და იმდენი მადლობის სიტყვის მოსმენა მოუწია, ჩემთვის ნამდვილად არ ეცალა. ამიტომ ვტაცე ხელი ერთ წითელლოყება ვაშლატამას და წამოვედი.

# პირველი ჯილდო სამშობლოში

ნანა ბასილაშვილი



ჯილდო სამშობლოში.

ხშირად, როდესაც უცხოეთში მოღვაწე ქართველები, პერიოდულად მშობლიურ ქალაქს ესტუმრებიან ხოლმე, ჟურნალისტებისთვის თავიანთი ვიზიტის შესახებ "ახსნა-განმარტების მიცემა" უწევთ. მნიშვნელობა არა აქვს საქმიანია ეს სტუმრობა (გასტროლი ან სხვა რამ), თუ არა, ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს... მითუმეტეს თუ კი სახელმწიფოებრივ საქმეზეა საუბარი. გუშინ, რეჟისორი ოთარ ჯანგიშერაშვილი, ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებასა და მისი ტრადიციების პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის, საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ორდენის გადაცემის საპატიო მისია, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, გიგა ლორთქიფანიძეს ხვდა წილად. მოკრძალებული ცერემონია თეატრალურ უნივერსიტეტში, ოთარ ჯანგიშერაშვილის კოლეგებისა და მეგობრების (გოგი ქავთარაძე, გოგი დოლიძე, გურამ ბათიაშვილი, გურამ ქარქაშაძე და სხვები) გარემოცვაში გაიმართა.

წლების განმავლობაში რუსეთში მოღვაწე ქართველმა რეჟისორმა, ოთარ ჯანგიშერაშვილმა, 60 წლის იუბილეს აღნიშვნა, თბილისში, საკუთარ სახლში, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, მას ნამდვილად არ უფიქრია, რომ სამშობლოში იგი არც თუ ურიგოდ დასაჩუქრდებოდა. გარდა ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა, ჯილდო ბატონ ოთარს საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული ურთიერთობების განმტკიცებისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭა.

ქართველი თეატრალური რეჟისორი, უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც რუსეთის ფედერაციაში მოღვაწეობს. დღესდღეობით იგი თანამედროვე რუსული დრამატული თეატრის ერთ-ერთ აღიარებული ორგანიზატორი და რეჟისორია. 1988 წლიდან ოთარ ჯანგიშერაშვილი ქალაქ ვოლგოგრადში, მის მიერ ჩამოყალიბულ სახელმწიფო ექსპერიმენტული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორია. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ სტუდენტობიდან დაიწყო.

სტარტი მან 1965 წელს, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, მიხეილ თუმანიშვილის ჯგუფში აიღო. ორწლიანი პაუზის (იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს) შემდეგ, მომავალმა რეჟისორმა სწავლა კიევის თეატრალურ ინსტიტუტში დოდო ალექსიძესთან განაგრძო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ოთარ ჯანგიშერაშვილი (1971-72 წლებში), მშობლიურ ქალაქში მუშაობდა, მარჯანიშვილის თეატრში. თუმცა ორი წლის შემდეგ რუსეთს მიაშურა. მან ჯერ მოსკოვში, პუშკინის თეატრში, შემდეგ, კი ულიანოვსკში გააგრძელა მოღვაწეობა. მოგვიანებით რეჟისორი კვალიფიკაციის ასამაღლებლად "გიტისის" კურსებს გადის, რის შემდეგაც ჯერ სტაჟიორად მოსკოვის მცირე თეატრში მუშაობს, შემდეგ კი ჯერ პეტროზავოდსკის რუსული დრამატული თეატრის, მოგვიანებით, 1988 წლამდე, ქალაქ გორკის დრამის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია.

10 წლის წინათ, ოთარ ჯანგიშერაშვილს რუსეთის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიანიჭეს. ამას გარდა, ქართველი რეჟისორი "კარელიის ასსრ" ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, "რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე", რუსეთის სახალხო არტისტი, "ღირსების ორდენის კავალერი" და კონსტანტინე სტანისლავსკის სახელობის პრემიის ლაურეატია.

ცოტა ხანში ოთარ ჯანგიშერაშვილი კვლავ ვოლგოგრადში, საკუთარ ექსპერიმენტულ თეატრს მიაშურებს, სადაც ამჟამად ჩეხოვის "თოლიას" და შექსპირის "ჰამლეტს" დგამს. ლოგიკური კითხვა (რაც მასთან ალბათ ნებიმერ ქართველ თეატრალს დაებადებოდა), აპირებს თუ არა სამშობლოში საგასტროლოდ ჩამოსვლას, სამწუხაროდ უპასუხოდ რჩება.

გუშინ, პრეზიდენტმა ღირსების ორდენით ქართული კულტურისა და მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის კიდევ ერთი შემოქმედი, მსოფლიოში აღიარებული დირიჟორი, ოდისეი დიმიტრიადი დააჯილდოვა.

# გერმანული წყალქვეშა ნავები ქართველი მხატვრის შემოქმედებაში

თეონა ჯაფარიძე





ბრძოლა ატლანტიკისათვის

ჩვენს წინაშე საკმაოდ სოლიდური, ორენოვანი ბერძნულ-ინგლისური გამოცემაა: "ზამპელას არტის" მიერ წარმოდგენილი კატალოგი, რომელიც "მე-3 მილენიუმის (ათასწლეულის) კვიპროსელ მხატვრებს" აერთიანებს. 95 საუკეთესო ავტორს შორის კატალოგის ფურცლებზე ქართველ მხატვრ გიორგი ლაღიძესა და მის ნამუშევარს "ბრძოლა ატლანტიკისათვის" ვაწყდებით. ცნობისათვის: მხატვართა წყვილი გიორგი ლაღიძე და თინა ფეტვიაშვილი უკვე ათი წელია, რაც კვიპროსზე მოღვაწეობენ. გასულ წელს მათ მეტად მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელეს: შექმნეს კვიპროსის ადრეული ქრისტიანული ხანის 57 ტაძრის ფერწერული ასლი, რომლებიც ჯერ ნიუ იორკში გამოიფინა, საბოლოოდ კი ამ ტილოებმა კვიპროსის სახელმწიფო მუზეუმში დაიდო ბინა. და ისევ რჩეულ კვიპროსელ მხატვართა კატალოგს დავუბრუნდეთ: გიორგი ლაღიძის შესახებ კატალოგში ასეთი მონაცემებია შეტანილი: ის დაიბადა თბილისში 1965 წელს, დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია სცენოგრაფიის განხრით. პერსონალური გამოფენები ჰქონდა თბილისში, მოსკოვში, იტალიაში, კვიპროსსა და შეერთებულ შტატებში. ამ მონაცემებს იმასაც დავამატებთ, რომ გიორგი ლაღიძე ევროპაში ცნობილი არტისტის, ამჟამად ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორის გია ეძგვერაძის აღზრდილია.

კატალოგის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ "ზამპელას არტმა" გადაწყვიტა მსოფლიოსათვის გაეცნო და რეკლამირება გაეწია კვიპროსელი მხატვრებისათვის. თავდაპირველად კოლექციისათვის 400-მდე ნამუშევარი შეირჩა. კოლექცია უძველესი ბერძნული ქალაქის - ფამაგუსტას ძველ ციტადელთან გამოიფინა, სადაც, დღესდღეობით, ხშირად იმართება თანამედროვე ხელოვნების დემონსტრირება: კინო-ჩვენებები, თუ სხვადასხვა გამოფენები. საბოლოოდ ცნობილმა კრიტიკოსთა ჯგუფმა (ლონდონიდან და მილანიდან) კატალოგისათვის, რომელიც მსოფლიოში ცნობილ გალერეებსა და ბიბლიოთეკებს დაურიგდებათ, 95 ნამუშევარი (90 ფერწერა და 5 სკულპტურა) შეარჩია. სწორედ ამ გზით მოხვდა ქართველი მხატვრის კოლაჟი – "ბრძოლა ატლანტიკისათვის" კატალოგის ფურცლებზე.

არ გეგონოთ რომ "ბრძოლა ატლანტიკისათვის" ფერწერისათვის უფრო მომგებიან თემას – ლეგენდარული მატერიკის "ატლანტიდის" ჩაძირვასა, ანდა მითოლოგიურ ტიტანთა ბრძოლას ეხება. რაოდენ უცნაურადაც არ უნადა მოგეჩვენოთ, ქართველი მხატვარი სერიოზულადაა დაინტერესებული მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა სამხედრო ტექნიკის ისტორიის შესწავლით. ფოტო-იმიჯით, რომელიც მხატვარმა თავის დროზე უცნაური რაკურსით ძველი ქარხნის ნანგრევებს გადაუღო და რომელიც ერთი შეხედვით გერმანელთა წყალქვეშა ნავის ასოციაციას იწვევს, აკრილით გამოჭრილი სამხედრო ტექნიკის ნომრებითა და ტილოზე ბეჭვდის ტექნიკის გამოყენებით მხატვარმა ერთგვარი მილიტარული სტილი შემოგვთავაზა: - "ეძღვნება მათ, ვინც მეორე მსოფლიო ომის დროს ატლანტიკის ოკეანეზე გამართულ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას და სიკვდილს თვალებში უყურებდა" – ასე განმიმარტა მხატვარმა ყოველივე ის, რაც ამ შერეული ტექნიკით შესრულებული კოლაჟის მიღმა მოსჩანს.

ბოლოს კი გაცნობებთ, რომ "კვიპროსელი მხატვრების" – თინა ფეტვიაშვილის აკვარელში შესრულებული დახვეწილი ნამუშევრები და გიორგი ლაღიძის საინტერესო კოლაჟები, თბილისშიც შეგიძლიათ იხილოთ: ისინი ზუბალაშვილების ქუჩაზე, "თაგის არტსის" საგამოფენო დარბაზშია წარმოდგენილი.

## ოდრი ტოტუს ბინძური მშვენება



ოდრი ტოტუ ფრირზის ფილმში.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მშვენიერი ამელი, ოდრი ტოტუ, სტივენ ფრირზის ბრიტანულ დრამაში "ბინძური მშვენება" პრეზერვატივებს გვის, საკერავ მანქანაზე მუშაობს და საკუთარ თირკმელსაც კი ჰყიდის.

კინოკრიტიკოსების აზრით, სტივენ ფრირზის ახალი ფილმი მათთვისაა გადაღებული, ვისაც ინგლისის დედაქალაქი სძულთ. ლონდონის გარეუბნების სუბკულტურული და ჭრელი სამყარო არაერთხელ იყო აღწერილი, მაგრამ როცა დიდი ქალაქის კრიტიკას ბრიტანელი შეუდგა, ეს უკვე სხვა საქმეა.

რეჟისორს ლონდონის გეოპოლიტიკური პრობლემები ნაკლებად ადარდებს. ის იმით დაინტერესდა, რომ – ნუ იტყვი! – თურმე ემიგრანტები ემიგრანტებს ამცირებენ, მხოლოდ იმ პრინციპით, რომ ზოგს ბრიტანული პასპორტი აქვს, ზოგს კი – არა. აღნიშნული პრობლემის ილუსტრირება "მერი რაილისა" თუ "სახიფათო კავშირების" შემქმნელ რეჟისორს ნამდვილად არ გასჭირვებია. მისი პერსონაჟები ფრიად კოლორიტულნი არიან და სურათი არც ვნებათაღელვის ნაკლებობას უჩივის.

ერთ-ერთი გმირი ნიგერიელი ემიგრანტია, სახელად ოკვე. მის როლს ჩიტველ ეჯოფორი თამაშობს. ის ჰიტროუზე კლიენტებს უდარაჯდება, საღამოობით კი იაფფასიან სასტუმროში მუშაობს – მეძავებს ათვალიერებს, რუს შვეიცარს ებაასება და რაღაც ბალახს ღეჭავს, რომ არ დაეძინოს. ოკვესთვის ძილი დაუშვებელი ფუფუნებაა, მას ფული აქვს საშოვნი, რომ ახალი პასპორტი იყიდოს და ნიგერიაში დაბრუნდეს. ძველი პასპორტი ამ საქმისთვის აღარ გამოდგება, რადგან ოკვეს, ყოფილ ექიმს, ცოლის მკვლელობაში სდებენ ბრალს.

ამ გმირს თავის შესაფერისი მეგობრები და მეზობლებიც ჰყავს. ასე, მასთან ერთად ბინას პატარა თურქი გოგო, შინეი ქირაობს – სწორედ ის გახლავთ ოდრი ტოტუს გმირი. ის იმავე სასტუმროში დამლაგებლად მუშაობს და არაბულ პოპ-მუსიკას უსმენს. ისიც ყალბი პასპორტისთვის აგროვებს ფულს, იმის იმედით, რომ ამერიკაში გაემგზავრება, სადაც მისი ნათესავი თავს იტალიელად ასაღებს და საკუთარი რესტორანიც კი აქვს გახსნილი.

ამ ორისთვის ყალბი პასპორტის გაკეთებაზე სასტუმროს მფლობელი (სერხი ლოპეზი) ზრუნავს, რომელიც ადამიანების ორგანოებითაც ვაჭრობს და საერთოდ, ძალიან ეშმაკი კაცია. შინეის ის პროსტიტუციისთვის ამზადებს, ოკვეს კი ქირურგობას სთავაზობს. ისინი თითქოს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ, ცხადია, ბევრი არაფერი გამოსდით, და საბოლოოდ გოგონა დახმარებისთვის კვლავ თავის მტანჯველს მიმართავს, ოღონდ პროფესიონალი მეძავი კი არა, დონორი ხდება.

ცხადია, სოციალურ ტრაგედიას თან მელოდრამატული ხაზიც ახლავს – ნიგერიელსა და თურქ გოგონას ერთმანეთი უყვარდებათ.

თავდაპირველი ჩანაფიქრის თანახმად, შინეის როლი თურმე ნიკოლ კიდმანს უნდა ეთამაშა. კრიტიკოსები ავად აღნიშნავენ, პატიოსანი მეძავის როლი მას ბევრად უკეთ გამოუვიდოდა, ვიდრე პაწია ოდრისო. მაგრამ ამაზე საუბარი ამჯერად გვიანია: ფილმი მრავალ ქვეყანაში დიდი წარმატებით სარგებლობს და მაყურებელი კვლავ სიხარულით შეხვდა მშვენიერ ამელის. ალბათ სწორედ ასე გათვალა "ბინძური მშვენების" რეჟისორმაც.

## ბრიტანელთა გულის დედოფალი



ლედი დი.

1961 წლის 1 ივლისი და 1997 წლის 31 აგვისტო. ეს რიცხვები ბრიტანეთის პრინცესას, ლედი დაიანას ცხოვრებაში ორ მნიშვნელოვან თარიღს წარმოადგენს: ერთი - დაბადების, მეორე კი სიკვდილის. მიუხედავად იმისა რომ, დიდი ბრიტანეთის საყვარელი პრინცესა 36 წლის ასაკში გარდაიცვალა, თავისი ხანმოკლე მოღვაწეობით, არამარტო ბრიტანელების, არამედ მთელი მსოფლიოს სიყვარულის დამსახურება შეძლო. "ბრიტანელთა გულის დედოფალი გახდაო" - ეწერა ერთგან.

დიდი ბრიტანეთის პრინცესას ტიტული დაიანა სპენსერს ზუსტად 22 წლის წინ 29 ივლისს, წმინდა პავლეს ტაძარში უბოძეს, საქორწინო ცერემონიისას, როდესაც პრინც ჩარლზს გაჰყვა ცოლად. 750 მილიონი მაყურებელი მთელს მსოფლიოში, ქორწილი 1 მილიარდ დოლარად, საუკეთესო დიზაინერების, დეივიდ და ელისაბედ ემანუელების მიერ შექმნილი უძვირფასესი კაბა - აბა მეტი რაღა იყო საჭირო სრული ბედნიერებისთვის?

დღეს ის საქორწინო კაბა, თავისი ძვირფასი გვირგვინით დიდ ბრიტანეთში, სპენსერთა საგვარეულო მიწაზე, კერძოდ კი ალტორნში არის გამოფენილი. ექსპოზიცია, რომელიც ივლისში გაიხსნა და რომლის ორგანიზატორი ლედი დის ძმა გრაფი სპენსერი გახლავთ, უკვე მეორედ აწყობს ასეთი სახის გამოფენას, სადაც მსურველებს შეუძლიათ იხილონ საყვარელი პრინცესას პირადი ნივთები, ისტორიული ფაქტები მისი ცხოვრებიდან, ბავშვობის ფოტოები, მნიშვნელოვანი ვიდეო-ჩანაწერები, ცნობილი მოდელიორების მიერ შექმნილი სამოსები. გამოფენაზე გამოტანილი ნივთები არ გაიყიდება და აქედან გამომდინარე ვერ ანაზღაურდება დახარჯული თანხა, თუმცა როგორც გრაფი სპენსერი ამბობს, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და მომავალში კვლავ აპირებს ასეთი სახის გამოფენის მოეწყობას. "თანხას მნიშვნელობა არა აქვს, ლედი დის სიკვდილს ხომ ვერაფერი ვერ აანაზღაურებს" – განაცხადა გრაფმა.

## TV პროგრამა
### 30 ივლისი

**რუსთავი - 2**

**08.00** კლასიკა **08.25** სერიალი „კომპიუტერული ომები" **08.50** სერიალი „ელექტრონიკის თავგადასავალი" **10.00** სერაილი „ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი „კომისარი მონტალბანო" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი „ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი „კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი „მაშველები" **19.40** სერიალი „მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი „კომისარი მონტალბანო" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი „შავი წერტილი". მთ. როლებში: დევიდ კარუზო, სიუზან ხასკელი.

**პირველი არხი**

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი „ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი „ბედის საჩუქარი" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა" **13.05** დოკ. სერიალი „ტექნოპოლისი" **14.00** სერიალი „ქალთა სავანე" **15.15** მხ. ფილმი „მადმუაზელი" **16.30** „თქვენი უფლებები" **16.50** ტელესერიალი „ძილის წინ" **17.05** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" **17.20** 50-50 **18.00** „ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი „ევროპის ბუნება" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში „იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი „ეშმაკუნა" **21.55** „მათი შვილები" - გ. აბულაძე **22.35** ტელესერიალი „ძილის წინ" **23.00** „რა ხდება?!" **00.00** მხ. ფილმი „უცნაური ამბავი".

**პირველი სტერეო**

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „პირომანიაკი-სიყვარულის ისტორია" მთ. რ-ში უილიამ ბოლდუინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო" „სასაცილო თამაშები" მთ.რ-ში სიუზან ლოტარი, ულრიხ მიუნე. **01.40** „ღამურა" „ქარი ღამეში" მთ.რ-ში კატრინ დენევი. **03.45** პაუზის გარეშე.

**მეორე არხი**

**19.00, 22.00** „მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** სერიალი „რვაფეხა" **20.30** დიდი დასვენება **21.00** მოკლ. მხ. ფილმი „სტუმარი" **21.30** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი „ბაგრატიონი".

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი „60 მილიონის ღირებულების ოპერაცია" **13.30** მხ. ფილმი „სახლი თურქულ ქუჩაზე" **15.00** მხ.ფილმი „სასიკვდილო იარაღი 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს" **17.15** მხ.ფილმი „დარტყმის სიშორეზე" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა" **22.30** მხ. ფილმი „საქმის გარჩევა ტოკიოში".

**იბერია**

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „დიდი უსიამოვნებანი" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **15.15** მხ. ფილმი „სამოთხე" **17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30** მუსიკა **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. „შურისძიების ანგელოზი" **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „ქოფაკი მეომრები" **01.30** ღამის ფილმი.

**მეცხრე არხი**

**08.00** პროგრამა „დილა" **10.00** სერიალი „ჯონ როსი" **10.30** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი" **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი" **12.00** „ცხელი ცხრიანი" **12.40** მხ. ფილმი „დისშვილი" **14.15** „ტელემეტრი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები" **15.20, 16.20, 17.55, 18.50, 19.50, 20.20, 22.00** მუსიკა **15.30** სერიალი „ციებ-ცხელება" **16.30** დოკ. სერიალი „ფოტორობოტი" 1-ლი ს. **18.05** სერიალი „ჯონ როსი" **18.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი" **19.00** სერიალი „პოლიციელი ქალი" **20.00** დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები" **21.15** სერიალი „ციებ-ცხელება" **22.00** მხ.ფილმი „გამოძალვა მაიამიში" **00.20** ბალეტი - ბეჟარი. **00.45** მხ. ფილმი „მე-9 კარიბჭე".

**იმედი**

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი" **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი „შურისმაძიებელი ანგელოზები" **17.30** „ერთხელ ჰოლივუდში" **18.05** სერიალი „იუდას ქალი" **19.30** სერიალი „ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** არტ-ბულვარი **21.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **23.55** ფანების კინოკლუბი „პოპულარობის საზღაური".

**აჭარა**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** კომედია „ბანზაი" **10.50, 14.00** მუსიკა **11.20** ჩარლი ჩაპლინი **12.10** მხატვრული ფილმი „პირადი მცველი" **14.15** კომედია „მოჩქარეს მოუგვიანდეს" **16.10, 19.10, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი „ალადინი" **17.40** თრილერი „სრიალი" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს" **19.40, 22.40** „პრესდაიჯესტი" **19.50, 22.50** მუსიკა **20.15** დრამა „უბრალო ისტორია" **23.00** „ალტერნატივა" **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.00** მხატვრული ფილმი „ოქროს მტვერი" **03.20** დოკუმენტური ფილმი **04.25** მელოდრამა „შავი ვუალი"

**VII არხი**

**09.15** მელოდია **09.25** „აჩიკუდა" **09.50** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.25** მელოდია **10.40** კომპიუტერული ტექნიკა **11.20** მელოდია **11.40** მობილურები **12.30** დისნეი და მისი მეგობრები **12.50** კომპიუტერული თამაშები **13.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.20** აუდიო-ვიდეო-ტელე **18.55** მოკლედ... უცხოეთი **19.00** „აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.35** მობილურები **21.20** იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო გოლები **21.45** კომპიუტერული თამაშები **21.50** დოკ.ფილმი „ბრძოლა წესების გარეშე" **22.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **22.45** „კინოკლუბი „ - „ნიუ-ჯეკ სიტი" . მაფია. რეჟ: მარიო ვან პიბლზი. როლებში: უესლი სნაიპსი, აის ტი. **00.20** ტელესერიალი - „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-3 სერია **01.05** კომპიუტერული ტექნიკა **01.40** მელოდია .

**ОРТ**

**07.00** „Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды" 11.05 Худ.фильм „Королева Марго" 12.05** „Шутка за шуткой" **12.35** Дисней-клуб: „Чудеса на виражах" **13.15 Детектив „Ключ" 14.25** „Ералаш" **14.40 Детектив „Дополнительный прибывает на второй путь", 1 с. 16.20** Док.сериал „Дикие штучки" **16.50 Комедия „Похищение центрового" 18.30** Док. детектив „Возвращение Богоматери. Дело 1992 года" **19.20** „Смехопанорама" **19.55 Худ.фильм „Ниро Вульф и Арчи Гудвин" 22.00, 00.30** „Время" **22.30** Церемония открытия музыкального фестиваля в Юрмале **01.00** Док.фильм „Серафим Саровский" **01.30** „Проводник" **02.00 Боевик „Тени воинов: Атака на гору смерти".**

**РТР**

**06.45** „Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55 Сериал „По имени Барон..." 10.45 Сериал „Цыган" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20** Ток-шоу „Короткое замыкание" **13.20 Детектив „Марш Турецкого 2".** „Цена жизни - смерть", 2 с. **14.15, 17.45** „Экспертиза" **14.30, 18.50, 02.40** Дорожный патруль **14.45** Вести - Москва **15.20** Ток-шоу „Что хочет женщина" **16.10 Сериал „Семейные тайны" 17.15 Сериал „Простые истины" 18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **19.05** Вести-спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс" 21.50** „Спокойной ночи, малыши!" **23.00 Детектив „Марш Турецкого 2".** „Мертвый сезон в агентстве „Глория", 1с. **00.00 Худ.фильм „В городе Сочи темные ночи" 03.00 Сериал „Бетти" 03.50 Сериал „Гросс-Пойнт".**

**НТВ**

**07.00** „Утро на НТВ" **10.05 Сериал „Жил-был я..." 11.00** „Сегодня утром" **11.20 Худ.фильм „Шел четвертый год войны" 13.00, 16.00, 18.00, 20.00** „Сегодня" **13.35** Ток-шоу „Страна советов" **14.35 Сериал „Шатун", 2 с. 15.45** „Криминал" **16.35 Сериал „Семнадцать мгновений весны" 18.25 Сериал „Скорая помощь 2" 19.25** „Чистосердечное признание" **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей". „Дурь" 21.50 Сериал „Шатун", 3 с. 23.00** „Страна и мир" **23.30 Сериал „Клан Сопрано" 00.40 Сериал „Улицы разбитых фонарей" 01.50** „Сегодня" **02.15** „Гордон".

# გამხდრები და მსუქნები

## პრობლემა, რომელიც პრობლემა არაა

ანა კორძაია-სამადაშვილი

ამ მოვლენას ვიღაც გონებამახვილმა "სხეულის ფაშიზმი" უწოდა. ის სამოდელო პოდიუმებიდან წამოვიდა და ამჯერად უამრავი გოგონა ჰყავს შეპყრობილი. ეს გოგონები გრძნობის დაკარგვამდე არიან თვითგვემით დაკავებული, და მხოლოდ იმისთვის, რომ ურჩი სხეული სრულიად ბრტყელ ზედაპირად აქციონ.

სხვათა შორის, გამუდმებულ უჭმელობას შეიძლება უმძიმესი დაავადება მოჰყვეს, რომელსაც ანორექსია ჰქვია: დიდი ხნის შიმშლის შემდეგ დასუსტებული ორგანიზმი ყოველგვარი საკვების მიღებაზე უარს აცხადებს. ამის შედეგი მრავალი ქრონიკული დაავადებაა ხოლმე, და ზოგჯერ უარესებიც ხდება.

უკანასკნელი თაობის მოდელების გაძვალტყავება იმდენად სწრაფი პროცესი აღმოჩნდა, რომ ცოტა ხნის წინათ სუპერმოდელმა სინდი კროუფორდმაც კი აღნიშნა: "დღევანდელ მოდების ჩვენებას როცა ვუყურებ, ასე გახდომა არარეალურადაც კი მეჩვენება. ამ ქალებისთანა, ჩემი აზრით, ერთი-ორი გოგონა თუ გახდება, და მე რომ მკითხო, ეს არცაა საჭირო".

მოდელი დიზაინერული ესკიზის გახორციელებაა, მეტი არაფერი, და რაც უფრო უახლოვდება მისი სხეული მაესტროს ხელით შექმნილ ნახაზს, მით უკეთესი. ტანსაცმლის შექმნისას მოდელიორების პირობითობებითა და აბსტრაქციით გატაცებამ კი უცნაური პარადოქსი წარმოშვა: იმისათვის, რომ მოწონებული კაბის ჩაცმა შეძლოს, ქალი იძულებულია, მანეკენების პარამეტრებსაც გაუწიოს ანგარიში. თავისთავად ცხადია, მოდელსა და ჩვეულებრივ ქალზე კაბა სრულიად განსხვავებულად გამოიყურება. შესაბამისად, მოდა სრულიად აბსტრაქტული, განყენებული რამ ყოფილა და რეალობასთან არაფერი ჰქონია საერთო!

მხოლოდ ცალკეული მოდელიორები იწუხებენ თავს იმისთვის, რომ მსუქანი ქალებისთვისაც რამე შექმნან. და სულ ტყუილად – ისინიც მრავლად არიან.

მიუხედავად იმისა, რომ მოდის იმპერია აგრესიულად ნერგავს ჩონჩხივით ქალის სილამაზის ეტალონს, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მშვენიერი სქესის წარმომადგენლები თურმე ფრიად გაიზარდნენ და ჩამრგვალდნენ.

ასე, მაგალითად, ლეგენდარული ტვიგის უწვრილესი წელი, ბრიტანეთის ტანსაცმლის ინდუსტრიის ძირითადი ორიენტირი, სინამდვილეში დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. ინგლისელი ქალბატონები საგრძნობლად გასუქდნენ, საშუალოდ მხოლოდ წელის გარშემოწერილობა ოცი სანტიმეტრით გაეზარდათ. თავად განსაჯეთ: თუკი 20-იან წლებში ტიპიური ინგლისელი ლედის პარამეტრები 81 X 50,8 X 81 იყო, დღეს ეს მაჩვენებელი 95 X 71 X 98,5 გახდა.

როგორც ხედავთ, საშუალოსტატისტიკურ ინგლისელ ქალს სუპერმოდელობამდე ბევრი უკლია, სიგამხდრე კი კვლავ ერთადერთ ესთეტურ სახედ რჩება. ყველაფერ ამას ერთგვარი გენოციდის სუნი დაჰკრავს – მოდის მხრიდან ამგვარი აგრესია ქალების არამარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობასაც აყენებს დარტყმას.

ქალის სხეულის პრობლემებთან დაკავშირებით პოლიტიკოსებმა სამიტიც კი მოიწვიეს. მათ მოწოდებით მიმართეს სარეკლამო კომპანიებს, მოდის შემოქმედებს და ქალთა ჟურნალების რედაქტორებს: მოდის ინდუსტრიაში მოზარდი თაობის ინტერესებიც გაითვალისწინეთ, კერძოდ – კმარა დამღუპველი სიგამხდრის პროპაგანდა! პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის დაწოლით იქნა ორგანიზებული. ეს ასოციაცია სერიოზულად შეწუხებულია ანორექსიით დაავადებულთა რაოდენობის ზრდით. მოდური ჟურნალების რედაქტორებმა, თავის მხრივ, საკუთარ თავზე აიღეს სხეულის ნორმატივების შემუშავება, რის წყალობითაც ჟურნალების ფურცლებზე ავადმყოფურად გამხდარი მანეკენების გამოჩენა აკრძალული იქნება.

ცხადია, მოდის სამყაროს წარმომადგენელთა ნაწილი უკმაყოფილო დარჩა, ასე ბრძანეს, მთავრობა ყველაფერში ცხვირს ჰყოფს და საერთოდ, ქალის ტანსაცმლის კარადაში არაფერი ესაქმებაო. მოკლედ, დიდი აყალმაყალის შემდეგ შეთანხმება მიღწეულია და ტელემაუწყებლობის სტანდარტების კომისიამაც კი პირობა დადო, რომ ბრიტანულ სატელევიზიო პროგრამებსა და გადაცემებში მსუქანი, გამხდარი და "ნორმალური" ქალები თანაბრად იქნებიან წარმოდგენილი.

დიდი ბრიტანეთი, რასაკვირველია, არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც წონის საკითხი პრობლემად იქცა. როგორც ჩანს, გასუქების შიში 21-ე საუკუნის ლამის ყოველ ქალს უკვე ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი. ეს კვლავ მოდის ინდუსტრიის დამსახურებაა. მსუქანი ქალები მის იდეალებს არ შეესაბამებიან, რადგან "მშვენიერი ქალი" ან უბრალოდ გამხდარია, ან სულაც შუალედური რამაა გოგონასა და ყმაწვილს შორის.

შედეგია ასეთი გახლავთ: ქალების დაახლოებით 20 პროცენტი დიეტაზე ჯდება, ანუ მუდმივ სტრესშია, თან განსაკუთრებით პოპულარული "ექსტრემალური" და "ეგზოტიკური" დიეტებია; კიდევ ოცი პროცენტი აქტიურად იწყებს ვარჯიშს. მაგრამ ისიც ხდება – და არცთუ იშვიათად – რომ ქალი მსუქანია, და ამას არაფერი ეშველება.

ან რა აქვს საშველი? თუკი მსუქანი ქალები არსებობენ, მაშასადამე მათი მოყვარული მამაკაცებიც უნდა იყვნენ ამქვეყნად. და თუკი სასწაული მოხდება და მამაკაცები გულწრფელნი იქნებიან, გაირკვევა, რომ ათიდან შვიდ მამაკაცს სწორედ ფუმფულა ქალი მოსწონს.


კეიტ მოსი


კლაუდია შიფერი


ჟიზელ ბუნხენი




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.